

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ოტია კახაძე

კურეულის ლექსიკა
ქართულში



თბილისი
„მეცნიერება“
1987

ნაშრომში ენათმეცნიერული თვალსაზრისით სისტემატურადაა განხილული პურეულის ლექსიკა ქართულში. შესწავლილია ხორბლეულისა და ქრთილეულის, აგრეთვე ჰევისა და შერიის ნაირფეროვანი ქართული სახელები, პურეულ მცენარეთა ნაწილების სახელები და ზოგი სხვა სასოფლო-სამეურნეო ტერმინი.

გამოკვლევაში გათვალისწინებულია ძველი ქართულის მონაცემები, ფართოდაა გამოყენებული ქართული დიალექტების სათანადო ფაქტები და სხვა ქართველური ენებისა და მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა შესაბამისი ლექსიკა.

რედაქტორი

არნ. ჩიქობავა

რეცენზენტები: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ.
ზ. ჭუმბურიძე
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, წამყვანი
მეცნ. თანამშრ. ვ. შენგელია

წინასიტყვაობა

მეცნიერებისათვის კარგადაა ცნობილი ის დიდი წვლილი, რომელიც მიუძღვის კაცობრიობის წინაშე მიწათმოქმედების კულტურის შექმნისა და განვითარების საქმეში კავკასიის ხალხებს, კერძოდ. ქართველ ხალხს. „...საქართველო, — წერს ლ. დეკაბრელები, — აშკარად გამოირჩევა სხვა ქვეყნებს შორის ხორბლის კულტურულ სახეობათა მაქსიმალური რაოდენობით“. აქ მსოფლიოში ცნობილი ცხრამეტი სახეობიდან თოთხმეტი აწარმოდგენილი თავისი მრავალფეროვანი სახესხვაობებით. მათ შორის ექვსი ადგილობრივია. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმას, რომ საქართველოში, როგორც ამაზე ბოტანიკოსები მიუთითებენ, დღემდეა დაცული კულტურული ხორბლების ინიციალური, უძველესი ფორმები — მახა და ზანდური, რომლებიც სხვა ქვეყნებში არ გვხვდება და როშელთაგან „მახა... ქმნის მეორეულ სახეობათა მთელ წყებას“ (ვ. მენაბდე). ხორბლისა და ფეტვის მარცვლები, „მიწის დასამუშავებელი ქვის იარაღები და... ხელსაფქვაები“ საქართველოს ტერიტორიაზე (კოლხეთის დაბლობებში, ნაცარგორაზე, თრიალეთში...) არქეოლოგების მიერ ნაპოვნია უძველეს კულტურულ ფენაში. ამასთანავე „ქართველ ტომებს სახენელი იარაღების გამოგონება-დაწინაურებაში არა მცირედი წვლილი აქვთ შეტანილი“ (გ. ჩიტაია). ერთი სიტყვით, ბოტანიკოსების, არქეოლოგებისა და ეთნოგრაფების გამოკვლევები იმაზე მეტყველებს, რომ საქართველოში მიწათმოქმედება უძველეს ხანაშივე ძლიერ დაწინაურებულა და რომ ხორბლეულის კულტურას ჩვენში ხანგრძლივი ისტორია აქვს.

1915 წელს ნიკო მარი წერდა: „იაფეთიდები დიდი... მიწათმოქმედნი იყვნენ, და ამოიციო შესატყვის ტერმინთა ისტორია, ნიშნავს, აღმოაჩინო უძველესი მსოფლიოს კულტურული ისტორიის მეტად საინტერესო ფურცელი“ (Н. Я. Марр, Яфетические названия деревьев и растений...).

ცხადია, პურეულის ლექსიკის შესწავლას ასეთ შემთხვევაში სრულიად გარკვეული მნიშვნელობა ეძლევა.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

ივანე ჯავახიშვილი ხორბლეულის ლექსიკას სპეციალურად იკვლევდა. მარცვლეულის ტერმინოლოგია (resp. ხორბლეულის, ქრთილეულისა და სხვ.) მანამდე საგანგებო განხილვის საგნად არავის გაუხდია. თვით ივ. ჯავახიშვილიც მარცვლეულის სახელებს ეხება საქართველოს ეკონომიური ისტორიის საკითხების კვლევასთან დაკავშირებით და კვლევა-ძიებისას სათანადო ტერმინთა ენობრივ (resp. ეტიმოლოგიურ) ანალიზს მიმართავს მხოლოდ როგორც დამხმარე საშუალებას. მაგრამ სწორედ საკვები მარცვლეულის აღმნიშვნელი სახელების განხილვა და მათი სათანადო ანალიზი მას საშუალებას აძლევს შემდეგი ფუძემდებელი დასკვნები გააკეთოს:

ქართულში „...აღსანიშნავია თავისი სიუხვითა და მრავალმხრივობით საკვები მცენარეების ტერმინოლოგია...“¹.

„...საკვები მცენარეების სახელები ქართულს ზოგადი ხასიათისა ც გააჩნია და სპეციალურიც მრავლად მოეპოვება“¹.

„...ქართულს... პურეულის სხვადასხვა ჯიშისა და სახეობისათვის განსაკუთრებული სახელები ძველადაც მოეპოვებოდა და ესლაც შენარჩუნებული აქვს“² და სხვ.

ნ. მარი თავის მრავალრიცხოვან ნაშრომებში სხვადასხვა საკითხების განხილვისას გაკვრით შეხებია ჩვენთვის საინტერესო ტერმინებს:

¹ ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი პირველი (მეორე გამოცემა), ტფილისი, 1930, გვ. 384.

² იქვე, გვ. 390.

მკად³, ქერი⁴, ხორბალი⁵, ქვავე⁶, პური⁷, თაველი⁸,
ჯუვილი⁹ და სხვ., და რიგ საყურადღებო მოსაზრებასთან
ერთად მოუცია მათი (დასახელებულ ტერმინთა) სათანადო ანალიზიც;
აქ მხედველობაში გვაქვს, განსაკუთრებით, ნ. მარის შეხედულება ბას-
კურ-ქართულ... qarī („ხორბალი“), ქერი... იგივეობის შესახებ; ხორ-
ბლის ხორ-ად და ბალ-ად დაშლა; ოსური ხორ-ის და ქართული ხორ-
ბლის პირველი ნაწილის ერთი და იმავე ელემენტად მიჩნევა და მის
მიერ ამ საკითხის შესახებ გაკეთებული შემდეგი ჩვენთვის მეტად სა-
ყურადღებო შენიშვნა:

„... როდესაც იგივე ელემენტი (ლაპარაკია ხორ-ზე—ო. კ.) აღნიშნავს
პურის მარცვალს, როგორც ოსურში, მაშინ რასაკვირველია, მისი წარმო-
შობა ავესტურ h̥ərəna-ში ‘საკვები’ არ უნდა გვეძებნა“¹⁰ (როგორც ამას
ვარაუდობდა ვ. მილერი; იხ. O3, III, გვ. 150—ო. კ.).

არნ. ჩიქობავას „ქანურ-მეგრულ-ქართულ შედარებით ლექსიკონ-
ში“ სპეციალურად გამოყოფილი აქვს თავები: „მცენარეულობა“... და
„...საქმელები...“, სადაც სხვა სახელებთან ერთად განხილულია —
„ყ ა ნ ა...“, „დ ი კ ა“, „ქ უ რ ი მ ი“, „ნ ჩ ხ ვ ა რ ი“, „ჩ ა ლ ა“, „ქ ე-
რ ი“, „ღ ე რ ო“..., „კ ა ნ ტ ა რ ი“, „ფ ქ ვ ე რ ი...“, „გ მ ა რ ი“,
„ბ უ რ ღ უ ლ ი“, „მ ქ კ უ დ ი...“, „ღ ო მ უ...“, „ქ ო ვ ა ლ ი...“ და
სხვ¹¹. მისივე მეორე ნაშრომში: „სახელის ფუძის უძველესი აგებულე-
ბა ქართველურ ენებში“, გაანალიზებულია „ი ფ ქ ლ ი“¹².

მარცვლეულის სახელები ზოგიერთი იბერიულ-კავკასიური ენის
სათანადო მონაცემების ანალიზთან ერთად ამ ენათა (ქართულ-ჩაჩნურ,

³ Н. Я. Марр, Непочатый источник истории Кавказского мира.—ИАН, 1917, с. 332.

⁴ Н. Я. Марр, Избранные работы, т. I, Л., 1933, с. 28; მისივე, იქვე, т. IV, Л., 1937, с. 34. 15.

⁵ Н. Я. Марр, Избранные работы, т. IV, с. 78; 104; 106; 121; 152, 224; 214, მისივე, იქვე, V, Л., 1935, с. 265; 449.

⁶ Н. Я. Марр, Яфетические Названия дерсвьев и растений (Pluralia tantum).—ИАН, 1915, с. 206.

⁷ Н. Я. Марр, Избранные работы, III, Л., 1934, с. 172; მისივე, იქვე, V, с. 248; მისივე, იქვე, IV, с. 104, 121; 152; 168; 224.

⁸ Н. Я. Марр, Избранные работы, IV, с. 25.

⁹ იქვე, გვ. 36.

¹⁰ იქვე, გვ. 106.

¹¹ არნ. ჩიქობავა, დასახ. ნაშრ., გვ. 171—172.

¹² იქვე, გვ. 54, 57, 109, 128.

ქართულ-ადიღურ) ლექსიკური ურთიერთობის თვალსაზრისით განხილული აქვთ თ. გონიაშვილსა¹³ და გ. როგავას¹⁴.

ს ი მ ი ნ დ ი, კ ვ ა ვ ი, მ კ ე ლ ე უ ლ ი და სხვ. განუხილავთ ს. ჭიქიას, მ. ხუბუასა და სტ. მენთეშაშვილს.

ჩვენ მიერ საანალიზოდ აღებული თითქმის ყველა ტერმინი გვხვდება დიალექტურ, ბოტანიკურ თუ სხვა ლექსიკონებში.

წინამდებარე ნაშრომში განხილულია ორმოცამდე „ძირითადი“ ტერმინი. ამ ტერმინთა უმეტესობა ხორბლეულისა და მათი ნაწილების აღმნიშვნელ სახელებს წარმოადგენს. აქვეა განხილული ქრთილეულის (ქერი, ქრთილი), ჭვავისა და შვრიის აღმნიშვნელი სახელებიც.

ხორბლეულის ტერმინებთან ერთად ქრთილეულისა და ჭვავის სახელების განხილვა გასაგებია; როგორც ხორბლეული, ისე ქრთილეულიცა და ჭვავიც ადამიანის საკვებ მარცვლეულს წარმოადგენს. ამათი გვერდით შვრიის ტერმინთა ანალიზი გამოწვეულია იმით, რომ ხორბლეულისა, ჭვავისა და შვრიის ზოგიერთ ქართულ სახელს ძირეული ელემენტი საერთო აღმოაჩნდა. ამავე მიზეზით: ხორბლის, ხვავის, ჭვრემასა და ჩხოს გვერდით განხილულია ისეთი სახელები, როგორიცაა „ცეხვა“, „ცხავი“, „ხვეტა“, „უხვი“...

საანალიზოდ აღებული თითქმის ყველა ტერმინი გვხვდება ძველი ქართულის ტექსტებში, ან საბა-სულხან ორბელიანისა და ილია აბულაძის ძველი ქართული ენის ლექსიკონებში მაინც და უმეტესობა დღესაც იხმარება ქართული ენის ამა თუ იმ დიალექტში.

ნაშრომის ბოლოს უაღრესად ზოგად ხაზებში მოცემულია ხორბლეულის მოვლა-პატრონობასთან თუ მომკა-დაბინავებასთან დაკავშირებული რამდენიმე ტერმინის — „კალო“, „კვერი“, „მკა“ და სხვ. ანალიზი.

ნაშრომში განხილულ ხორბლეულის სახელთა ანალიზის დროს შეძლებისდაგვარად თითქმის ყოველთვის ვიყენებდით სხვა ქართველური ენების სათანადო მონაცემებსაც. ეს აუცილებელიც იყო. მაგრამ ზოგიერთი ტერმინის ანალიზისთვის მხოლოდ ქართველური ენების მონაცემთა გამოყენება სრულიადაც არ აღმოჩნდა საკმარისი. მათი ანალიზი შეუძლებელი გახდა მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა ფაქტების გაუთვალისწინებლად. ხორბლეულის ზოგიერთი სახელის

¹³ თ. გონიაშვილი, ლექსიკური შეხვედრები ჩაჩნურისა ქართველურ ენებთან. — ენიშვის მოამბე, V—VI, თბ., 1940, გვ. 575.

¹⁴ გ. როგავა, ადიღური ლექსიკური მასალა ქართულში. — წაკითხულია მოხსენებლად საქართველოს სსრ მეცნ. აკად. ენის ინსტიტუტის კავკასიურ ენათა განყოფილების საქარო სხდომაზე 1945 წ.

საერთო იბერიულ-კავკასიურ ენათა ფონზე განხილვის ქვემოთ წარმოდგენილ ცდას სრულიად გარკვეულ დასკვნამდე მივყავართ. სახელდობრ, ნათელი ხდება, რომ ხორბლეულის (resp. საერთოდ მარცვლეულის) სახელები იბერიულ-კავკასიურ ენათა ლექსიკის ერთ-ერთი სწორედ ის მეტად საყურადღებო სფერო უნდა იყოს, სადაც საკმაოდ ძლიერად იგრძნობა ქართული და მთის იბერიულ-კავკასიური ენების უძველესი ლექსიკური ერთობა.

აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ქართველურ ენებში სახელის ფუძის უძველესი აგებულების გარკვევის გარეშე, რაც იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მონაპოვარს წარმოადგენს, გაჭირდებოდა ხორბლეულის ქართულ-ქართველურ ზოგიერთ ტერმინთა როგორც სათანადო ანალიზი, ისე მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა შესატყვის ფაქტებთან მათი დაკავშირება.

მარცვლეულის დიდი და მრავალფეროვანი ნომენკლატურა გვიძლავდა კვლევა-ძიებისას შემოვფარგლულიყავით მხოლოდ ე. წ. „ძირითად“ ტერმინთა განხილვით. ამიტომ ხორბლეულის სახესხვაობათა თუ ჯიშთა აღმნიშვნელი მრავალი სახელი ამ ნაშრომში განხილული არ არის. მათ ზოგად დახასიათებას დაინტერესებული მკითხველი იპოვის ივ. ჯავახიშვილის საქართველოს ეკონომიური ისტორიის I წიგნში¹⁵.

დასასრულ, არ შეიძლება არ შევნიშნოთ. რომ არა ერთი და ორი ტერმინი თუ დამახასიათებელი გამოთქმა. რომელიც გვხვდება როგორც ძველ სამწერლობო ქართულში, ისე თანამედროვე ქართულის დიალექტებში, არ არის აღნუსხული და სპეციალურ შესწავლას საჭიროებს.

15 იხ. ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., I, გვ. 385, 386, 387...

პურეულის სახელები

1. ხორბალი. „საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ პირველ ტომში იე. ჯავახიშვილი წერს: „ყველა საკვები მცენარეების მარცვლეულის აღმნიშვნელ ზოგად ტერმინად ძველ ქართულში „ხუარბალი“ იხმარებოდა: „პური ხუარბლისა შენის იყოს სავსებით და მსუყედ (ესაიასი, 30, 23), „ბედელნი ხუარბალნი“ (2 ნეშტთაჲ, 32, 29—ბერძ. და ლათ. 32, 28). ს. ორბელიანსაც ეს ტერმინი ესაიას 29 მიხედვით განმარტებული აქვს, როგორც „ყანის მარცვალი“ (ლექსიკ.). ძველი ქართული ხუარბალი ბერძნული ტექსტის εβ χῆρυμα-ს, ლათინურის frumentum-ს ნაყოფს, მოსავალს უდრის...

ასეთივე ზოგადი, საკვები მარცვლეულობის გამომხატველი, მნიშვნელობა აქვს ამ ტერმინს გ. მთაწმინდელის თხზულების ცნობაში, რომ „თუ ნავი მოვიდის ხუარბლითა, მის გადმოტვირთვაში ყველანი იღებდნენ მონაწილეობასო“ (ც^ა ი^ესი და ეფთ^მსი, 47).

მაგრამ შემდეგში ამ სიტყვას მნიშვნელობა შესცვლია და ხუარბალი ყოველგვარი საკვები მარცვლეულობის აღმნიშვნელი აღარ ყოფილა, არამედ მხოლოდ პურეულის ჯგუფის ზოგად ტერმინად გვევლინება. თვით ქერი და ქრთილიც-კი ხუარბლად აღარ იწოდება“¹.

აქ განსვენებულ მეცნიერს საილუსტრაციოდ მოჰყავს რამდენიმე „ცნობა“ ვახუშტის გეოგრაფიიდან (იხ. გ^გრ^ფა, გვ. 136, 140, 228) და ასკვნის: „მშასადამე, ხუარბალი ზოგადი მნიშვნელობის ტერმინია იმ სხვადასხვა ჯიშისა და სახეობის საკვები მარცვლეულის აღსანიშნავად, რომელთაგანაც პურს აცნობდენ ხოლმე, ე. ი. იმავე მნიშვნელობის მქონებელი იყო, რაც ეხლა პურეულსა აქვს“².

„ხორბალი“ (//ხვარბალი) დღესაც ცოცხალია არა მარტო სალიტერატურო ქართულში, არამედ ქართულის როგორც აღმოსავლურ, ისე დასავლურ კილოებშიაც კი და ნიშნავს პურის მარცვალს, პურეულს...

1 იე. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, I, გვ. 319.

2 იქვე.

საილუსტრაციო მაგალითები:

... მარცვლად რომ იქნება პური, ისაა ხ ვ ა რ ბ ა ლ ი — ასე განმარტეს ხორბლის მნიშვნელობა ქვემო რაქაში (ს. ფუტიეთი).

ეგ რო გვიღწევა, პური, გასუფთავდება, მაგას ვეტყვით ხ ვ ა რ ბ ა ლ ს (იქვე).

ხ ვ ა რ ბ ა ლ ს ინახვენ ბელელში, ბზეს — საბძელში (იქვე).

ხ ო რ ბ ა ლ ს ზოგი ინახავს..., ზოგი ფქვავს (იქვე).

... ხ ო რ ბ ა ლ ი უნდა გავარჩიოთ, რო ღვანასი არ ექნეს (იქვე).

... მორჩებიან ლეწვას და ხ ო რ ბ ლ ი ს ხვავს... დააბინავებენ ბელელში (იქვე).

... შემდეგ გამოვნიხბავთ ხ ო რ ბ ა ლ ს, მერმედ მოვაგროვებთ პურსა, მერმედ დავაცხავეთ ცხავეში (ზ. ქართლი, მეჯჯრისხევი, 569).

... ცხრილს წვრილი თვლები აქვს, პური შიგ რჩება, ქვეშ გაღის მიწა, წვრილი ბალახის თესლი... და წვრილი ხ ო რ ბ ა ლ ი (ქიზ., 815).

... ყვავილის შემდეგ ნაწილი უკეთდება, რომ პური და ი ხ ო რ ბ ლ ო ს (resp. დაიმარცვლოს — ო. კ.)... კარგად რო და ი ხ ო რ ბ ლ ე ბ ა, შეთეთრდება ყანა, თუ არა, მომკიან (ქართლი. დიდი ატენი).

... ხვიმირა კონუსის მსგავსი შეკრული ყუთია, რაშიაც ხ ო რ ბ ა ლ ს ყრიან დასაფქვეად (ქიზ. ლექს., 166).

პურის ხ ვ ა რ ბ ა ლ ი გავრეცხე...³.

პირველად რომ ნაწილს ჩაიდებს თავთავი და და ი ხ ო რ ბ ლ ე ბ ა, ოღოში ჰქვიან (გ. კახ., 282).

ეკენისთვე — ღვინობისთვეში ითესება შემოდგომური ხ ო რ ბ ა ლ ი (ქართლი, დიდი ატენი).

დახალვა ხ ო რ ბ ლ ი ს ა... (მთიულ. 244).

ქვემოიმერულში (სამტრედია, ხონი...) „ხორბალი“ კორკოტსაც ნიშნავს:

... მა კორკოტს ასნაირ სახელს უძახიენ: ჩვენ უჩახით მაგას ხ ო რ ბ ა ლ ს, ზოგი კორკოტს — განმარტეს სოფ. ღანირ-ჭუტირში.

უფრო საინტერესოა ის გარემოება, რომ ხვარბალი (resp. ხორბალი) ზემო იმერეთსა (ბაღდადი, ჭიათურა, საჩხერე, ზესტაფონი...) და ქართლში ...ლობიოს, მუხუდოს, ცერცვის, სიმინდის... ნედლ, „ბაზე“ მარცვალსაც ეწოდება:

... დღეს სადილად ხ ვ ა რ ბ ა ლ ლობიოს ჩავადგამ... (საჩხერე).

³ ძვ. საქ., IV, გვ. 33.

... მეტს ნუ დახვარბლავ ლობიოს, ამ კვანიაში აღარ ჩაეტევა (იქვე).

... ლობიო იხვარბლება (resp. იმარცვლება, „იკაკლება“) უკვე... (იქვე).

... დახვარბლული ლობიო (იქვე).

ხვარბალი ლობიო (ჭიათურა, ზესტაფონი).

ხვარბალი სიმინდი (ბაღდადი).

დახვარბლე ლობიო, თუ ქალი ხარ (ჭიათურა, ლეჩავების უბანი).

ამ პარკი ლობიოში ცოტა ხვარბალს რო გოურევდე, უკეთესი იქნება (იქვე)⁴.

„დახვარბლული ლობიო“ (ქართლ.)⁵; ხვარბალი ლობიო — ნეღლი ლობიო, რომელიც იმარცვლება“⁶.

რასთან გვაქვს აქ საქმე, ძველი ვითარების ანარეკლთან, თუ სიახლესთან, ძნელი სათქმელია. საკითხის გადაჭრა დამატებით მასალებზეა და სპეციალურ კვლევა-ძიებას მოითხოვს.

ამგვარად, განხილული მასალის მიხედვით ხორბლის (=ხვარბალი) შემდეგი მნიშვნელობები ვლინდება:

1. „...საკვები მცენარეების მარცვლული“ (ძვ. ქართული, ზ. იმერული. ქართლური...).

2. პურული.

3. კორკოტი (ქვემო იმერეთი — სამტრედია, ხონი...).

ივ. ჯავახიშვილმა დაადგინა ხორბალთან მეგრულ-ქანური ქობალ-//ქოვალის კავშირი⁷.

არნ. ჩიქობავამ ხორბალ-//ქობალ-//ქოვალ-ში გამოყო -ილ- დეტერმინანტი სუფიქსი და მიუთითა, რომ მეგრული ქობალ-ი, რომელიც „საფიქრებელია, ოღნავ სახეცვლილი ქართ. ხორბალ-ი⁸ იყოს“, ამოსავალია ქანური ქოვალ-ისათვის⁹.

⁴ ცნობა და მავალითები მომანოდეს პ. გაჩეჩილაძემ, ბ. ი. წერეთელ-
შა და ლ. ლეჩავამ, რისთვისაც მათ მადლობას ვუძღვნი.

⁵ ვ: თოფურია, ქართლური. — „არლი“, ტფილისი, 1925, გვ. 138.

⁶ ქართლური დიალექტის ლექსიკონი. შემდგენლები: თ. ბეროშაშვილი,
მ. მესხიშვილი, ლ. ნოზაძე. რედაქტორი მ. ჭაბაშვილი, თბ., 1981,
S. V. ხვარბალი ლობიო.

⁷ ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიურა ისტორია, I, გვ. 320;
Н. Я. Марр. Израильные работы, IV с. 116.

⁸ აქ არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ გიულდენშტედტს მეგრულიისათვის ჩა-
წერილი აქვს არა „ქობალი“, არამედ „ხორბალი“. და ეს, ადვილი შესაძლებელია,
არსებული ვითარების სწორი ანარეკლია და არა რაიმე გაუგებრობის შედეგი.

⁹ იხ. მისი „შდარ. ლექსიკ...“, გვ. 175.

ხორბალი (←ხვარბალი←ხუარბალი)¹⁰ წარმოშობით კომპოზიტი ჩანს, რომლის პირველი ნაწილი ხვარ- (← ხუარ-) უნდა იყოს, მეორე შემადგენელი ნაწილი კი ბ-ალ-. ბალ- ფუძის მნიშვნელობა დამატებით კვლევას მოითხოვს. ნ. მარი მას ბერძნული Βάλαιος-ს („რკო“) უკავშირებს¹¹. რაც შეეხება ხვარ-ს, ის სავარაუდოა, ხვარბლის სწორედ ის ნაწილია, რომელმაც თავის დროზე შეიტანა ამ შედგენილი სიტყვის მნიშვნელობაში მარცვლის გაგება¹².

რომ ასეთი ვარაუდი სავსებით უსაფუძვლო არ არის, მოწმობს ძვ. ქართულისა და დიალექტების სათანადო ჩვენება.

ს. ორბელიანს თავის ქართულ ლექსიკონში შეტანილი აქვს სიტყვა „ხვარ-ი“ შემდეგი განმარტებით: „ხვარი ლექსთა მეტნაკლებობათა ასო-ა“, ხოლო ამ უკანასკნელს კი ასე განმარტავს: „ასო წიგნის მარცვალი“-ა; ან მეორეგან: „ასო ეწოდების მარცვალსაც წიგნისასა, (მარცვალთა წიგნისათა)...“ აქ ეჭვი არ არის, ხვარი ლექსის (resp. სიტყვის) მარცვალია, ან ბგერა (/ასო,) რომელიც თუ ხმოვანია, მარცვალიც შეიძლება იყოს. ერთი სიტყვით, ხვარი¹³ ს. ორბელიანთან ნიშნავს: ბგერას//ასოს, მარცვალს.

იყო თუ არა „ხვარი“ საბას დროს საკვები მცენარეების მარცვალი, ან საერთოდ მარცვლოვანი რამ, ეს დოკუმენტალურად ჭერჭერობით მაინც ცნობილი არ არის, მაგრამ რომ ეს შესაძლებელი იყო. ჩანს თანამედროვე ქართულის დიალექტების ჩვენებიდან.

ქიზიუში არის სიტყვა „ხვარხვარი“, რაც სტ. მენტეშაშვილის განმარტებით, „მარცვლიანი ერბო, ხიზილალა“-ა... იქვე იტყვიან: „ხვარხვარპირიანი“ ტყავი, ე. ი. ისეთი ტყავი, რომელსაც „საჩენ მხარეს...

¹⁰ ივ. ჭავჭავაძის შვილი, დასახ. ნაშრ., I, გვ. 320.

¹¹ Н. Я. Марр, К пересмотру распределения шумерского словаря, I ТИ.—ДАН, 1927, с. 12; მისივე, ИР, IV, გვ. 121; 106; მისივე. იქვე, გვ. 167—163; მისივე, ИР, V, გვ. 449.

¹² სხვა აზრისაა „ხორბალ“ სიტყვის თაობაზე მ. ანდრონიკაშვილი. იგი მას საშუალო სპარსულიდან შემოსულად მიაჩნია (იხ. მისი — ნაკვეთები ირანულ-ქართული ურთიერთობიდან, თბ., 1966, გვ. 414).

¹³ აღსანიშნავია, რომ ს. ორბელიანი ხვარი-ს განმარტებისას არ იმორწმუნს წერილობით წყაროებს. იქნებ იმიტომ, რომ ხვარი იმ დროს საყოველთაო სიტყვა-ხმარების საგანი იყო, მწიგნობართა წრეში მაინც, და საბამ საკვიროდ არ ცნო განმარტებისას რაიმე წერილობითი წყარო მოეშველებინა.

ხვარხვარი (resp. „ხორკლები“, მარცვლები — ო. კ.) ექნება“ (იხ. ქი-
ზიყური ლექსიკონი). შიგნიკახურში ხვარხვარი მარცვლოვანს (მარ-
ცვლიანს), „ხვარიშ“-ს ნიშნავს. ასეთი კი შეიძლება იყოს მარილი
(ხვარხვარი მარილი, ე. ი. მარცვლოვანი მარილი) და სხვ. ხვარხვარი
ქართლშიაც ცოცხალი სიტყვაა და „ხვარხვარი ლობიო“ აქ მოხარშულ
მარცვლიან („კაკალ“) ლობიოს გულისხმობს. „საერთოდ, ხვარხვარი-
ის არის. რაც მარცვლიანია. მარცვლისებურია, მაგ., ხიზილალა, ლო-
ბიო, მარილი და სხვ.“¹⁴

ხვარხვარი არ უნდა იყოს უცნობი არც დასაძლურ კილოებისათ-
ვის, კერძოდ. ქვემოიმერული ათვის, სადაც ჩვეულებრივია გამოთქმა:
„ოფლი ხვარხვალით (—ხვარხვარით) ჩამოდიოდა“ და სხვ., რაც ნიშ-
ნავს — მსხვილი, მარცვლისებური ოფლი სდიოდა.

როგორც ვხედავთ, ხვარხვარი შეიძლება იყოს — მარილი, ხიზი-
ლალა, ლობიო და სხვ. ამრიგად, ხვარხვარი თანამედროვე ქართულის
კილოებში მარცვალზე, მარცვლისებურზე, მარცვლოვან საგანზე მიუ-
თითებს.

ხვარხვარი რედუბლიკაციის გზით მიღებული ფორმაა. განმეორე-
ბულია აქ სიტყვა „ხვარი“. ეს კი იგივე სიტყვა უნდა იყოს, რაც საბას
„ხვარი“-ა და ხვარბლის „ხვარ“-ა.

ხვარ- უნდა გვექონდეს გურულ-იმერულ ნახორ-შიაც (—ნა-ხვარ-
ი). ნახორი ს. ორბელიანის განმარტებით „ნაცეხვის ანაბერტყი“-ა. ეგე-
ვე მნიშვნელობა აქვს მას დღეს გურულ-იმერულში (ქვ. იმერ., ტყი-
ბული, ს. წყნორი, 282), და წარმოშობით ნამყო დროის მიმლეობა
ჩანს...

ხვარ-ი ფონეტიკურად სახეცვლილი სხვაგანაც უნდა გვექონდეს
(იხ. აქვე, ქურთმა//—ხურთმა...).

ხვარ-ი არ უნდა იყოს უცნობი არც მეგრულ-ქანურისათვის. ოლონდ
აქ ის უფრო არქაული სახით გვევლინება. ვგულისხმობთ ლომის მარ-
ცვლის აღმნიშვნელ სიტყვა ჩ-ხვ-ერ-ს და ნ-ჩ-ხვ-არ-ს (ქანური). მაგრამ
ამის შესახებ ქვემოთ.

ეგევე ფუძე დაცული გვაქვს სვანურ ლი-ხვერ-ი—ლი-ხვარ-ი
(ლაშხური) // ლი-ხვარ-ი-შიაც (ზემოსვანური), რაც ყოველგვარი ნა-
ყოფის (resp. მარცვლეულის) — პანტის, ასკილის, ვაშლისა და სხვ.
შეგროვებას ნიშნავს, და სიტყვებში: ხორ-ევე-სა, რომელიც მარცვლეუ-
ლის (ხორბლეულისაც) და ხილეულის გროვას ჰქვია, და ხორ-ავ-ში,

¹⁴ ცნობა მომართა მწერალმა იოსებ ტატიშვილმა, რისთვისაც მას მად-
ლობას ვუძღვნი.

რითაც ლაშხელები..., ჩვეულებრივ, შემის გროვას აღნიშნავენ (შდრ. ხვარბლის მნიშვნელობა, ძვ. ქართულის გარკვეული ეტაპისათვის, როგორც ყოველგვარი მარცვლეულის ზოგადი სახელისა, როგორც ბერძნული τὸ ἄννημα-ს, ლათინური frumentum-ის... შესატყვისისა)¹⁵.

ხვ-არ-ში -არ- სუფიქსია (იხ. ხვაი, გვ. 13, ცე-ხვ-ავ-ს, ც-ხ-ავ-ი, გვ. 24; 28).

2. ხვაი. ს. ორბელიანის განმარტებით „ხვაი შეგროვილი მარცვალა“ (ხაზი ჩემია — ო. კ.), „რაც სრულ სიმართლეს წარმოადგენს“¹⁶, და რასაც კარგად ადასტურებს თანამედროვე ქართულის დიალექტების ჩვენებაც, სადაც ის გვხვდება ხვაი//ხოვის სახით: მაგ.: ხვ ა ვ ი ერთად დაგროვილი მარცვალა (თუშ. 551).

...ხვ ა ვ ს ა ც კალოში არნავით (sic) შააგროვებენ (ხევს., 170).

...შემდეგ... კალოში ხ ო ვ ს (—ხვავს—ხუავს) ააგროვებენ (ფშავ., 136).

„მარტო გავლენილი კალოსა და ვაგროვებდი ხვ ა ვ ა დ ა“ (ვაჟა, 1,226).

...ნიჩაფით აგროვებენ „ხ ო ვ ს ა“... (საინგ.).

„ხვ ა ვ ი ს თავი ახლადგალენილი ხვაიდან საწირავად აღებული ერთი ჯამი ხორბალია“¹⁷.

წ მ ი ნ დ ა ხვ ა ვ ს გავაფიცებთ საფიცობლებზე და მერე ბელი-თვლებში ჩაყვრით (ზ. რაჭ., 38).

...კუკუშა, მოდი ე ხვ ა ვ ე ბ ი მივწიოთ (ს. ფუტიეთი, ქვ. რაჭ.).

ხვ ა ვ (sic) ვეძახით ერთად პური მარცვალს, ერთად დაყრილია ხვ ა ვ ი (იქვე).

ხვ ა ვ ი (=მარცვალი) შიგნია შემოწეული და ბზე გარეთაა (იქვე).

ხვ ა ვ ს კიდე გავატარებთ ქარში, რომ არ შეყვეს ბრელო, მერმედ გავაცხავებთ ცხავეში (ზ. ქართ., 552).

... მერე ამ ხვ ა ვ ს ა გამოიყვანენ ნიჩბით (ქართლ., პ. ატენი.).

(თავთუხის)... ხვ ა ვ ი რომ დაინახოს ადამიანმა კალოზე. ესია-შოენება (შ. კახ., 884,885).

ქერმა თქვა: „ლაფში ჩამფალ, — ხ ო ვ შ ი ჩაგფლამო“ (გ. კახ.).

¹⁵ ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., I, გვ. 319.

¹⁶ ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი მეორე (მეორე გამოცემა), ტფილისი, 1934, გვ. 95.

¹⁷ ს. მ ე ნ თ ე შ ა შ ვ ი ლ ი, ქიზიური ლექსიკონი, თბ., 1943, S. V. ხვაი.

ზოგან და ზოგჯერ „ხვავი“ მხოლოდ გაღეწილ, მაგრამ ჯერ კიდევ გაუნიავებელ, (პურის) მარცვლის გროვასაც უნდა ნიშნავდეს. მართლაც ხევში „ხოვი“ გაუნიავებელი გაღეწილი მარცვლის ხროვა (ხვავი) ყოფილა.

როგორც ჩანს, დ. ჩუბინაშვილისათვის სიტყვის მნიშვნელობის ეს ნიუანსიც იყო ცნობილი, როდესაც ხვავის ასეთ განმარტებას იძლეოდა: „ხვავი, ხუავი, ს. გროვა, ზვინი მარცვალთა, ან აკაზმი ბზიანი, რიოში...“¹⁸ (ხაზი ჩემია — ო. კ.).

ხვავი შეიძლება იყოს პურის, ფეტვის, ქერისა და სხვა მარცვლეულისა და აგრეთვე გროვა სიმინდის ტარობის, ვაშლისა და სხვა ხილეულის:

...ფეტვის ხოვს ანიევენ და აცხიევენ (საინგ., 366).

(მელაირემ) კეტარი კაცი ხვავეში ჩასვა, პურში... (ქართლი, დ. ატენი):

...რო გაარჩევენ სიმინდს — დადგება ბლომად — ხვავეს იმა (sic) ვეტყვი. სიმინდის ხვავეს (ქვ. რაჭა, ფუტიეთი).

კაი დასანახი კი არი, რო დადგება ფეტვის ხვავეი კალოე¹⁹ (sic), რო გეილეწება, ოქროსავითაა (ფუტიეთი).

...სიმინდს რომ მოვიყვანთ, დავყრით ადგილზე, რომ გავარჩევთ, ვეტყვი ხვავეს... (ზ. ქართლი, ს. თამარაშენი, ხაშური, 549).

...ერთხელ ჩვენ სოფელთან დეიწვა თელი პურის ხვავეი (ლენჩხუმი, ს. საირმე).

...სიმინდის ხვავეი... (ლენჩხუმი, ს. საირმე).

ხვავეს ვეძახით, სიმინდს რომ გაარჩევენ და ერალაგას დააგროვებენ (ლენჩხ.).

...როცა გეირჩევა პურის კეკალი თლათ, დადგება ხვავეი პურის კეკლის (ქვ. იმერ.).

ხვავეს ამ ძირითადი მნიშვნელობის (იხ. საბა, ჩუბინ.) გარდა, უფრო ფართო და ზოგადი მნიშვნელობაც აქვს. ის „ბარაქას“ სინონიმა. „ხვავი და ბარაქა! ხვავი და ბარაქა!“ — გაიგონებთ საქართველოს ყველა კუთხეში. საქმეს ხვავეი უნდა მიცე და ბარაქაო, — ამბობენ ქვემო იმერეთში.

ხვავი „გამოსავალს“ (იხ. დ. ჩუბინ. ლექსიკ.), მოსავალსაც ნიშნავს:

¹⁸ დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, S. V. ხვავი.

¹⁹ თანდებულისეული „ზ“ (—ზე) ქვ. რაჭაში (სოფლებში — ფუტიეთი, სხვათა, ბარი...) ორ ხმოვანს შორის ჩვეულებრივ იყარგება (ო. კახაძე, საზოგადოლო მივლინების ანგარიში ქვ. რაჭაში, 1947 წ.).

თეთრმა ხულუნგომ დიდი თავთავის გაკეთება იცის, ხ ვ ა ვ ი ც დი-
დი აქვს (შ. კახ., 886).

ყვითელმა სიმიინდმა კარგი ხ ვ ა ვ ი (resp. მოსავალი) იცის (ქვ.
იმერ., ს. დიდი ჭიხაიში).

ქვ. იმერეთში (ვანის რაიონში), სიმიინდი რომ რამდენიმე „ტაროს
გაიკეთებს“, იტყვიან ამ სიმიინდს ხვავე აქვსო.

ხვავის განმარტებისას ს. ორბელიანი იმოწმებს 2 ნეშტ. 31,6-ს.
აღნიშნულ ადგილზე მცხეთის ბიბლიაში ვკითხულობთ: „ხვავედ და
ხ ვ ე დ“, 1884 წელს გამოცემულ „დაბადებაში“—„ხორეულად მრავალ-
სა“; „... ბაქარის გამოცემაში ამ ადგილას დაბეჭდილია: ხორეულად
მრავსა“ ... ბერძნულში შაპან, ლათინურში acervus-ი..., რაც მართლაც
ხროვას, ხვაესა ნიშნავს“,—წერს ივანე ჭავჭავაძე²⁰. ქვემოთ 2 ნეშტ.
31,9-ში, ყველგან გვაქვს: მცხეთის ბიბლიაში: „ხუაეებისა“, „ხუა-
ეების“, „ხუაეებისა“; დაბად.; „შეგროებულთა“ (31,7), „ხორანი“, „ხო-
რათათს“; ბერძნულ ბიბლიაში ον σαρπίν (31,7), ρασ ςορπίν (31,8)
σαρπιν; ლათინურში კი—acervus (acervorum (31, 7), acervos, acervi).
არც ერთ ამ მუხლში (—6, 7, 8, 9) ხუაეი მხოლოდ შეგროებულ მარ-
ცვალს არ ნიშნავს (შდრ. ს. ორბელიანის განმარტება), არამედ უფრო
ფართო მნიშვნელობა აქვს და საერთოდ (გარკვეულ) საგანთა გროვაზე
თუ ხროვაზე მიუთითებს.

ამას ისიც გვიდასტურებს, რომ 1884 წ. გამოცემულ „დაბადებაში“
და ბაქარის ბიბლიაში, ხვავის ნაცვლად, დასახელებულ მუხლებში,
ვფიქრობთ, არა რაიმე გაუგებრობის ნიადაგზე²¹, არამედ სავსებით
სწორად, გვხვდება ხ ო რ ა. საბა ორბელიანის განმარტებით ხორა „შე-
შის ზვინი“-ა. ამავე მნიშვნელობით იხმარება ის დღესაც იმერულში:
ხორა! ხორა!-ო — იძახიან ხოლმე თამაშის დროს ბავშვები, როდესაც
რამდენიმე წაქეცილი ბავშვის ხ ო ვ ა შეიქმნება.

ასე რომ, იმერულში ახლაც ის მნიშვნელობა ჰქონია, რაც ჰქონდა
ძვ. ქართულში (ბაქარის ბიბლია, დაბად., საბა).

ირკვევა ისიც, რომ ხორა (/ხორეული) და ხვავე ძვ. ქართულში
ერთმანეთის სანაცვლოდ უხმარიათ, ან უფრო ზუსტად, ხ ო რ ა ს
ნაცვლად მცხეთის ბიბლიაში ხ ვ ა ვ ი გამოუყენებიათ და ის არა მარ-
ტო შეგროვილი მარცვალი ყოფილა, არამედ საერთოდ რაიმე საგანთა
გროვა.

20 ივ. ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, II, გვ. 95.

21 შდრ. ივ. ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., I, გვ. 95.

ამგვარად, ხვავი ნიშნავს, პირველ ყოვლისა, „შეგროვილ მარცვალს“, შემდეგ, რისამე გროვას, ბარაქას, „გამოსავალს და სხვა.

ხვავ-საწარმოებელი ფუძეა სიტყვებისათვის: ხვავიანი, ხვავრიელი (—ხვამრიელი) და სხვა:

...ხ ვ ა ვ ი ა ნ ი სიარული იცის (ქვ. იმერ.).

ეს ბეოლა ძან ხ ვ ა ვ ი ა ნ ი ა, შეხედავ არაფერია და რო დაბე-
ლავ ქვეყნის ფოთოლი დაცივა (იქვე).

წუხელ კარგა ხ ვ ა ვ ი ა ნ ა დ იწვიმა (იქვე).

ხ ვ ა მ რ ი ე ლ ი მოსავალი იცის დიკამ... (ქვ. რაჭა, ფუტიეთი).

ხ ვ ა მ რ ი ე ლ ი წელიწადია წრეულს, ყველაფრის კაი მოსავალია
(ქვ. იმერ.).

„ხ ე ლ ხ ვ ა ვ რ ი ე ლ ი, ხ ე ლ ხ ვ ა ვ ი ა ნ ი, დოვლათიანი, უხვად
მაშოვარი და უხვად მხარჭველი“²².

...სუფრაზე იმდენი საკმელი და ა ხ ვ ა ვ ა, მორევა გაგვიჭირდა
(ქვ. იმერ.).

ს ა ხ ვ ა ვ ე (თუშ., 560).

მეგრულში ხვავს ხვ-ე ეწოდება.

ხვ-ავ-ში -ავ²³ დეტერმინანტი სუფიქსი უნდა იყოს, ხვ- (—ხუ) კი
ძირია.

ეგევე ძირი უნდა გვექონდეს ხვარ-ში, სადაც -არ სუფიქსია, უხვ-
ში, ცე-ხე-აში, მეგრულ ჩ-ხვ-ერ-ში და სხვაგან.

3. ქვრიმა. ქვრიმა „ქურბიმი“-ს სახით ნახსენებია „ვეფხისტყაო-
სანში“²⁴. ამავე ფორმით ის, როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, უნდა
იყოს წარმოდგენილი დავით-ნარინის-დროინდელ ერთ სიგელში, სადაც
წერია: „ზარეთელთა გლეხთა(გან) გამოვალს მონასტრულითა დიდითა
კოკითა თურამეტი კოკაი ღვინო და:ა: (1) გრივი ქურამი(?)“²⁵.

ივ. ჯავახიშვილი ამ ცნობის შემდეგ განმარტებას იძლევა: „თ. ყორ-
დანისას ეს სიტყვა კითხვის ნიშნით შეუმკია. ეტყობა თავისი წანაკი-
თხი თითონაც სათუოდ მიუჩნევია. რაკი საწყაოდ ამ ადგილას გრივია
დასახელებული, ცხადი ზდება, რომ აქ მარცვლეულობაზე უნდა ყო-

22 გ. შარაშიძე, გურული ლექსიკონი, S. V. ხელხვავრიელი.

23 არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებ-
ში, თბ., 1942, გვ. 92...

24 ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, I, გვ. 364—
365.

• 25 ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., I, გვ. 365.

ფილიყო საუბარი. ხოლო მარცვლეულთა შორის ამ წანაკითხის მსგავსი სახელი „ქურიმი“, ან „ქურიმა“ არის, რომელიც „ვეფხისტყაოსან“-ში გვხვდება. ამიტომ ამ საბუთში თ. ჟორდანიას მცდარი წანაკითხი „ქურიმა“-დ უნდა შესწორდეს²⁶.

„ქერიმას“ იცნობს საბაკ, რომლის განმარტებითაც „ქერიმა ლომსა ჰგავს, ფეტვია (ვეფხის.-ტყ.)“. მეორეგან „საბას ნათქვამი აქვს, რომ „ქერიმა“-ს... კურწუმელი-ც ეწოდებოდა („კურწუმელი“²⁷ ქერიმააო“, ამბობს ის)²⁸.

XVIII ს. ქერიმა („Krimma“) გიულდენშტედტს²⁹ რაჭა-იმერეთში უნახავს, ხოლო XIX ს. დამდეგს კლაპროტს — ამერეთში.

„რაჭაში XIX ს. დამლევამდი ითესებოდა „ქერიმა-ჭადი“, „შავი-ჭადი“ და „წითელი-ჭადი“³⁰.

„ქერინოფა-ჭადს“³¹ რაჭაში დღესაც იცნობენ (ს. ფუტიეთი, სხვა-ვა).

„ქერიმას არაგვის ხეობაში ეხლაც სთესენ“...³²

სტეფანე მენთეშაშვილის განმარტებით ქიზიყში „ქერიმა ფეტვი მცენარეა, ფუნჯივით თავთავი იცის. ფქვავენ და მჭადად აცხობენ. ტბილია...“³³

ქერიმა ფეტვი „ხერიმას“ ფორმით კახეთშიც ყოფილა. 1935 წ. ჩაწერილ შიგა კახეთის შინამრეწველობის მასალებში ვკითხულობთ:

„ხერიმა ფეტვი იყო; ხერიმა სწორე თავთავიანია და წმინდა აბრეშუმვიით იზრდება; როგორც თითები, ეგეთი გაწმენდილი თავთავი ჰქონდა ხოლმე, უფხო იყო. ფარჩხა ფეტვის მარცვალი მსხვილია, ხერიმასი კი წვრილი იყო³⁴. ხერიმა ფეტვის ბურღო ძაან კარგია საქონლისათვის; როგორც წმინდა პურსა და ჭადში არის განსხვავება,

²⁶ ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., I, გვ. 365.

²⁷ „კურწუმელი“ ი. ყიფშიძისა და აკ. შანიძის რედაქციით გამოსულ ს. ორბელიანის „ქართულ ლექსიკონში“ არ გვხვდება.

²⁸ ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., I, გვ. 365.

²⁹ G ü l d e n s t ä d t J. Reisen durch Russland und im Caucasischen Gebürge, I (-II). St.-Peterburg, 1787—1791, გვ. 400.

³⁰ И. Л. Бахтадзе, Экономический быт государственных крестьян Рачинского уезда Кутанской губернии, МИЭБГКЗК, II, 1886, с. 54.

³¹ ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., I, გვ. 365.

³² იქვე, გვ. 366.

³³ ს. მენთეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი, გვ. 195.

³⁴ ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., I, გვ. 366, სადაც წერია: ქერიმა თავისი თვისებებით ფეტვისა და ლომის მსგავსი მცენარე ყოფილა, მხოლოდ მარცვალ ი უფრო წვრილი აქვს“.

ეგრე იყო საქონლისათვის ხ ვ რ ი მ ა ფეტვის ბურღო და ფარჩხასი* (შ. კახ., 889—901).

ამგვარად, ქ ვ რ ი მ ა შემდეგი ფორმების სახით: ქურმი („ვეფ-ხის-ტყაოსანი“, დავით ნარინის დროინდელი სიგელი), ქ ვ რ ი მ ა (საბა ორბელიანი), ქ ვ რ ი მ ა-ჭ ა დ ი (რაჭა), ხ ვ რ ი მ ა (//გვრიმა)³⁵ დასტურდება როგორც ძვ. ქართულში, ისე თანამედროვე ქართულის დიალექტებში და ერთ-ერთ ფეტვენაირ მცენარეს ჰქვია³⁶.

არნ. ჩიქობავას აზრით ქანური ქურუმ-ი „...ეჭვს გარეშეა იგივეა. რაც ქართ. ქურმი-ა//ქვრიმ-ა“, ოლონდ „...ქანურში ესაა ღ ო მ ი (გაუ-ცეხვაევი), ქართულში — ფეტვის სახეობა“...³⁷.

ქანური ქურუმ-ისათვის ამოსავალი უნდა იყოს ქართული ქურმიო (უ—ი—უ—უ — ასიმილაცია). თვით ქურმი, სავარაუდოა, „ქურინ“-იდან მომდინარეობდეს, რასაც გვაფიქრებინებს რაჭაში დაცული ფორ-მა ქვრინ-ოფ-ა. თუ ეს ვარაუდი მცდარი არ არის, მაშინ -ინ ფორმანტი იქნება, ქვრ- კი — შეკუმშული ფუძე.

კახური მაგალითი შესაძლებელს ხდის ვიფიქროთ, რომ ფუძე ქვრ- მომდინარეობს ხვრ-დან. ეს უკანასკნელი კი იგივე ფუძე უნდა იყოს, შეკუმშული მომდევნო (-იმ—-ინ) ფორმანტის მიერ, რაცა გვაქვს ხვარ-ში (იხ. ხორბალი).

ამგვარად, ქვრიმას თავდაპირველი სახე უნდა ყოფილიყო *ხვარ-ინ-ი//*ხვარ-ინ-ა, რომელშიაც აგრეთვე, როგორც ხვ-არ-ში, ხვ-ავ-ში, ცე-ხვ-აში, გამოიყოფა ძირეული -ხვ- და დეტერმინანტი სუფიქსი -არ-.

4. ჩხო. ქვ. იმერულში გვაქვს ჩ-ხო//ჩ-ხო-მ, რაც ვ. ბერიძის გან-მარტებით „გაუცეხვაევი ღომია“³⁸. ეგევე მნიშვნელობა აქვს მას გურულში. მაგრამ დღეს გურულში ჩხო სათესლე სიმინდს და ბრინჯსაც. (resp. გაუცეხვაე ბრინჯს) ნიშნავს (ს. ტაბანათი).

გურულ-იმერული ჩ-ხო-მ ზანურიდან უნდა მომდინარეობდეს, კერ-ძოდ, ქანურისა და მეგრულის ნ-ჩ-ხვ-ა-ი-ს, უფრო სწორად, მისი უნარო ფორმის ჩ-ხვაის მოდიფიკაციას წარმოადგენს (ჩ-ხვ-ა-ი-ჩ-ხო-მ). ზანურში (resp. ქანურში და მეგრულში) ნ-ჩხვაი-ს უფრო-

35 როგორც ვხედავთ, ხვრიმა//გვრიმა-ში ხვ- და გვ. ერთმანეთს უპირისპირ-დება როგორც ერთი ძირის ფონეტიკური და მელერი ვარიანტები. ასეთი პარალელი-ზმი ამ ძირის მქონე სხვა ფორმებშიც შეინიშნება...

36 ე. ჟ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., I, გვ. 364—366; 416—417.

37 არნ. ჩიქობავა, შედარ. ლექსიკ., გვ. 142.

38 ვ. ბ ე რ ი ძ ე, სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა, სპბ, 1912, S. V.- ჩხო.

სრული ფორმებიცაა დაცული; მაგ., ჰანურში გვაქვს ნ-ჩ-ხ-არ-ი, მეგრულში — ჩ-ხ-ერ-ი, რომელსაც „...წინათ... ჰანურის მსგავსი ფორმა უნდა ჰქონოდა, ამას ლომის დაბეგვის აღმნიშვნელი სახელზმნა „ჩხარუა“-ც ამჟღავნებს. ...არსებითად ეს მეგრული ზმნა დამარცვლის აღმნიშვნელი ყოფილა“³⁹.

„ჩხეაირ-→ჩხეერ- მოცემულია მეგრულში“⁴⁰.

ზანურ ფორმებში არნ. ჩიქობავამ გამოყო თავიიდური ნ-, როგორც ფონეტიკური დანართი, და -არ- (//-ირ-//-აირ-), როგორც დეტერმინანტი სუფიქსი⁴¹.

ძირეული ამ ფორმებში უნდა იყოს -ხვ-ხუ, რომელიც გვაქვს ხვ-ავში, ხვ-არ-ში, ცე-ხვ-აში და სხვაგან, ხოლო ჩ, სავარაუდოა, სახეცვლილი ნივთის კლასის ნიშანია, სახელდობრ, *დი-, ე. ი. *დი-ხუ-არ-ი → *ჯი-ხუ-არ-ი → ჯ-ხვ-არ-ი⁴² → ჩ-ხვ-არ-ი.

* * *

აქვე უნდა განვიხილოთ ც ე ხ ვ ა და ც ხ ა ვ ი.

„ცეხვა, ს. ორბელიანის განმარტებით, ცემით მარცვლის ქერქის შემოდრობა“ არის. ასევე ესმის ის დ. ჩუბინაშვილსაც⁴³ და ჩვეულებრივ ამასვე ნიშნავს დიალექტებში დღესაც:

„მჭადის თავლებს“ ფეხით „ჩაფშენიდან გოდორში“ და ამის შემდეგ ყრიდენ „საცეხველში“ და კაკუტებით ც ე ხ ვ ა ვ დ ე ნ“. კარგა ხნის ცეხვის შემდეგ „აიბერტყებოდა“ და ისევ იწყებოდა „ცეხვა“.

³⁹ ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., II, გვ. 86.

⁴⁰ არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, შედარ. ლექსიკ., გვ. 142.

⁴¹ არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, შედარ. ლექსიკ., გვ. 143.

⁴² ე. თ ო ფ უ რ ი ა მ წ ე რ ი ლ შ ი:—„რედუქციისათვის ქართულურ ენებში“ (ივე, I, ტფ., 1936, გვ. 63—90) დაადგინა, რომ „...ძველ ქართულში რედუქტირდებოდა... ი და უ ხმოვნებიც“ (იხ. დასახელებული წერილი, გვ. 88). იქვე ნათქვამია აგრეთვე, რომ „რედუქციის წესები საერთო უნდა ყოფილიყო თავის დროზე ქართულურ ენათათვის“, ისიც, რომ „რედუქცია ზანურსაც ახაიათებდა“ და აგრეთვე ისიც, რომ „მეგრ-ჰანურში ყველა ხმოვანი შეიძლებოდა დაქვემდებარებოდა რედუქციას...“ (გვ. 80); არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, თავის ნაშრომში — „სახ. ფუძის უძველესი აგებულება ქართულურ ენებში“, წერს: „ცალკეული შემთხვევები ფუძის შეკუმშვისა ჰანურშიც მოგვაგვრება და მეგრულშიც...“ (გვ. 110). მისივე „შედარებით ლექსიკონში...“ ვკითხულობთ: „...ჰანურსა და მეგრულში დასტურდება ზოგი შეკუმშული ფუძე (მაშინაც კი, როცა შესატყვისი ქართული ფუძე არაა შეკუმშული) და ეს მიუხედავად იმისა, რომ არც ჰანურმა და არც მეგრულმა ფუძის შეკუმშვა არ იცის (ამჟამად)...“ (გვ. 443).

⁴³ დ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, სპბ., 1887, S. V. ცეხვა.

მაგრამ ამ ჭერად „საცეხველში გასაცეხე მკადს“ თავზე აყრიდენ სიმინდის გაშლილ „ფუჩჩის“, რომ „ცეხვის დროს მკადის კეკაღი“ არ გასხლტომოდა „კაკუტს“ და კარგად „გაცეხვილიყო“. როცა „ორი წილი სრულიად გაიცეხებოდა, როგორც ღომის კეკალი ისე“, მაშინ ამოიღებდენ „საცეხველიდან“ და ხელმეორედ „დაბერტყ-დაიწმინდებოდა“ (ქვ. იმერ.).

ზანდური, მახა და ღომი ი ც ე ხ ვ ე ბ ა საცეხველში (sic) „ხელკავით“ (ლექს., 36^ა).

...ჩამწკრივდებიან „ჯორგოს“ (resp. საცეხველი) გარშემო და „ხელკავით“... ც ე ხ ვ ე ნ (ლექს.).

ერთი კაცი ფეხით ც ე ხ ვ ა ვ ს ორჯერ მეტს, ვიდრე 2 კაცი ერთად ხელით... (ლექს.).

ქართლში „ც ე ხ ვ ა ვ ე ნ“ მხოლოდ სიმინდს და ღობიოს. ასე რომ, აქ ცეხვა სიმინდის ან ღობიოს სპეციალური იარაღით (resp. საცეხველით) დამარცვლას ნიშნავს. ამასვე ნიშნავს „ცეხვა“ კახეთში და ზემო იმერეთში:

ც ე ხ ვ ა სიმინდის მარცვლის გაცლაა (ქართლი).

სიმინდისათვისაც კარგ ტაროს გადავარჩევთ და იმას და ვ ც ე ხ ვ ა ვ თ ხოლმე სათესლედ (შ. კახ. 916).

„...სიმინდის ან ღობიოს ს ა ც ე ხ ვ ი კეტი“⁴⁴.

„...ც ე ხ ვ ა ვ ე ნ სიმინდს ან ღობიოს“⁴⁵.

„ცეხვა... დაბადების თარგმანში თითქოს არ უნდა იყოს, წერს ივ. ჭავჭავიძე⁴⁵, მაგრამ სამაგიეროდ მისი იმ დროსაც არსებობას ამჟვე ძეგლში ნახმარი ტერმინი „საცეხველი“ ამტკიცებს, რომელიც საბას იგავთა 23,31-ის დამოწმებით განმარტებული აქვს, როგორც „მარცვალთ საძეგვი“. იგავთა ეს ადგილი თავის ლექსიკონში დამოწმებული აქვს ილია აბულაძესაც⁴⁶:

„უკუანახსენელ ხვლოდით უშიშვლესნი ს ა ც ე ხ ვ ე ლ ის ა თ ა ვ ისა“.

ს ა ც ე ხ ვ ე ლ ი თანამედროვე ქართულის დიალექტებში გვხვდებ-

⁴⁴ ბ. წერეთელი, ზემოიმერული ლექსიკონი. — გურული, ზემოიმერული და ლეჩხუმური ლექსიკონი, პროფ. ვ. ბერიძის რედაქციით, თბ., 1938.

⁴⁵ ივ. ჭავჭავიძე, დასახ. ნაშრ., II, გვ. 87.

⁴⁶ ი. აბულაძე, ძვ. ქართული ენის ლექსიკონი, S. V საცეხველი.

შდრ. -ც ე ხ ვ- და -ძ ე გ ვ- (სა-ცეხვე-ლი—სა-ძეგვი-), რომლებიც ერთმანეთს უპირისპირდებიან როგორც ერთი ფუძის ფშვინეიერი (ც... ზვ) და მელერი (ძ... გვ) ვარიანტები...

ბა ხან საცეხველე-ს // საცეხველი-ს, ხან საცეხვარი-ს (ზ. იმერ.) და ხანაც სამცეხველოს სახით.

ის გურია-იმერეთში (resp. ქვ. იმერ.) ნიშნავს ან მხოლოდ ქვის ჭურჭელს (გურ. ჩამური, მეგრ. ოჩამური), რომელშიაც მარცვლეულს (ლომი, ფეტვი, ზანდური, მახა, ბრინჯი...) „ხელკავეები“-სა თუ „კაკუტები“-ს ცემით ქერქს (resp. კილს) აცლიან (resp. ცეხავენ), ან მთლიან ხელსაწყოსაც, რომლითაც მარცვლეული იცეხება (მაგ. „წყლის საცეხველი“, „ფეხის საცეხველი“, „საცეხველი“):

„ფეტვს... ისე უნდა მოვლა, როგორც ღომს, ოღონდ წყლის საცეხველი არ არის საჭირო, რადგან წისქვილშივე ვფქვავეთ ფქვილად... (იმერ., ტყიბული, 289).

ბელლიდან ღომს „მერე ამოვიღებთ, როცა გახმება კარგად და გავცეხვათ საცეხველში ხელკავეით“ (ქვ. იმერ., 282).

...ს ა ც ე ხ ვ ე ლ ი... (გურ., 10 ა).

საცეხველა (resp. სიმინდის საცეხველი) ქართლში ჰქვია საგანგებოდ დამზადებულ თავმსხვილ კეტს, რომლითაც ჭინში ჩაყრილ სიმინდს, ან მიწაზე დაყრილ ღობიოს ცეხავენ. ამასვე ნიშნავს საცეხველი ზემო იმერეთშიაც:

ს ა ც ე ხ ვ ე ლ ა, რომლითაც არტყავენ ტაროს, ფშენიან სიმინდს, ცოტათი მოღუნული ხეა (ქართ.).

ს ა ც ე ხ ვ ე ლ ი — ჯობი, კეტი (ზ. იმერ., 23).

ს ა ც ე ხ ვ ა რ ი — საცეხვი ჯობი⁴⁷.

... და ც ე ხ ვ ა — სიმინდის დაფშენა არის მსხვილი კეტის — ს ა ც ე ხ ვ ე ლ ი ს, რტყმით (ზ. იმერ., 23).

ი. ჭყონიას განმარტებით „საცეხველა (ქართ. რაზიკ.) თონხაზი“-ა. თონხაზი კი დ. ჩუბინაშვილს ასე განუმარტავს: „თონხაზი (ოსმ.), კვერი...“

ზემო იმერეთში ბ. ვ. წერეთლის თქმით „საცეხველი არის სასიმინდის ის განყოფილება(ც), სადაც ცეხავენ სიმინდს ან ღობიოს“⁴⁸.

ერთი სიტყვით, ცეხვა „გამომარცვლას“ („გამოკაკვლას“), ხოლო საცეხველი (//სამცეხველო, საცეხველე...) მარცვლეულის „საძეგვ“ იარაღს (resp. „კეტს“), თუ მთლიან მოწყობილობას („როფს“ და „კაკუტს“ — ქვ. იმერ., „ჯორგოს“ და „ხელკავს“ — ლეჩხ.), ან მხოლოდ ქვის როფს (resp. „როდინს“, „ჯორგოს“) ნიშნავს.

ცე-ხვ-აში (სა-ცე-ხვ-ელ-ში) -ხვ- (←-ხუ-) ძირეული უნდა იყოს,

47 ბ. წერეთელი, ზემოიმერული ლექსიკონი.

48 იქვე.

ცე კი, ადვილი შესაძლებელია, სე⁴⁹-დან მომდინარეობდეს სუბსტიტუციის გზით და წარმოშობით ნივთის კატეგორიის ნიშანია.

ს—ც. სხვა მაგალითებიც გვაქვს⁵⁰:

ს ა ნ დ ა ლ ი — ც ა ნ დ ა ლ ი.

ს. ორბელიანის განმარტებით „ც ა ნ დ ა ლ ი ფერკოსაცმელია“⁵¹.

ს რ ა ვ ა ლ ი — ც რ ა ვ ა ლ ი.

„ცრავალი“ საბას ასე განუმარტავს: „საფქვავის საფენი“, „სრავალი“ კი — ასე: „საფენი ხვარბალი“.

ცე-ხვ-ას (სა-ცე-ხვ-ელ-ის) ასეთ დაშლას მხარს უჭერს ხვ-ავ-ში -ხვ- ძირისა და -ავ დეტერმინანტი სუფიქსის გამოყოფა (იხ. გვ. 16), ხორბალში ხ ვ ა რ ი ს გამოცალკეება (იხ. გვ. 11) და ხვ-ავ-თან შეპირისპირებით მისი -ხვ- ძირად და -არ დეტერმინანტ სუფიქსად დაშლა.



ც-ხ-ავ-ი და მისგან ნაწარმოები ფორმები გვხვდება როგორც ძვ. ქართულში (resp. საბა ორბელიანის ლექსიკონში), ისე თანამედროვე ქართულის დიალექტები.

ს. ორბელიანის განმარტებით „ცხავი მიწის გასაცერი“⁵².

„ცხავი მიწის საცერი“⁵³ ა დ. ჩუბინაშვილისათვისაც, რომელიც ამ განმარტებისას საბაზე მიუთითებს.

დიალექტებში ცხავი ჰქვია საცრისებურ საგანს, რომელშიაც გაატარებენ გასაწმენდ მარცვლეულს და რომელშიაც, გადის რა მარცვალი, რჩება „ჩელხი“; „ჩალა-ბულა“ და სხვა მარცვალზე უფრო მსხვილი საგნები. მარცვლის ცხავში გატარებას (resp. გაცხავენას) მოსდევს მისი გაცხრილვა ცხრილით, სადაც მარცვალი რჩება, ხოლო „მიწა“, წვრილი ბალახის თესლი და სხვა კი გადის.

„ცხავში, — განმარტავს ალ. ქინჭარაული, — მარცვალი და წვრი-

⁴⁹ შდრ. არნ. ჩიქობავას შედარ. ლექსიკ., გვ. 157, 158; მისივე, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942, გვ. 169 — 171, § 57.

⁵⁰ Н. Я. Марр, Грамматика древнелитературного грузинского языка.— МЯЯ, XII, Л., 1925, с. 01, 015, 021.

⁵¹ მარკოზის 6,7 ვიოთხლობთ: „არამედ ს ა ნ დ ა ლ ი მ ც ა გახსენ, და ნუ შეიმოსო მრჩობლსა კვართსა“ (ოთხთავი, ავ. შანიძის გამოცემა); შდრ. ბერძნული: „ $\mu\lambda\kappa\alpha$ $\nu\alpha\iota\sigma\iota\sigma\iota\mu\alpha\iota\sigma\iota$; $\sigma\alpha\upsilon\theta\alpha\delta\lambda\epsilon\alpha$, $\kappa\alpha\iota$ μ “ $\epsilon\lambda\theta\epsilon\sigma\iota\sigma\iota\mu\alpha\iota$ $\theta\alpha\iota$ $\chi\epsilon\tau\omega\upsilon\alpha\varsigma$ (იხ. ბერძნული ოთხთავი).

ლი მინარევი გადის, ხოლო ქეები, მცენარის ღეროს ნატეხები და მისთ. რჩება. ცხრილში კი პირიქით, ...მინარევეები — მიწა, სილა, სარეველა მცენარეთა თესლი და მისთ. გადის, ხოლო მარცვალ რჩება“⁵². მოვიყვანოთ საილუსტრაციო მაგალითები დიალექტებიდან:

„...ცხავს მარტო ქერ უნდა გაუდას ცხავების დროს — ქვაი და სხვა ჰყუმ ქვე უნდა დაიპირას, რომ ქერი გარჩეულ უნდა იყოს (ხევს., 168).

„...ცხავს ქერ გასდის, იმთვენად თხელი ას, ცხრილს მარტო ცურცუმელაი და ნალო მარცვალ უნდა გაუვიდას, იმდენად მტკიცე ას... (ხევს., 168).

სინამ ხვავს კალოდან აიღებდენ, მანამ ხორბალს ჯერ ცხავეში გაატარებენ ხოლმე. ცხავს სხვილი ჩურჩუტანები აქვს და მარცვალ მისდის, ხოლო ჩელხი და ჩალა-ბულა შიგ რჩება... (ქიზიყ., 818).

...როცა განიავდება, ცხავში უნდა გაიაროს კიდევ. ცხავს ქვეითი... პურია..., ცხავს ზეითი გონჯია — ის არ ირჩევა, ფინთია — ცხავის თავს ვეძახით... (მთიულეთი, 720).

...აცხავეების დროს ხვავის თავში ცვივა მძიმე, მაძლარი მარცვალ (საინგ., 367).

ცხავი აცხავებულა, წვიმა აჩქარებულა... (ქართლი, მდ. მტკ. სამხრ., 216).

...შემდეგ გამოვნიჩხავთ ხორბალს, მერმედ შავაგროვებთ პურსა, მერმედ დავაცხავებთ ცხავში... (ზ. ქართ., მეჭერის ხევი, 869).

დანიავებულს განიჩხისპირებენ, დააცხავებენ, წმინდალ დანიავებენ (ფშ., 196).

„თხის ტყავი მოიხმარება ქვაცხრილად და ცხავადა, გაწმდება პური, სიმინდი, დადგება სუფთა ხვავადა (მესხეთი, 260).

განიავების დროს თან ცოცხით უნდა მეესურავებინათ, რომ ჯელი არ შაჰყოლოდა. ჯელდში პურიც გადასდევდა, მაგრამ იმასაც გავაცხავებდით ხოლმე, პური ქვეშ გაუვიდოდა და ჯელს კი ცალმხარეს მოეყრიდით (შ. კახ., 914).

„დაცხაულს“ ზ. რაჭაში უწოდებენ „თოფის ტყვიით დახვრეტილ ფიცარს ან სხვა რამეს.

ცხავი ლეჩხუმში გვხვდება მძღავის სახით, სადაც ფონეტიკურ ნიადაგზე ჯერ -მ- განვითარებულა, შემდეგ კი მომხდარა მომღვენო

⁵² ალ. ვინქარაული, ხევსურულის თავისებურებანი, თბ., 1960, გვ. 206; თ. თედეაძე, ნარკვევები ქართულ-ოსური ურთიერთობიდან, თბ., 1983, გვ. 170—171.

ბგერების — ც და ხ-ს გამჟღერება, ე. ი. ადგილი ჰქონია ცვლილებათა ასეთ პროცესს: ცხავი—*მცხავი—მ ძ ლ ა ვ ი.

მ ძ ლ ა ვ ი (ლენხ.) არის ხორბლის გასაცხრილავი.

როცა ვ ა ძ ლ ა ვ ე ბ თ: ბზე და ჩალას თავს მოიდებს, იმას ხელით ავართვამთ (როცა გავკაბამთ — კაკალი ძირ ცვივა, ბალახი და ქვა კაკაბაში რჩება); როცა გავცხრილავთ — სილა ძირს გადის და სუფთა კაკალი ცხრილში რჩება (ლენხ., 40).

განიავების მერე „მძღავით“ — გავამძღავებთ. მძღავი თხელი საცერია, თხელი ტყეჩისაგან ვიციტ მოწვნა. მერე კაკაბათი მოვხურავთ, გავცხრილავთ ცხრილით მერე; როცა ვ ა მ ძ ლ ა ვ ე ბ თ: ბზე და ჩალას თავს მოიდებს (ლენხ., 40).

ამრიგად, როგორც დიალექტური მონაცემები გვიჩვენებენ, „ცხავი“ არის „საცრის მსგავსი ხელსაწყო“⁵³, რომელშიაც ერთგვარი გასუფთავების მიზნით ატარებენ მარცვლეულს, ან, თუ შეიძლება ასე ითქვას, ახდენენ მარცვლეულის „გამარცვლას“, ანუ „გაცხავებას“ (resp. დაცხავებას).

სიტყვა ცხავი შეუთვისებია ოსურს: ქართ. ცხავი→ოს. ცხავი, (цыхави)⁵⁴.

ც-ხ-ავ-ში ძირეული ჩანს -ხ- (-*ხვ), ც- (-*ცე) კი იგივე პრეფიქსი უნდა იყოს, რაც გვაქვს ცე-ხვ-აში. პრეფიქსეულ ე-ს, ხმოვნია-ნი სუფიქსის (resp. -ავ) მეზობლობაში, რედუქცია მოსვლია (ცე-ს შესახებ გვ. 22).

-ხვ- ძირი უნდა გვექონდეს ჩვენ აგრეთვე ხვ-ეტ-ა-ში უ-ხვ-ში და სხვ. მრავალგან.

ხვ-ეტ-აში⁵⁵ -ეტ (-*ელ) სუფიქსი ჩანს⁵⁶.

საგულისხმოა, რომ ხვეტა აღმოსავლეთ საქართველოში საერთოდ დაგვას არ ნიშნავს, როგორც ესა გვაქვს დასავლეთ საქართველოში, იკერძოდ გურია-იმერეთში, და რაც ამ სიტყვის მეორე მნიშვნელობა უნდა იყოს, არამედ არნადით კალოზე ან სხვაგან ჩვეულებრივ მარცვლეულის თავმოყრაა, მოგროვებაა, მოწევაა...

მაგ.:

არნადებით შე ა ხ ვ ე ტ ა ვ ე ნ კაცი იქნება თუ ქალი (ქართლი, დ. ატენი).

⁵³ ქეგლ, s. v. ცხავი.

⁵⁴ ო. თ ე დ ე ე ვ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 170.

⁵⁵ შდრ. არნ. ჩ ი მ ბ ა ვ ა, შედარ. ლექსიკ., გვ. 425.

⁵⁶ ე. თ ო ფ უ რ ი ა, ფუძედრეკად ზმნათა სუფიქსაციისათვის. — ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, I, ტფილისი, 1936.

არნალი — მისახვეტი ხვავისა (დ. ატენი).

არნალით მივხვეტავდით — ბზე ცალ მხარეს მიდიოდა პური წინა რჩებოდა (გ. კახ., 285).

საღამო ხანს კალო უკვე გაღეწილია, კევრს გამოუშვებენ და დაიწყებენ შეხვეტას. ხვეტენ არნალით (ქიზ., 800).

არნადს ეხმარობთ კალოზე მიწისა და მტერის მოსაგროვებლად და მისაწევად. არნალი პურის (გაღეწილი პურის) მოსაგროვებლად არის კიდევ საჭირო (ქვ. რაჭა, 175).

აქედან შევხვეტოთ არნალით (ქვ. რაჭა, ს. ფუტიეთი).

კონებათ მოვიტანთ და გავლენავთ კევრით. შევხვეტავთ — არნალით „კალოთ“ (ლეჩხ.).

საბას განმარტებული აქვს, რომ „ხვეტა აფხეკასავეთ“-აა და წყაროდ დასახელებული აქვს იობ., 7, 5, მაგრამ დაბადებაში (1884) ამ ადგილზე „ხვეტა“ არა გვაქვს.

• • •

უ-ხვ-ი, ს. ორბელიანის განმარტებით, „მრავლის გამცეში“-ა.

უ-ხვ-ში ძირეული ჩანს -ხვ-, რომელიც იგივე ძირი უნდა იყოს, რაცა გვაქვს მარცვლეულის აღმნიშვნელ სიტყვებში, სახელდობრ ხვ-ავ-ში, ჩ-ხვ-არ-ში და სხვ., უ-კი ხარისხის მაწარმოებელია (ისეთი, როგორც მოგვეპოვება, უ-ფროსში, უ-დიდესში, უ-მცირესში და სხვ.)⁵⁷.

ამგვარად სემანტიკური გადახრა ძირისა (resp. -ხვ-), რომელიც მარცვლეულზე თუ მარცვლიანობაზე (შდრ. ხვ-ავ-ი, ხვ-არ-ი, ხვ-არ-ბალი...) მიუთითებს, შეუძლებელი არ არის; მარცვალი//მარცვლეული — მ რ ა ვ ა ლ ი მ ა რ ც ვ ა ლ ი — მ რ ა ვ ა ლ ი... — მ რ ა ვ ლ ი ს გამცე-მი... — სიტყვის მნიშვნელობათა ასეთი თანმიმდევრობით ცვლა თეორიულად და რეალურადაც, რაც კიდევ უნდა გვქონდეს ამ შემთხვევაში, საესებით შესაძლებელია⁵⁸.

ამგვარად, ხვ (←ხუ...) ძირეული ელემენტი აღმოაჩნდა სიტყვებს: ხვ-არ-ბალი, ხვ-ავი, ქვრიმა, ჩხო, ცეხვა, ცხავი და სხვ.; როგორც ვხვდავთ, -ხვ- მარცვლეულის, მარცვლისებური საგნებისა და გამომარცვლის... აღმნიშვნელი სიტყვების ძირად გვევლინება, მარცვლიანობაზე მიუთითებს.

⁵⁷ ავ. შ ა ნ ი ძ ე, პირის ნიშანი ბრუნვიან სიტყვასთან ქართველურ ენებში. — ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, I, ტფ., 1936, გვ. 337—339.

⁵⁸ Н. Я. Марр, Извлечение из сванско-русского словаря..., Петроград, 1912, S. V. ხვაი.

5. ხულუგო. ხულუგო ისე, როგორც ქუბა და ზანდური, დღეს რაჭა-ლეჩხუმში⁵⁹ ისმის და, ადვილი შესაძლებელია, აღმოსავლეთ საქართველოში არასოდეს არც ყოფილა ფართოდ გავრცელებული.

„ხულუნგო“, ს. ორბელიანის განმარტებით, „უფხო ყანა“-ა. რაჭა-ლეჩხუმში ამჟამადაც უფხო პურს ხულუგო//ხულუნგო ჰქვია⁶⁰.

მოვიყვანოთ საილუსტრაციო მაგალითები:

ხულუგოც უფხო პურია. სასიამოვნო საკმელია. ძალიან მოღაჟიანია, იფქლისა... არ ... იყოს (ლეჩხ. 36^ა).

ხულუგო უფხო პურია. გამომავლობა კარგი აქ... (ზ. რაჭა., 37).

ხულუგოც კინდამ ცალს არ ჩამოუგდებს იფხლს (ქვ. რაჭა, ს. ფუტიეთი).

ხულუგოსა ვთესამდით შამოდგომით თოვლზე (ს. ფუტიეთი).

ჩვენში ახლა მუდმივ ხულუგო ითესება (ქვ. რაჭ.).

ხულუგოც იყო გაზაფხულზე (ს. ფუტიეთი).

წითელი ხულუგო... (ქვ. რაჭ., 189).

თეთრი ხულუგო... (ქვ. რაჭ., 189).

ივ. ჭავჭავიძე ხულუგოს (წარმოშობით) კომპოზიტად თვლის⁶¹.

გ. როგავა ამტკიცებს: ხულ-უნგო ადილეური სიტყვაა, და უკავშირებს მას კიახურ ჰაზლგლ-ს „პურს“ (გამომცხვარს). თვით კი შედგენილ ფუძედ მიაჩნია: ჰაზ... „ქერი“, ღია „შეწვი“⁶².

უფხო პურის სხვა სახელებიდან ცნობილია აგრეთვე პოშოლა (ზ. ქართ.), ხუზალა (ქართლსა და რაჭაში)⁶³, ხოზო (ქვ. იმერ.)⁶⁴, ხოტორა, ხოტრა, კნაჭა (ზ. იმერ.)⁶⁵, „უფხო პური“ (ქართლი).

პოშოლას და ხუზალას შესახებ ივ. ჭავჭავიძე წერს: „ჭერ არც ამ სიტყვების სადაურობაა ნათელი და არ ვიცი, აქვს რაიმე კავშირი „ხუზალა“-ს რვეალი პურის ძველ ქართულ სახელ „კუფუზა“-სთან⁶⁶, თუ ეს ტერმინი ადამიანმა უნდა ახალ-სომხურ დიალექტებში გავრცელებ-

⁵⁹ იხ. გაზეთი „კომუნისტი“, 1948, 7 სექტემბერი.

⁶⁰ ივ. ჭავჭავიძე, საქ. ენ. ისტ., I, გვ. 333, 335, 336.

⁶¹ იხ. საქ. ენ. ისტ., I, გვ. 336, სადაც შენიშვნაში ივ. ჭავჭავიძე ცდილობს კიდევ მის ქართულ ნიდაგზე განალიზებას. იხ. აგრეთვე ამავე ნაშრომის გვ. 386.

⁶² გ. როგავა, ადილეური ლექსიკური მასალა ქართულში (წაკითხულია მოხსენებად საქ. მეცნ. აკად. ნ. შარის სახ. ვენის ინსტიტუტის კავკასიურ ენათა განყოფილების საჯარო სხდომაზე 1945 წელს).

⁶³ ივ. ჭავჭავიძე, დასახ. ნაშრ., I, გვ. 334.

⁶⁴ ალ. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, S. V. რბილი ხორბალი უფხო.

⁶⁵ იქვე.

⁶⁶ გ. როგავა, დასახ. ნაშრ. (ხელნაწერი).

ბულ „ხოზან“-ს ...შეადაროს, რომელიც ბევრ სომხურ დიალექტებში 'ხორბლეულის მომკის შემდგომ საყანურში დარჩენილ ნამჭას, ანდა გაუმარგლავ სარეველ მცენარიან ნათესს ჰნიშნავს... „მაგრამ არც ამ სიტყვის სადაურობაა გამორკვეული“, — შენიშნავს ის, და არც „პოლოლა“-ს შესახებ ვიცით რაიმე დანამდვილებითო⁶⁷.

გ. როგავას ქართულ ღვამ (ღვარძლი) ყაბარდოულიდან გადმოსულ სიტყვად მიაჩნია (ყაბარდოულში გაჰმ ხორბალია)⁶⁸, ხოლო ამ უკანასკნელის ვარიანტებად თვლის ქართულისავე „...ლვეძელს, მეგრ. ღვეზ-ელ-ს, ძვ. ქართ. კუეზას და მეგრ. ხოზოს“⁶⁹.

6. მახა. „მახა“ (*Triticum macha* Dek. et Men.), რაც ხორბლის უძველესი სახეობის ქართული სახელია⁷⁰, დღეს გვხვდება მხოლოდ ლეჩხუმსა და რაქაში, მაგრამ წინათ საქართველოს დანარჩენ კუთხეებშიც⁷¹ ყოფილა ცნობილი.

„მახა ყანაა, ასლსა ჰგავს“, — წერს ს. ორბელიანი.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ის, რომ ნ. მარს თავისი „ქანური ენის გრამატიკის“ ლექსიკონში შეტანილი აქვს სიტყვა „მოხა“, რომელსაც ასე განმარტავს: „მოხა... ხორბლის განსაკუთრებული სახეობაა“.

ვ. მენაბდის მოსაზრებით⁷² „მოხა“ და „მახა“ პურის ერთი და იგივე ჭიმები უნდა იყოს⁷³.

ამგვარად, მახა გვხვდება როგორც ძვ. ქართულში (იხ. ს. ორბელიანის ქართულ ლექსიკონში მახა), ისე თანამედროვე ქართულის დიალექტებშიც (ლეჩხუმში, რაქაში)⁷⁴ და თავის დროზე ყოფილა ზანურშიც, კერძოდ, მოხას სახით დღესაც გვაქვს მის ქანურ დიალექტში. ლეჩხუმის ერთ კუთხეში მახას „პოლოლა“-ც რქმევია⁷⁵.

67 ივ. ჭავჭავიძე, საქართველოს ენ. ისტ., I, გვ. 336—337.

68 იხ. გ. როგავა, დასახ. ნაშ. (ხელნაწერი).

69 შდრ. ივ. ჭავჭავიძე, დასახ. ნაშ., I, გვ. 397—398.

70 ლ. ლ. დეკაპრელევიჩი. შოთა რუსთაველის ეპოქის მინდვრის კულტურები: შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა (გამოცემული ივ. ჭავჭავიძის რედაქციითა და წინასიტყვაობით). თბ., 1937. გვ. 10; იხ. აგრეთვე, Л. Л. Декaprелeвич и В. Л. Менабде, К изучению полев. культ. Зап. Грузин. I, Рача, с. 236; В. Л. Менабде, Пшеницы Грузии, Тб., 1948; с. 7—8.

71 ივ. ჭავჭავიძე, დასახ. ნაშ., I, გვ. 339.

72 В. Л. Менабде, Пшеницы Грузии, с. 7—8.

73 ალ. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, თბ., 1948, გვ. 33.

74 ივ. ჭავჭავიძე, დასახ. ნაშ., I, გვ. 394.

75 მ. ალავეიძე, ლეჩხუმური ლექსიკონი (მასალები ამ ლექსიკონისათვის ძირითადად იკრიბებოდა სოფ. საირმესა და მის ახლომახლო სოფლებში).

მახას სხვადასხვა სახეობის აღსანიშნავად ლეჩხუმშივე უხმარიათ. შემდეგი ერთმანეთისაგან განსხვავებული გამოთქმები⁷⁶: წვრილი მახა, კენტელა მახა, ფართე მახა, ფიცარა მახა, ჩელტა მახა და მახა ანუ მახა პური.

თუ ქანური „მოხა“ ზანურ მეტყველებას შეგუებული ქართული „მახა“ არაა, მაშინ შესაძლებელია ვილაპარაკოთ მახა-ა მოხა-ა-ს შესატყვისობაზე. მა-→//მო- — აფქისა (resp. კლასის ნიშანი); -ხ- ძირეული უნდა იყოს და ის საერთო ჩანს არა მარტო ქართველური ენებისათვის, არამედ რიგი მთის იბერიულ-კავკასიური ენისათვის: ა-*-აღ-⁷⁷ -*არ) კი, სავარაუდოა, არის დეტერმინანტი სუფიქსის ნარჩენი.

მახ-→მოხ- — ამ ცვლილებას მხოლოდ მას შემდეგ უნდა ჰქონოდა ადგილი, რაც მა- ძირეულად იქნა გაგებული, ძირს შეეზარდა და მისი აფიქსობა არ იგრძნობოდა⁷⁷.

მახა-ს ასე დაშლას: მა-ხ-ა // მო-ხ-ა და მასში ძირეული ხ-ს გამოყოფას მხარს უჭერს იბერიულ-კავკასიურ ენათა რიგი მონაცემი.

განვიხილოთ ისინი:

ყაბარდოულად ქერს ჰჰმ⁷⁸ (hha)⁷⁹ ჰქვია, გიულდენშტედტის ჩანაწერით Ha⁸⁰.

ქერის ყაბარდოული სახელწოდება ჰჰმ-ში ძირეული უნდა იყოს -ჰჰ-ა აფიქსისეული ჩანს...

⁷⁶ ვ. ს უ პ ა ტ ა შ ვ ი ლ ი, ლეჩხუმის მაზრის ასლები, 86, 87; ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., I, გვ. 339; ვ. მ ე ნ ა ბ დ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 8

⁷⁷ 1960 წელს პროფ. ალ. რობაქიძემ, გაცნობა. რომ 1957 წ. მესტიაში მის მიერ დადასტურებულია ლიტერატურაში მანამდე უცნობი ქერის სევანური სახელი მახარ. (მახარ დამოწმებულია სევანის მესობელ ბალარცელთანაც; იხ. А. И. Р о б а к и д з е, Что удалось обнаружить этнографам.—„Заря Востока“, Тб., 1959, 22. II; ამავე დროს ენათმეცნიერების ინსტიტუტის მეცნიერმა თანამშრომელმა მერი გუჯეჯიანმა მოგვარა ცნობა რომ მულახში და აგრეთვე სხვა ბალს-ზემოურ თემებში ქერის აღსანიშნავად კვინ-თან ერთად იხმარება სიტყვა მახვირ.

ამ მეტად საყურადღებო ცნობისათვის ალ. რობაქიძესა და მერი გუჯეჯიანს მადლობას მოვასხენებ.

აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ სევანური მახარ და მახვირ „ქერი“ მატერიალურად იგივე უნდა იყოს, რაც ქართული მახა და ზანური მოხა.

⁷⁸ გ. როგავა, ადგიური ლექსიკური მასალა ქართულში; М. А. К у м а х о в, Отраслевая лексика с корнями һа „ячмень“, Іа, х'оэ, „просо“ в адыгских языках.—ЕИКЯ, II, Тб., 1975, с. 7Е—Е0; А. К. Ш а г и р о ე, Этимологический словарь адыгских (черкесских) языков, I—II, с. 116.

⁷⁹ Л. Л о п а т и н с к и й, Русско-кабардинский словарь, S. V. просо.

⁸⁰ R e i s e n, II, გვ. 531.

ქ. ლომთათიძე აღნიშნავს, რომ აფხაზურ სიტყვაში ა'მ'ზგ „ყანა“ იგივე ძირი უნდა გვექნოდეს, რაც ქართულ ახო-შია. შესაძლებელია მას უკავშირდებოდეს ქართულში ხორბლის უძველესი სახეობის „მანა-სა-ხელწოდებაცო“⁸⁰, დასძენს ის იქვე. მისივე ვარაუდით, ამ სიტყვებში თავიდან მ გაქვეებული კლასის ნიშანი უნდა იყოს⁸¹. ამავე დროს ა. შაგიროვი შ~ზ (ш/шз~хз) შესატყვისობის საფუძველზე აფხ. ა-მზგ-ს („ყანა“) და აბაზურ მზგს „ნათესები“... უკავშირებს ადილურ მწმ/მწმ-გ-ს „ფეტგი“; „პურეული (საერთოდ)⁸²...

ქერს ჩაჩხურ-ინგუშურად მუჯ ეწოდება (გიულდენშტედტი, პ. უს-ლარი, ზ. მალსაგოვი...).

ჩაჩხურისათვის პ. უსლარს მოყვანილი აქვს ამ სიტყვის სხვა ბრუნ-ვათა ფორმებიც; ესენია: მენკი, მენკანა, მენკუნ, მენკინ, მენკალ; მრ. რ. მენკი.

ინგუშურში მრ. რ. სახელობითში ზ. მალსაგოვის მიხედვით გვაქვს მენაკა.

მაჟნ (←ნათ. მაგონ) წოვა თუშურში ხორბალსა და გამომცხვარ პურსაც ჰქვია⁸³.

ქერისა და ხორბლის ჩაჩხურ-ინგუშურ სახელთა შედარება ძირეულ ელემენტად ავლენს კ-ს; მა-//მუ- სახეცვლილი კლასის ნიშანი უნდა იყოს.

ხორბალს ხუნძურში როლ' ჰქვია.

ძირეული ლ' უნდა იყოს; რა-—*რა- კლასკატეგორიის ნიშანი ჩანს ისეთი, როგორცა გვაქვს ხუნძურ რა-კ-ში „გული“.

ლ', როგორც ნ. ტრუბეტკოი ვარაუდობს, მეტ წილ შემთხვევებში გენეტურად იგივე ბგერა უნდა იყოს, რაც არის ზ (ლ'←ლ'←... ზ). ამ კერძო მაგალითშიაც ლ' ზ-დან უნდა მომდინარეობდეს ლ'ჲ-ს მეშვეობით, რასაც არჩიბული ლ'ჲინ-ის (←*ხჲინ) „პური“, „მარცვალი“ არსებობა ადასტურებს. თვით ლ'ჲინ ნ. ტრუბეტკოის დაკავშირებული აქვს დარ-გულ ჰტი-სა და ლეზგიურ ჰინ-თან „თესლი“⁸⁴.

81 ქ. ლომთათიძე, გაქვეებული გრამატიკულ კლასნიშანთა საკითხისათვის. აფხაზური ენის სახელის ფუძეში, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. XXVI, № 1, თბ., 1961, გვ. 118.

82 ა. შაგიროვი, დასახ. ნაშრ., ა-ნ, გვ. 267—268.

83 ცნობა მოგვაწოდა რუსულადან გაგუამ.

84 N. Troubezkoj, Les consonnes latérales des langues caucasiennes septentrionales.—Bull. de la Société de Ling. de Paris, t. XXIII, fasc. 3. (№ 70), 1922, გვ. 184—204.

ლებგიურად ასლს ნწხჷ⁸⁵ ჰქვია.

დალესტნის ენათა ჭგუფში შვრიის სახელად გვევლინება სიტყვები: ნეხო — ხუნძურში (resp. ხუნძახურში); ნიხა — ანდიურში, ახვახურში. ბოთლიხურში (ლოდობერიულში), ტინდიურში, ბაგვალურსა და ხვარშიულში⁸⁶; ნიჯა — ლაკურსა⁸⁷ და კუბაჩურში⁸⁸, ნიჰა⁸⁹ — არჩიბულში.

როგორც ვხედავთ, ლებგიური ასლის სახელწოდება და შვრიის სახელი დალესტნის ჩამოთვლილ ენებში მატერიალურად ერთია. სხვადასხვა ენის მონაცემთა შორის არსებული განსხვავება უმნიშვნელოა და მეორეული ხასიათისა ჩანს. რასაკვირველია, მეორეულია მნიშვნელობითი დიფერენციაციაც (ასლი — შვრია).

ძირეული მასალა აქაც ვ//ხ//ჰი გვევლინება; ნა-//ნე-//ნი-პრეფიქსი (resp. კლასის ნიშანი უნდა იყოს, -ა//... სუფიქსი.

ეგვევ ძირეული მასალა უჩანს აგრეთვე ქერის აღმნიშვნელ სიტყვებსაც: ოჯა⁹⁰ ჰარულში (ილ. ცერცვაძე);

მაჯა⁹¹ დიდორსა და ხვარშიულში (ა. დირი, „ანდ.-დიდ. მას.“); უჯა ახვახურში (იქვე);

ცოხ ბეჟიტურ და ხაშალხეტურ კილოკავებში კაპუჭური დიალექტისა⁹²:

ცოლ ამეე დიალექტის ტლადალურ კილოკავში⁹³;

ცოპ ჰუნზიბურ დიალექტში;

მუჯი (მრ. რ. მუჯრუბი) დარგულში (პ. უსლარი).

მაპარ დარგულში (შ. გაფრინდაშვილი), მჰ — კუბაჩურში (ალ. მაპომეტოვი) „ქერშიშველი“.

ჯა⁹⁴ ლაკურში (პ. უსლარი);

→ მონა⁹⁵ და მუნ⁹⁶ ლებგიურის სხვადასხვა დიალექტში;

⁸⁵ П. У с л а р, Кюринский язык, Тифлис, 1896, с. 514.

⁸⁶ А. Д и р р, Материалы для изучения языков и наречий андо-дидойской группы. Тифлис, 1909, с. 103.

⁸⁷ ალი აკიევის ცნობით.

⁸⁸ ცნობა მოგვაწოდა ალ. მაპომეტოვმა.

⁸⁹ А. Д и р р, Арчинский язык, Тифлис, 1908 с. 170.

⁹⁰ გიულდენშტედტის ჩანაწერით ook.

⁹¹ გიულდენშტედტის ჩანაწერით така.

⁹² ცნობა სათანადო ახსნაგანმარტებითურთ მოგვაწოდა ე. ლომთაძემ.

⁹³ ცნობა სათანადო ახსნაგანმარტებითურთ მოგვაწოდა ე. ლომთაძემ.

⁹⁴ გიულდენშტედტის ჩანაწერით Ка.

⁹⁵ П. У с л а р, Кюр. яз., с. 509.

⁹⁶ Л. Ж и р к о в, Грамматика лезгинского языка, Махачкала, 1941, с. 25.

მანა არჩიბულში (ა. დირი).

ასე რომ, ქერის აღმნიშვნელ სახელებშიც ძირეულია ვ//ხ (//ლ//მ) = მა-//მო-//წო-//ო-//მუ-//უ- სახეცვლილი კლას-კატეგორიის ნიშნებია- ამოსავალი მა-სთვის... ივარაუდება, იყო ბა- ბ→მ იბერიულ-კავკასიურ-ენათათვის (resp. დადესტნის ენათა ჯგუფისათვის⁹⁷) უცხო არ არის (კლას-კატეგორიის ნიშნებშიც კი); -ა, არ სუფიქსებია.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ნ. ტრუბეტკოი ხუნძურ მუჰს-ს (—*მუხ- —*მუე) „პურის მარცვალი“ აკავშირებს, ერთის მხრივ, არჩიბულ მანასთან „ქერი“, მეორეს მხრივ, დარგულის მუჟი-სთან „ქერი“ და ჩაჩნურ მუჟ-თან „ქერი“⁹⁸.

არჩიბულის მანა „ქერი“, დიდოურ-ხვარშიული მანა „ქერი“ და კიდეც რამდენიმე სხვა სიტყვა, რომელიც მატერიალურად სავსებით ან თითქმის სავსებით ემთხვევა ქართულ მანას, ადვილი შესაძლებელია, სესხების გზით იყოს შესული ერთი რომელიმე ამ ენიდან დანარჩენებში.

არჩიბულში ხორბალს ვოკოლ ჰქვია. ვოკოლ რედუპლიკაციის გზით მიღებული ფორმა ჩანს — ვოკოლ —*ვოლ-ვოლ.

ჯ ძირეული უნდა იყოს; -ოლ — სუფიქსი.

ამავე ძირისა ჩანს ლაკური პურის მარცვლის აღმნიშვნელი სიტყვა ჯსამა.

ხორბალს ბეეიტურ (ა. დირი) და ხაშალხუტურ (ე. ლომთაძე) კილოკავებში ეწოდება ვიბო, ხოლო ჰუნზიბურში — ეგბჰ (ე. ლომთაძე).

აქაც ძირეული ჯ ჩანს.

როგორც ვხედავთ, დადესტნის ენათა ჯგუფშიც ისე, როგორც ჩერქეზულ და ჩაჩნურ-ინგუშურ ენებში, ხორბლეულის აღმნიშვნელ სხვადასხვა სიტყვის ძირეულ მასალად გამოვლინდა ჯ... // ხ... // ჰს... და მათი ვარიანტები⁹⁹.

⁹⁷ ივ. ჯავახიშვილი უნივერსიტეტში ლექციების კითხვის დროს 1938—1939 წწ. შესაძლებლად თვლიდა ტამანი „Тамань“ (ნახეიარკუნძულის სახელწოდება) მიკველო ტამანიდან, რომელსაც ქართულ ტბასთან (ტაბა) აკავშირებდა. თუ ეს ასეა, მაშინ ბ→მ დასავლური კავკასიურისათვისაც ყოფილა შესაძლებელი.

⁹⁸ N. Trubetzkoy, Die „kurzen“ und „geminierten Konsonanten der awaro-andischen Sprachen. Caucasia, fasc., 3, 1926, გვ. 7—36.

⁹⁹ თქმა არ უნდა, რომ მრავალი დეტალი აქ დასაზუსტებელი იქნება, ზოგი რამ ცალკეული კავკასიური ენის ამ მხრივ საგანგებო შესწავლისას სავსებით უქუსაგდებიც, მაგრამ ძირითადი, სახელდობრ, ფაქტი ამ კონკრეტულ შემთხვევაში ე-ხ-ჰ ფონეტიკური ერთობისა, თუ შეიძლება ასე ითქვას, როგორც გარკვეული ენობრივი ერთეულის ძირისა, ვფიქრობთ, შემდგომი გაღრმავებული კვლევა-ძიებითაც დადასტურდება.

ყველა ამ ერთეულის ურთიერთშეპირისპირება და მათი ქართველურ მონაცემებთან შედარება იძლევა საშუალებას, ერთი მხრივ, გამოიყოს საერთო კავკასიური ძირი ჯ... // ხ... // ჰჰ სხვადასხვა ენებსა და დიალექტებში განვითარებისა და ცვალებადობის სხვადასხვა საფეხურზე დამოწმებული და, შეზღუდული, აფიქსები, კერძოდ, მახაში მადა -ა.

შესადარებლად აღებულ სიტყვათა შორის არსებული სემასიოლოგიური (სემანტიკური) სხვაობა აქ იმდენად უმნიშვნელოა (შდრ. ასლი, ხორბალი, ქერი, შვრია...), რომ შეიძლება თუ არა ამ სიტყვების ურთიერთშედარება, ეს კითხვა არც კი ისმის.

წერილში „გრამატიკული კლას-კატეგორიათა ნიშნების ეტიმოლოგიისათვის ქართველურ ენებში“ არნ. ჩიქობავა წერს: „ერთ-ერთ ქართულს ფენაში რა-ს მნიშვნელობით მა-ც იხმარება: ამ მა-ს კანონზომიერი ვარიანტია ზანური მუ (— მო) „რა“. თვით ეს მა- დაუცავს სვანურს: მაჲ „რა“.

ნივთის კატეგორიის სათანადო ექსპონენტი -მ- ქართველურ ენებში თითქოს არა გვაქვს. ექვს იწვევს ოლონდ ზ (ბა-ვში...): ზომ არაა ეს ბ-მ? ¹⁰⁰.

მახაში (resp. მოხაში) გამოყოფილია მა¹⁰¹ (resp. მო-) თუ ის მეორეული არ არის, სახელობრ, თუ ის არ მომდინარეობს ან ბა-დან, ან ნა-დან, ნივთის კატეგორიის ის ნიშანი (resp. აფიქსი) უნდა იყოს, რომლის ქართველურ ენებში არსებობასაც ახლახან ციტირებულ წერილში ვარაუდობს არნ. ჩიქობავა.

ამავე წერილში, ცოტა ქვემოთ, უკვე ადამიანის კატეგორიის ნიშნების — „მ“-სა (ქართველური) და „ვ“-ზე (მთის იბერიულ-კავკასიური) საუბრის დროს ავტორი შენიშნავს: „ვ—მ თუ პირუკუ: მ—ვ? ეს საკითხი სარკვევია; როგორადაც გადაწყდეს იგი, მ-ს ეტიმოლოგიაზე... (ლაპარაკია სავარაუდო ნივთის კატეგორიის „მ“ ნიშანზე — ო. კ.) გავლენას ვერ მოახდენს“ (იქვე, გვ. 452).

ამრიგად, ირკვევა, რომ ქართველურ მახა-ში (resp. მოხა) მაწარმოობით ნივთის კატეგორიის ნიშანია, -ა (—*არ) დეტერმინანტ სუფიქსის ნარჩენი, ხოლო -ხ- ძირი, რომელიც სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებში წარმოდგენილია ჯ... // ხ... // ჰჰ-სა და მათი ვარიანტების სახით.

მახას მონათესავე იბერიულ-კავკასიური სიტყვები მიკვლეული

¹⁰⁰ საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. IV, 1944, გვ. 452.

¹⁰¹ სავარაუდოა ეგვე აფიქსი გვემონდეს დატული რიგ სხვა შემთხვევაში, მაგ., მა-ყვალში, მა-რწყვიში...

ჰქონდა ჯერ კიდევ ივ. ჯავახიშვილს. წერილში „ჩვენი ამოცანები ენათ-მეცნიერებისა და კულტურის ისტორიის სფეროში“ განსვენებული მეცნიერი წერს: „პროფ. დეკაპრელევიჩისა და ვ. მენაბდეს გამოთქმული ჰქონდათ მოსაზრება, რომ „მახა“ საქართველოში ერთი უძველესი პურეულთაგანი უნდა იყოს და საქართველოს ეკონომიური, ისტორიის I წიგნში ეს მათი მოსაზრება სრულებით სამართლიან დებულებად შექვეს მიჩნეული. „ქართველი ერის ისტორიის შესავლის“ III წიგნში, რომელსაც დასაბუქდად ვამზადებ¹⁰², აღნიშნულია, რომ პურეულის ეს სახელი მართო საქართველოში კი არ არის გავრცელებული, არამედ ჰინეთიდან მოყოლებული ჩრდილოეთ კავკასიაში, დაღესტანში და სხვაგანაც მოიპოვება“¹⁰³.

7. ზანდური. „ზანდური“ კილიანი ხორბლების ერთ-ერთი სახეობის სახელწოდებაა¹⁰⁴.

საბა ორბელიანს ის თავის ლექსიკონში შეუტანია, მაგრამ, როგორც ეს ივანე ჯავახიშვილმა აღნიშნა, მას „...ამ პურეულის შესახებ... ბუნდოვანი და მცდარი წარმოდგენა ჰქონია...“ (საქართველოს ექ. ისტ., I, გვ. 340, 343).

გიულდენშტედტს¹⁰⁵ „ზანდური“ დადასტურებული აქვს იმერეთსა და რაჭაში (resp. ქვ. რაჭაში).

ხორბლეულის ეს სახელი დღესაც ცოცხალია ლეჩხუმში და სავსებით უცნობი არ არის ის არც ქვემო რაჭისა და ქვემო იმერეთისათვის (სოფ. გორდი-კინჩხა-რონდიში).

მაგ.:

ზ ა ნ დ უ რ ი გაზაფხულის პურია. თაველმა ცოტა ფხა იცის. თაველი ქერივით ფტყელი (sic) იცის და მოკლე. თაველის მოკრეფა შანკვით ვიცით. მერე მოვთხრით ძირიანად ჩალას და „ქორომათ“ ვხმარობთ. ამისი პური ძალიან რბილი გამოდის. დიდხანს ინახება. იფქლს მაინც ვერ მოუგებს. იმის მერე ზ ა ნ დ უ რ ი ყველას ჯობია (ლეჩხუმი, 36 ა).

ყველაზე მაყე (ნოყიერი...) და მგზავრობის ამტანია ზ ა ნ დ უ რ ი (იქვე).

თესლად ზ ა ნ დ უ რ ი „ჭართ“ მოწეული ინახება, ცოტა მონედლო; ითესება გაზაფხულზე, მარა შემოდგომაზეც შეიძლება (იქვე).

¹⁰² ივ. ჯავახიშვილის ეს ნაშრომი არ გამოქვეყნებულა.

¹⁰³ ენიშვის მოამბე, I, თბ., 1937, გვ. 5—6.

¹⁰⁴ ლ. დეკაპრელევიჩი, O. C., გვ. 11.

¹⁰⁵ Reisen, I, 291 და 399; ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., I, გვ. 340.

ზანდური უფრო ლეჩხუმში ითესებოდა და იმისი იმდენი არ-
ვიციო. მახაც იქ ითესებოდა (ქვემო რაჭა, 190).

ზანდურის პური გაზაფხულზე ითესებოდა. კაი პურია ისიც,
(ქვემო რაჭა).

ზანდური სამუალო იზრდება ტანად. თაველი მსხვილი, პრტყე-
ლი და მოკლე აქვს, ფხა — გრძელი, მარცვალი — მომსხო და მოთეთ-
რო (იქვე).

ზანდური პურს „ქუტურე თავი აქვს“ (ქვემო იმერეთი, გორ-
დი, 271).

ხორბლეულის ეს სახელი ძველადაც (XVIII საუკუნეში) და ახლაც
ძირითადად დასავლეთ საქართველოში გვხვდება.

ლეჩხუმში ზანდურის სხვადასხვა სახეობათა აღსანიშნავად იხმა-
რება შემდეგი გამოთქმები: გვაწა-ზანდური¹⁰⁶, ჩელტა-ზანდური¹⁰⁷.

სვანურში შვრიის აღსანიშნავად „მაჩიჩხვ“-თან ერთად იხმარება,
„ზენტხ“-იც¹⁰⁸.

ზანთხ ეწოდება შვრიასვე ყაბარდოულ-აბაზურად¹⁰⁹. ფუძე:
ზანდ-// → ზანთ- → ზენტ-, ამ სამი სხვადასხვა ენის მონაცემისა მატე-
რიალურად ერთი უნდა იყოს. უფრო ძველი სახე ამათ შორის ქართულ
ზანდ-ს დაუცავს. სვანური ზენტ-ს (← ზანდ-) ყველაზე მეტი ცვლილე-
ბები განუცდია. -ურ ქართულში და -ხ // ხ სვანურ-აბაზურ-ყაბარდო-
ულში სუფიქსები უნდა იყოს.

იბერიულ-კავკასიურ ენებიდან ეს სიტყვა, როგორც სავსებით
მართებულად აღნიშნავს ვ. აბაევი, შეუთვისებია ოსურსა და ბალყა-
რულს¹¹⁰.

აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ივ. ჯავახიშვილი ქართულ გვაწა-ს

¹⁰⁶ ლ. ლ. დეკაპრევეიჩი, დასახ. ნაშრ., გვ. 12; აგრეთვე იხ. ივ. ჯა-
ვახიშვილი, დასახ. ნაშრ., I, გვ. 343.

¹⁰⁷ იხ. ნ. ლომოურის მარცვლული კულტურები, ნაწ. I (თავთავიანი პურე-
ული), თბ., 1940, სადაც ვკითხულობთ: „აკად ივ. ჯავახიშვილის აზრით ტერმინი
„ზანდური“ გულისხმობს ერთ მარცვალს და წარმოდგენს Tr. monococcum-ის ქარ-
თულ სახელწოდებას. რაც შეეხება Tr. Timopheevi-ს, მის შესატყვისად, ჩვენის აზრით
შეიღება და უნდა ვიხმაროთ ის სახელი, რომელთაც მას ცნობენ ლეჩხუმში და რომ-
ელშიაც ნათლად არის გამოხატული მისი თავთავის გარეგანი აგებულების თვალსაჩინო-
თაისებურება — ჩელტა-ზანდური“.

¹⁰⁸ ი. ნიქარაძე, რუსულ-სვანური ლექსიკონი.

¹⁰⁹ Л. Лопатинский, Русско-кабардин. словарь; გიულდენშტედ-
ტ. c. Reiszp, II, გვ. 531; А. К. Шагиrow, Этимологический словарь адыг-
ских... языков, S. V. зентхь.

¹¹⁰ В. И. Абаев, Осетинский язык и фольклор, М.—Л., 1949, с. 59,
295—296.

(შდრ. გვაწა-ზანდური) სვანურ კვეცენ-ს („ხორბალი“) უკავშირებს, ხოლო ეს უკანასკნელი ყაბარდოულიდან მომდინარედ მიიჩნია; გიულდენშტედტის, კლაროტისა და ლოპატინსკის მიხედვით, რომელთა მონაცემებს ეყრდნობა ის, ხორბლის ყაბარდოული სახელია გოდ. გოდ-ისათვის ამოსავლად ივ. ჭავჭავიძის *გვამ-ს ვარაუდობს: გოდ—*გვამ¹¹¹... ადილური ენებიდან ნასესხებად თვლის კვეცენ-ს გ. როგავაც (შდრ. ადილური ქაპცუ და ყაბარდოული ვამ „ხორბალი“)¹¹².

8. ასლი. „ასლი“ ივ. ჭავჭავიძის გამოკვლევით „Гг. monosocsum-ებისა და dicocsum-ების, ანუ ერთმარცვლიანებისა და ორმარცვლიანების, ზოგადი ტერმინი იყო და არის ეხლაც...“¹¹³

მის დიალექტებში* ხმარების საილუსტრაციოდ მოგვეყავს შემდეგი მაგალითები:

საბაროში სთესავენ (ახლაც) ასლსაც (ფშავი, 127).

ლიახვის მხარეს თესავენ ასლს — პურისნაირია, პურის მარცვალსა ჰგავს. წინათ ხალხი იტყოდა ხოლმე: „კორკოტი ვქამე ასლისათ, დრო არი ჩვენი წასვლისათ“. წერილი ფეხთვინა ხმარობენ (ზ. ქართ., ს. არადეთი, 511).

ამ მიწებში ეთესა... ლობიო, დიკა, ასლი... (ნ. ლომ.).

სიტყვები ასლის ფხასავით ყელში ეჩხირებოდა, მეტისმეტობლეუარებისაგან ენა ებმოდა (ვაჟა).

წისქვილი გაილია, ასლსა და სიმინდს ველარა ფქვავედა (ვაჟა). მხენელმა უთხრა (მეაქლემეს) ასლსა ვთესაო (საბა).

ასლი ყველაზე კარგი მოდის. სათესლედ საუკეთესო მარცვალს არჩევენ (გ. კახ., 288).

ასლი პურო, ჯერ არ მიქამიხარ მუტელსა მგვრემავე, რო გვამო, მაშინ კიდევ მამკლავ სუო (ანდაზა, ქიზ., 211).

ასლი წისქვილში იყრება ჩენჩომემოუტელი (გ. კახ. 289).

¹¹¹ ივ. ჭავჭავიძის, საქართველოს ენ. ისტ., I, გვ. 397—398.

¹¹² Г. В. Р о г а в а, К вопросу о структуре именных основ и категориях грамматических классов в адыгских (черкесских) языках, Тб., 1956, с. 129—130; ა. შაგიროვი, ეტიმოლოგიური ლექსიკონი... გვ. 111.

¹¹³ ივ. ჭავჭავიძის, დასახ. ნაშრ., I, გვ. 348 და 338; О. Кахадзе, Лексика хлебных растений в грузинском языке (Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата филологических наук. Тб., 1949, с. 9); მისივე, О некоторых терминах хлебных злаков в грузинском языке. ЕИКА, II, Тб., 1975, с. 218—219; Е. Бокарев, Введение в сравнительно-историческое изучение дагестанских языков, Махачкала. 1961, с. 60, 65; Б. Таллибов, Место хиналугского языка в системе языков Лезгинской группы.— Уч. зап. ИИЯЛ, VII, Махачкала, 1960, с. 296.

* ი. ლომოური, დასახ. ნაშრ., გვ. 128—129.

ასლს ასე ვლენათ: შავყრით კალოში 4—5 ცხენს და ფეხით მაპთეთქვამენ (იქვე).

ასლო, სამკალად ლამაზო, კალოში ბარაქიანო, წისქვილის ამომგდებელო, საქმელად თავლაფიანო (გ. კახ., 289).

ასლს ოთხკუთხიანი თავთავი აქვს... იხმარება კორკოტის გასაკეთებლად... ასლი, როგორც დიკა ისეთია (ს. ჭობარეთი, ასპინძის რაიონი).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დღეს ერწო-თიანეთსა და ქვემო ფშავში dicoccum-ების ერთა სახეობის, კერძოდ, *Tr. dicoccum* Schrank-ის სახელი ყოფილა¹¹⁴.

ივ. ჭავჭავიძის ასლი, ისე როგორც იფქლი და დიკა, ქართულ სიტყვად მიაჩნია; „არც ერთ სხვა ენაში ხორბლეულის ამ ჯიშს ასეთი სახელი არ ეწოდება და ამის გამო ეს ტერმინი, — წერს ასლის შესახებ განსვენებული მეცნიერი, — ნამდვილ ქართულ სიტყვად უნდა ვიცნათ“¹¹⁵.

ძირეული ამ სიტყვაში (ა-ს-ლ-ი) -ს უნდა იყოს, -ა¹¹⁶ და -ლ კი აფიქსები ჩანს.

ეგვეე ძირი უნდა გვეკონდეს სვილში, სუდასა და სვანურ სვლ-ში.

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ქართული ასლი, ფონეტიკურად სახეცვლილი, შეუთვისებია ოსურს: ასლი—ვასგლ¹⁷.

9. შვრია. *Avena*-ს, ან უფრო ზუსტად, *Avena*-ს, *A. sativa*-ს, *A. ludoviciana*-სა და *A. fatua*-ს აღსანიშნავად ქართულში რამდენიმე სახელი მოიპოვება; ესენია: შვრია და მისი შემდეგი სახესხვაობანი: შვრივა¹¹⁸ (ხევ., ფშ., თუშ.), შვლივა (რაჭ.), შრუა (თუშ.), ფშვრივა (ქართ., ფშ.), ფშვრია//ფშვრიო (კახ.); სუდა//სუდაა (ძვ. ქართ., ნსხ., ჯვხ.); წივილა (ქართ., ფშ.); კიშქენი//კიშქერი (ხევს.); ულაფი (აქარ.); ჰაჩაყურულ (ინგ.)¹¹⁹.

ამათგან ძვ. ქართულში გვხვდება „შვრივა“ და სუდაა//სუდა. კიშქენი ჯერჯერობით დადასტურებულია მხოლოდ ხევსურულში, ულაფი — აქარაში, ჰაჩაყურულ — ინგილოურში...

¹¹⁴ ივ. ჭავჭავიძის, დასახ. ნაშრ., I, გვ. 338; იხ. აგრეთვე, ი. ლომოური, დასახ. ნაშრ., გვ. 128

¹¹⁵ ივ. ჭავჭავიძის, დასახ. ნაშრ., I, გვ. 399, 405.

¹¹⁶ ე. თ. ფ. ურია, ხმოვანთავსართოვანი სახელები, გვ. 451—460.

¹¹⁷ ო. თ. დ. ე. ვი, მემცენარეობის ქართული ლექსიკა ოსურში, თბ., 1975, გვ. 30; მისივე, ნარკვევები ქართულ-ოსური ენობრივი ურთიერთობიდან, გვ. 145.

¹¹⁸ ამავე ფორმით (შვრივა) გვაქვს საბასთან და ვახუშტისთან.

¹¹⁹ ალ. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი.

ულაფი თურქული სიტყვაა. შვრიას თურქულად *فولجا* ჰქვია (ს. ჯი-
ქია).

მოვიყვანოთ მაგალითები:

შ ვ ლ ი ვ ა პურშია ჩათესლებული — არ ვთესამთ, ისე ამოდის
(ქვ. რაჭ.).

შ ვ ლ ი ვ ა ერევა (ძველ და ახალ) პურში (ქვ. რაჭა, ს. ფუტრეთი).

შ ვ ლ ი ვ ა ... ქერში იცის (ქვ. რაჭ.).

(შ ვ რ ი ა)... დაუფქვავად დაიხარჯება, მარცვლად... (ზ. ქართ.,
558).

ფ შ ვ რ ი ა ს ა ც ვყრიდით ორმოში, გოდორში; ვისაც ბელელი
ჰქონდა, ბელელში ჩაყრიდა (ქართ., მტკვრის სამხრ., 211).

ფ შ ვ რ ი ა ს საქონელს ვაჭმევდით, ქათამსა, ... ღორიცა შესჭამდა,
ცხენი... (იქვე).

შ რ უ ჯ... მარცვალი გრძელია, შავქერქიანი, ითესება აპრილში, შე-
მოდის მარიამობისთვის პირველში... მისგან ხდიან არაყს, აკეთებენ სას-
მელს „ნიხ“-ს; საქონელსაც აჭმევენ, თუ ჯანდაგია..., საქმელად არ იხ-
მარება (თუშ., 555).

შ რ უ ჯ იხვენება მაისში... (თუშ., 551).

შ ვ რ ი ა ს დაფორებულს, დატრილს საარაყედაც ვიყენებდით,
კოლისკალუაელთ ქოთ შ ვ რ ი ა ს ს ა ა რ ა ყ ე ი ცოდიან¹²⁰.

ხევსურეთში „იშვითად შ ვ რ ი ვ ა-საც თესავენ. შვრიას არხოტე-
ლები ჰ ი შ ქ ე ნ ს ეძახიან¹²¹.

ჰ ი შ ქ ე ნ ი ს კალი (ხევს., 202).

ხევსურეთში ითესების ... გაზაფხულზე: ქერი, ჰ ი შ ქ ე ნ ი (შვრია)
... (ხევს., 184).

სათესლედ ინახავენ გარჩეულ ... ქერს, სვილსა და ჰ ი შ ქ ე ნ ს
(ხევს., 184).

ჰ ი შ ქ ე ნ ი შ ვ რ ი ა ა (თუშ., 551).

აღ. მაყაშვილს ჰ ი შ ქ ე ნ ი დადასტურებული აქვს ჰ ი შ ქ ე რ ი-ს
ფორმითაც¹²².

„ს უ დ ა“, ს. ორბელიანის განმარტებით, „შ ვ რ ი ა“-ა.

ექსუთა დღეთაჲ-ში, რომელიც XI საუკუნეშია ნათარგმნი, ვკითხუ-
ლობთ: „...სუდაჲ კინ-ლა და უმუჭლო არს...“ (გვ. 59, 13). ბერძნულ
ტექსტში შესაბამის ადგილზე გვაქვს Βριθος, ლათინურში Avena—ერ-
თიცა და მეორეც შვრიას ნიშნავს.

¹²⁰ აღ. ჰ ი ნ ჰ ა რ ა უ ლ ი, ხევსურულის თავისებურებანი, გვ. 200.

¹²¹ იქვე.

¹²² აღ. შ ა ყ ა შ ვ ი ლ ი, ბოტანიკური ლექსიკონი, თბ., 1949.

როგორც ვხედავთ, სულა XI საუკუნეშიც შერიას ჰრქმევია.

სულა, როგორც ზემოთ მივეთითებდით, დღესაც ცოცხალი სიტყვაა მესხეთ-ჯავახეთში¹²³ და შერიასავე აღნიშნავს.

შერია ივ. ჯავახიშვილს¹²⁴ უცხოეთიდან შემოტანილ სიტყვად მიაჩნია. ის წერს: „შერიის ბერძნული სახელი Βρόμος ლათინური avena, ძველი სლავური „ოვიზ“, ძვ. გერმანული habaro, ჩვეულებრივი Hafer და ლათინურითგან წარმომდგარი ფრანგული avoina ისე არიან ქართულ „შერიას“ დაშორებულნი, რომ ქართული ტერმინი, რასაკვირველია, სულ სხვა წარმოშობილობისა უნდა იყოს.

თავის დროზე კლასროთმა ქართული შერია, ან როგორც მას ჩაწერილი აქვს, „შრჯვა Chrywa ზირიანულ სახელს „ზიურ“ (Ziour, Zeur) დაუკავშირა („Voyage, II, § 20). მაშასადამე, უნგრულ-ფინურთაგან უნდა მომდინარეობდეს“¹²⁵

სულა, რომელსაც თვისტომი უჩანს სვანურში, ივ. ჯავახიშვილს თავის ფუნდამენტალურ ნაშრომში განხილული არა აქვს.

სვანურად ველურ შერიას ს ჯ ლ (←*სულ...) ¹²⁶ ეწოდება.

ქართული სულა და სვანური ს ჯ ლ (*←სულ...) სხვადასხვა აფიქსებით გაფორმებული ერთი და იგივე ძირის მქონე სიტყვები უნდა იყოს¹²⁷.

ამავე ძირისა ჩანს ჩაჩნური ს უ ლ ა (მრ. რ. სულანაშ) „შერია“¹²⁸, რომელსაც თ. გონიაშვილი უკავშირებს ქართულ სვილს¹²⁹.

10. ქვაფი. ქვაფი-ს გარდა ს. ორბელიანი Secale cereale-ს კიდევ ორ ქართულ სახელს: სვილსა და ქუბას, იცნობს. სამივე ეს სახელი დღესაც ცოცხალია. ქვაფი ამ მარცვლეულის ყველაზე ცნობილი სახელწოდებაა. სვილი და სვილა აღმოსავლეთ¹³⁰ საქართველოში იხმის. ქუბა (resp. ქუბი)//ქუბე რაჭა-ლეჩხუმში გვაქვს.

მოვიყვანოთ საილუსტრაციო მაგალითები:

123 აღ. მაყაშვილი, დასახ. ნაშრ., S. V. შერია.

124 იხ. ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., I, გვ. 402.

125 გ. როგავა, ხმოვანთა შესატყვისობის ისტორიისათვის ქართველურ ენებში, გვ. 10.

126 სულა —*სვ-ელა... (გ. როგავა).

127 П. У с л а р, Чеченский язык, Тифлис, 1888, с. 210.

128 თ. გონიაშვილი, ლექსიკ. შეგვ. ჩაჩნურისა ქართველურ ენებთან. — ენების მოამბე, V—VI, გვ. 611—612.

129 აღ. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი.

130 იქვე.

კევრიტ ლეწავენ პურს, ჰ ვ ა ვ ს და სხვ. (აქარა, ხულო, გვ. 133).
აქ რო კარგი პური დათესო, პური ამოვა, მაგრამ მოერევა ჰ ვ ა ვ ი,
შეორე წელიწადს რო დათესამ, სუ ჰ ვ ა ვ ა თ გადაიქცევა (ქართ., მტ-
სამხრ., გვ. 213—214).

ჰ ვ ა ვ ი პურათ ცხვებოდა ... (იქვე, 214).

ჰ ვ ა ვ ი პური ... ფხბათ უფრო მაღალი იზრდება და გვალვას უძ-
ლებს... (ზ. ქართ., მოხისი, 555).

რაც შეეხება ჰ ვ ა ვ ს — ამის მოყვანას ჩვენში ძალიან იშვიათად
ეტანებოდნენ (გურ., 83).

ჩვენ რომ ქუბას ვეძახით, ისინი მ ჰ ვ ა ვ ს ეძახიან (ქვ. რაჭა,
ს. ფუტიეთი).

ხევსურეთში ითვისების: სთველთა ზაფხულის ს ვ ი ლ ი (ჰვავი) ...
(ხევს., 184).

ს ვ ი ლ ს ქვაზე და(ლ)ბერტყენ. მემრ ... ხვავს ცოცხით მასურა-
ვებენ (ხევს., 222).

ყველაზე კაი ას იფქლის ფქვილი, მემრ ს ვ ი ლ ი ს ა ი, ქერშვლი-
სა... (ხევს., 192).

სათესლედ ინახვენ გარჩეულ ... ქერს, ს ვ ი ლ ს ა და ჰიშქენს
(ხევს., 184).

ს ვ ი ლ ი... არ ილეწება. სვილის გაბერტყვა იციან (ფშავი, 136).

... ს ვ ი ლ ი ს საბერტყი ... (თუშეთი, 565).

ს ვ ი ლ ი არ ილეწება — იბერტყება ... (თუშ., 563).

ს ვ ი ლ ი ს მარცვალი ... (იქვე, 564).

ს ვ ი ლ ს გრძელი, მოლურჯო მარცვალი აქვს... (თუშ., 533).

ჩვენში შემოდგომით ხენა არ იციან, მარტო ს ა ს ვ ი ლ ე ს მო-
ხნავენ მთაში, სადაც ანეული ს ვ ი ლ ა ს სთესავენ (ფშავი, 127).

სამთოებში ითვისებოდა ანეული ს ვ ი ლ ა შემოდგომობით. ამ სვი-
ლის ბარში თესვაც შეიძლებოდა, მაგრამ პურს ვერ ითავებდა, ვერ
იღებდა, ოდავდა... (ფშავი, 126).

... გრძელი თავთავი იცის ს ვ ი ლ ა მ, ბარაქიანია, მაგრამ გემრიე-
ლი პური არ გამოდის ... (შ. კახ., 888—889).

... ს ვ ი ლ ა პური ... ფხიანი იყო, თეთრი... ქარში მარცვალი ს ვ ი-
ვ ო ლ ა (sic)... (ქიზ., 770)¹³¹.

ქ უ ბ ა თესლში ყვებოდა, ამოდიოდა თავისით. დღეს გადავაჭი-
შეთ... (ქვ. რაჭა, ფუტიეთი).

ქ უ ბ ა იფქლში ურევია (ფუტიეთი)

ქ უ ბ ა შამოდგომაზე ითვისება (იქვე).

¹³¹ შდრ. სვილა პურის განმარტება სტ. მენთეშაშვილის „ქიზ. ლექსი-
კონში“.

ქუბა მაღალი იზრდება, თავთავი გრძელი, თან მარცვალი წა-
ლურჯოა ... (იქვე).

ქუბას გლეხი კაცი საქონელს არ აკმევს; ქერს და შვლივას, რა-
ტომ არა, აკმევს (იქვე).

ქუბა ყვება პურში, ძველ პურთანაა ამხანაგათ, შედის ძველ პურ-
ში, ერევა... (იქვე).

ქუბა იფქლზე მაღალია... წერილი და გრძელი თაველი აქვს...
(ქვ. რაჭა).

„ქვაი“... — წერს ივ. ჯავახიშვილი, — „...შესაძლებელია ქერის
სპარსული¹³² სახელი „ჯაუ“, „ჯავ“, და ქვავის „ჯავადარ“-ისაგან იყოს
წარმომდგარი“¹³³.

მაგრამ თავისი აღნაგობით ქვ-ავ-ი ქართული სიტყვა ჩანს და თვის-
ტომებიც როგორც ქართველურ ენებში, ისე სხვა კავკასიურ ენებშიაც
ეძებნება.

მეგრულში ქვავეს ქვ-ე // ქვ-ია ჰქვია. ის ქართული მონაცემის ფო-
ნეტიკურ ვარიანტს უნდა წარმოადგენდეს.

ქართულიდან ეს სიტყვა, როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია.
ნაჩვენებია, სათანადო ფონეტიკური ცვლილებებით შეუთვისებია
ოსურს: ქვაი→წოა¹³⁴.

ქვ-ავ-ში -ავ დეტერმინანტი¹³⁵ სუფიქსია, -ქვ- (-ჭუ) ძირი.

ამავე ძირისა უნდა იყოს სვანური ქვ-მ-ინ (-ჭუ-მ-ინ...)¹³⁶ „ქერი“,
ქართული ბუჭონი → ბიჭონი „დაბალული ქერი...“ და, შეიძლება,
ქართულივე (resp. ხევსურული) ჭ ი შ ქ ე ნ ი ც¹³⁷ „შერია“.

ეგვემ ძირი (დელაბილიზებული) დასტურდება რიგ კავკასიურ
ენაში.

„ბუჭონი“ საბას განმარტებით „ქერის ვალი“-ა. ბიჭონი, რომელიც
ბუჭონიდან უნდა მომდინარეობდეს, დღესაც ცოცხალი სიტყვაა თუ-
შეთში, ხევსურეთში¹³⁸... და ნიშნავს როგორც ქერის ხალს, ისე საერ-
თოდ მოხალულ მარცვლულს.

132 მ. ხუბუა, სპარსული წინაენისშიერები ქართულში. — საქ. სსრ მეცნ.
აკად. მოამბე, V, № 6, თბ., 1944.

133 ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., I, გვ. 403.

134 ი. თედევი, მეცენარეობის ქართული ლექსიკა ოსურში, გვ. 38; მისი-
ვე, ნარკვევები ქართულ-ოსური ენობრივი ურთიერთობიდან, გვ. 179.

135 იხ. არნ. ჩიქობაეა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ
ენებში, გვ. 92.

136 გ. როგავა, ხმოვანთა შესატყვისობის ისტორიისათვის ქართველურ ენებ-
ში, გვ. 10.

137 შდრ. ჭიშქარი (ალ. მაყაშვილი, ბოტან. ლექსიკ.); ალ. ჭინჭარაძე-
ლი, ხევსურულის თავისებურებანი, გვ. 200.

138 იქვე.

მოვიყვანოთ მაგალითები:

ბ ი ჰ ო ნ ი დახლილ სულადს ეწოდება. ბიჰონი არის: ცერცვისა, ჭერშველისა, იფქლისა, სიმინდისა, სვილისა (თუშ., 387).

ბ ი ჰ ო ნ ს ატყრობენ (ახლიან) ან „კინის“... ჭვამში, ან ღომელში (იქვე).

ბ ი ჰ ო ნ ი დამტყვრალი, დახლილი მარცვალია (იქვე, 567).

ბ ი ჰ ო ნ ი ს სატყრობელაი ღომელი ცალკე შენობაა. აქვს ნაწილები: „კეთილის კარო“, ე. ი. ჭერის, იფქლის და სხვ. ჩასაყრელი ადგილი... (იქვე, 392).

...წინ აქვს ბ ი ჰ ვ ნ ი ს კარო, სადაც ჩამოდის დატყრობილი... ბ ი ჰ ო ნ ი (იქვე, 392).

ბუჰონი წარმოშობით ქართული სიტყვა არ უნდა იყოს. მისი ფონეტიკური ვარიანტები სხვა ქართველურ ენებში დადასტურებული არ არის. ის დალესტნის ენებიდან მომდინარე სიტყვა ჩანს.

მართლაც ხუნძურში ჭერს ფ უ რ ჰ ი ნ ა ჰქვია, ანდიურში ბ უ რ ჰ ი ნ ა თუ ბ უ რ ჩ ი ნ ა (ა. დირი)¹³⁹, ბოთლიხურში ბ ე ჰ ი ნ ა, კარატულში — ბ ე რ ჰ ი ნ, ლოდობერიულში, ბაგვალალურში, ჭამალურსა და ტინდიურში კი — ბ ე ჰ ი ნ. ბუჰონი, ფურჰინა, ბურჰინა, ბეჰინ და ბეჰინა ერთი და იმავე სიტყვის ფონეტიკური ვარიანტებია.

ქართული ჰვ-ავ-ის¹⁴⁰, სვანური ჰვ-მ-ინ-ისა და ბუჰონი, ფურჰინა, ბეჰინას შეპირისპირებით, ერთი მხრივ, გამოიყოფა ძირეული მასალა: -ჰვ- (-*ჰუ-), ჰ (-*ჰუ), და, მეორე მხრივ, აფიქსები: ბე-, ბუ- (-ბე) // ფუ- და -ინ, -*ან.

ხუნძურ-ანდიურ მონაცემებში -რ-¹⁴¹ განვითარებული ჩანს, სვანური -მ-ც ძირეული არ უნდა იყოს.

ფორმები: ბუჰონი და ბურჰინა → // ფურჰინა, გვაგარაუდებინებს, რომ დალესტნურ ენათა მონაცემებში ძირეული იყო არა მარტო ჰვ-არამედ ჰვ-*ჰუ¹⁴², როგორც ესა გვაქვს ქართულსა და სვანურში.

¹³⁹ А. Д и р р, Краткий грамматический очерк андийского языка..., Тифлис, 1906; მისივე, Материалы...для изучения языков и наречий андо-диндской группы, Тифлис, 1909.

¹⁴⁰ Н. Я. М а р р, Р а с т у ч е с к и е н а з а н г и я д е р е в е с и р а с т е н и й (Plurality tantum).— ИАН, с. 206.

¹⁴¹ ილ. ცერცვაძე, ხუნძური ენის ანწუხური დიალექტი.—იქვე, II, თბ., 1948, გვ. 156.

¹⁴² Л. Ж и р к о в, Язык аула Кубачи.—Уч. зап., РАНИОН, I, М., 1930, а. 259; შ. გაფრინდაშვილი, დარგული ენის წუღახარული დიალექტის ფონეტიკური თავისებურებანი. — ენიკის მოამბე, XII, თბ., 1942, გვ. 199.

თავსართი ბუ- ბე-დან უნდა მომდინარეობდეს ძირეული უ-სთან (ქ-უ) ასიმილაციის გზით.

ბე- კლასის ნიშანია¹⁴³.

ივ. ჭავჭავიძის სვილიც უცხო წარმოშობის სიტყვად მიაჩნია, „მსგავსი სახელის ძიებაზე თუ მიდგა საქმე, — ვკითხულობთ „საქ. ეკ. ისტ.“ I ტომში, — ყველაზე დამაჯერებელი იქნებოდა აზრი სვილი-ს ლათინური სილოგოსთან კავშირის შესახებ.

აქ ამ სიტყვას ხორბლეულის მნიშვნელობა ჰქონდა. მაგრამ სვილ-ზე ძველ ქართულ ძეგლებში ცნობების უქონლობის გამო, მისი საქართველოში შემოსულობის ხანის გამორკვევა შეუძლებელი ხდება¹⁴⁴.

თ. გონიაშვილი ქართულ სვილ-ს (//სვილას), ჩაჩნურ სულა-ს (შვრია)¹⁴⁵ უკავშირებს. ის წერილში „ლექსიკური შეხვედრები ჩაჩნურისა ქართველურ ენებთან“ წერს: „...ჩაჩნური სულა-ს მაგვარი სახეობა ქართულშიც არის დადასტურებული. მხედველობაში გვაქვს, ერთი მხრივ, სულხან ორბელიანის „სვილი ჰვაფი (ბალ.)“... და, მეორე მხრივ, მთიულური და ხევსურული სვილი და თუშური სვილა...“¹⁴⁶

სვილ-ში (//სვილ-ა-ში) -ილ¹⁴⁷ სუფიქსი ჩანს, -სვ- ძირია. ეგე-ვე ძირი უნდა გვქონდეს სულაში და სვანურ სვლში (—*სულში).

ქუბა ივ. ჭავჭავიძის აზრით მეგრული ქობალის „ბოლომო-კვეცილი ფორმა უნდა იყოს“¹⁴⁸, ხოლო „ქუბი“-ს მეგრულ „ქუმუ“-ს შესატყვისად თვლის.

ხევსურეთსა¹⁴⁹ და ფშავეში ჰვავს ბოცორაგი (ხევს.)¹⁵⁰ და ბაცარო-გაც ეწოდება.

სვილი-ც (ჰვაფი) ორგვარია: სთვლის სვილი (//ორის წლის სვი-

143 ტ. გ უ დ ა ვ ა, ბოთლიხური ენა, თბ., 1963.

144 იხ. დასახ. ნაშრ., I, გვ. 404.

145 იხ. П. У ч а р, Чеченский язык, с. 210.

146 თ. გონიაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 611—612.

147 არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძვე. აებულება ქართველურ ენებში, გვ. 47—48; მისივე, შდრ. ლექსიკ., გვ. 171—172.

148 ივ. ჭავჭავიძე, დასახ. ნაშრ., I, გვ. 320.

149 ივ. ჭავჭავიძე, დასახ. ნაშრ., I, გვ. 372, სადაც ვკითხულობთ: „...მეგრულად... „ქუმუ“... ჰვავსაც ჰნიშნავს, რომელიც ქართული სახელის „ქუბის“ შესატყვისობა უნდა იყოს კიდევ“.

150 ალ. მაყაშვილი, ბოტ. ლექსიკონი.

ლი) და ბოცორაგი. სთვლის სვილი სთველ-ში (შემოდგომაზე) ითესება, ხოლო ბოცორაგი გაზაფხულზე¹⁵¹.

ბაცაროგა ფშაურში ჭვავის ერთ სახეობათაგანს უნდა ერქვას: „საბაროებში ითესებოდა ერთი ჭურა სვილა, ბაცაროგა. ეს სვილა ყველაზე ბოლოს ითესებოდა (ფშ., 126), — ასე აღწერენ ბაცაროგას აღგილობრივები.

ბოცორაგი // ბაცაროგა წარმოშობით ქართული სიტყვა არ უნდა იყოს. თვისტომები მას ქართველურ ენებში არ უჩანს. საინტერესოა გაირკვეს, ხევსურულ-ფშაურ ბოცორაგი-ბაცაროგას ხომ არაფერი აქვს საერთო ფეტვის აღმნიშვნელ ჩაჩნურ სიტყვა ბუორც-თან (მრ. რ. ბარციშ. დანარჩენ ბრუნვებში ფუძედ გვევლინება ბარც-//ბერც-)¹⁵².

დიალექტებიდან ცნობილია ჭვავის კიდევ რამდენიმე სახელწოდება; ესენია: ბიკაპური, მამალიპური (ერწო-თიანეთი)¹⁵³ ზოფხი (მთ. რაჭ.)¹⁵⁴, ჩავდარ (ინგ.)¹⁵⁵, ჩოხი (ქიზ.)¹⁵⁶.

სტ. მენტეშაშვილის განმარტებით „ჩოხი ... ყანაში ურევია, აცილიან მარგელის დროს“¹⁵⁷.

ჩოხს გრძელი, ფხიანი, გასლურტული თავთავი აქვს. ყანაში ზევით-ზევით მოდის. შორიდანვე ეტყობა. მარცვალის გრძელი და გასლურტული აქვს. ყანაში ერევა, როგორც სამარგლი. ცდილობენ მოაცილონ... (ქიზ. 770).

ამგვარად, ქართულში *Sfcale cereale*-ს შემდეგი სახელები დასტურდება: ჭვავი, სვილი//სვილა, ქუბი//ქუბა//ქუბე, ბოცორაგი //ბაცაროგა, ბიკაპური, მამალიპური, ზოფხი, ჩოხი, ჩავდარ...

11. ქერი. „გაზაფხულის ნათესს ქერი ეწოდება, ხოლო შემოდგომისას ქრთილი“-ო, — ასე განმარტავს ს. ორბელიანი სიტყვა ქერის მნიშვნელობას.

151 აღ. კინკარაული, დასახ. ნაშრ., გვ. 200.

152 პ. უსლარი, ჩაჩნური ენა, გვ. 163.

153 აღ. მაცაშვილი, ბოტან. ლექსიკონი.

154 იქვე.

155 იქვე.

156 აღ. მაცაშვილი, სასოფლო-სამეურნეო ტერმინოლოგია, I, მემცენარეობა, თბ., 1938, გვ. 754.

157 ს. მენტეშაშვილი, ქიზიური ლექსიკონი, S. V. ჩოხი.

საბას ამ განმარტების შესახებ ივ. ჯავახიშვილი შემდეგს შენიშნავს: „ძნელი დასაჯერებელია, რომ დათესვის დროის განსხვავებისათვის ერთი-ღობავე მცენარისათვის ორი განსაკუთრებული სახელი დაერქვათ. ამიტომ საფიქრებელია, რომ ქრთილი და ქერი თავდაპირველად მინც hordeum-ის ორი განსხვავებული ჯიშის სახელები უნდა ყოფილიყვნენ. ამას ის გარემოებაც გუფიქრებინებს, რომ ქრთილი შემოდგომას ითესებოდა, ქერი—კი გაზაფხულზე“¹⁵⁸.

ქერიცა და ქრთილიც ქართული მწერლობის უძველეს ძეგლებში გვხვდება¹⁵⁹.

მოვიყვანოთ საილუსტრაციო მაგალითები:

შეკრიბეს და აღავსეს ნამუსრევეთა მით ათორმეტი კუელი ხუთთა მათ ქრთილისა პურთაგან, რომელ დაშთა მჭამელთა მათგან (იოვანე, 6, 13//).

სელი და ქრთილი იგუემა, რამეთუ ქრთილი წარმოდგომილ იყო და სელი თესლოდა (გამოსვლათაჲ, 9,31; იხ. აკ. შანიძის გამოცემა, 1947).

ქყნსა მს საიფქლესა და საქრთილესა: ქყნს მს ვენაჯოვანსა (მცხ. ბ., რიცხუთა, 8,8).

და იგი შეჰკრებს ქრთილსა კალოსა თვისსა ამას ღამესა (მცხ. ბ., რუთ. 148; ასევეა ოშკის ბ.).

და მორთვეს მთ ... იფრქლი (sic) და ქრთილის ფქვილი და ჯალი და ოსპი (მცხ. ბ., 2 მეფეთა, 17,28; ასევეა ოშკის ბ.).

... მოწუი ყანა იგი ... ქრთილდ თესლი (მცხ. ბ., 2 მეფეთა, 14,30)-დაკრიბა ყანასა მს შიდა ვე მწუხრმდე და გამოწმიდა რი იგი შეეკრიბა და იყო სათხოელ ერთ ქრთილი იგი (მცხ. ბ., რუთ. 2,17; ასევეა ოშკის ბ.).

და აჰა ესერა კუშხაჲ პური ქრთილისაჲ გორვიდა (მცხ. ბ., 7,13; ასევეა ოშკის ბ.).

... არნ ჩნდა სნჯნი და ველსა შა იფქლნი და ქრთილნი... (მცხ. ბ., 41,8; ასევეა ოშკის ბ.).

და ყუშრბეულად ქრთილისად შჰამნე შნ იგნი... მცხ. ბ., 4,12; ოშკის ბ. ქრთილისა).

პური ქრთილისაჲ ვმელი და მარილი ხოშორი... (ცხორებაჲ საბა ასურისაჲ. — „არილი“, 13,4: ს. ჯანაშიას გამოცემით).

... და იყოს საზრდელად მთდა: 11 პური ქრთილისა ქატომსა: და ნაცვლად წუენისა კამდენ იგინი მარილსა ხოშორსა...“ (იქვე, 6,25).

¹⁵⁸ ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., I, გვ. 352.

¹⁵⁹ იქვე, გვ. 251.

და საზრდელად მისა იყო პური ქათმისა გ^ნ ქ^რ. თ ი ლ ი ს ა (იქვე, 5, 14).

ქ რ თ ი ლ ი ქ ე რ ი (დავითნი 94, 3).

... მცირედ-მცირედ აღორძინებითა თვთოეული მცენარე თვსს სა-ზომსა კულად ეგის, გინათუ იფქლისაჲ არნ, გინათუ ქ ე რ ი ს ა ჲ, და გინათუ მხალთა და თივათა (ექუსთა დღეთაჲ, 53, 7—8).

როგორც ქერს, ისე ქრთილს ბერძნულ ტექსტში შეესატყვისება ჯრ-ჭჷ, ლათინურში hordeum... ასე რომ, ქართულში hordeum-ის აღსანიშ-ნავად მოგვეპოვება ორი სიტყვა—ქერი და ქრთილი, მაშინ როდესაც ბერძნულს, ლათინურს... ამ მცენარისათვის თითო სახელი გააჩნია¹⁶⁰.

ამ ორი ტერმინიდან დღეს ფართოდაა გავრცელებული „ქერი“, „ქრთილი“ კი (სახელწოდება!)... მხოლოდ ხევსურეთშია შერჩენი-ლი¹⁶¹ და „... ნიშნავს სამემოდგომო მრავალმჭკარივიან ქერს“¹⁶².

მოვიყვანოთ საილუსტრაციო მაგალითები დიალექტებიდან:

ქ ე რ ს გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ზ ე ვ თ ე ს ა ვ თ... მკათათვეში მოდის (ზ. ქარ-თლი, მეჭვრისხევი, 571).

ქ ე რ ი არის ძველი თესლი და ახალ თესლიც. არის შავი ქ ე რ ი, ცხენისთვის კარგი იყო, მუცლს აძლევდა... (ქიზ. 772).

ოთხკუთხაჲ ქ ე რ ი ც მოდის აქა, ეთესათ და ეხლა აღარ უთესიათ (მთიულეთი, 723).

გ ო დ ო რ შ ი ა ც, ბელელშიაც, ორმოშიაც ყრიდნენ ქ ე რ ს (ქარ-თლი, მტ. სამხრ., 211).

პურის თესვის დროს სთესავენ: „შავ ქ ე რ ს, თეთრ ქ ე რ ს და ყვთრლ ქ ე რ ს“ (საინგ., 359).

ქ ე რ ი ითესება ჩვენში ფტყელთავიანი (sic), დიდი ფხიანი, — გაზაფხულზე (ზ. რაჭა, 37).

ქ ე რ ი ც სხვადასხვა ჯურა იყო, შამოდგომის ქ ე რ ი ც იყო და გაზაფხულისაც. გაზაფხულზე ახალ-თესლი ქერი ითესებოდა, მარტი რომ დადგებოდა, მოეხნამდით და დაეთესამდით (შ. კახ., 892).

შამოდგომის ქ ე რ ი ჰჯობია დასათესად, გაზაფხულზე რომელი ქე-

160 ივ. ჯ ა ე ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., I, გვ. 352.

161 ლ. დ ე კ ა ბ რ ე ლ ე ე ი ჩ ი, შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულ-ტურა, გვ. 14—15.

162 იქვე, გვ. 14; იხ. აგრეთვე, ივ. ჯ ა ე ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., I, გვ. 358—359.

ოსურ кар „ქერი“, როგორც ფიქრობენ, „ქართულიდან უნდა იყოს ნასეს-ზები: кар ...—ქერი“ (ო. თ ე დ ე ე ვ ი, ნარკვევები ქართულ-ოსური ენობრივო ურთიერთობიდან, გვ. 83—85).

რაც ითვლება, იმას გოლვა უსწრებს ხოლმე და ბარაქიანი მოსავალი არა აქვს (შ. კახ., 894).

ქ ე რ ს ცხენებს ვაჭმევდით ხოლმე, მაგრამ, როცა გაგვიჭირდებოდა, ჩვენც კარგათ ვჭამდით. ქერს ფინთი სუნი და გემო აქვს (იქვე).

ძველი თესლი ქ ე რ ი საჭმელათ არ ვარგა, ის ღორსა და ცხენს უნდა ვაჭამოთ. ახალ თესლი ქ ე რ ი ორკუთხიანია და როგორც პური იგეთია (იქვე).

ერთი რიგის ქ ე რ ი ცხრა-კუთხა თავთავიანი იყო, ასე გგონია სიმინდის ტაროაო (იქვე, 897).

ქ ე რ ს ორ კოდს ვთესამდით დღიურზე, პურს კი ხუთმეტ-თექვსმეტ ლიტრას. სიმინდს უფრო ცოტა თესლი უნდოდა... სიმინდიც ზღვა მოდიოდა და პურიც (იქვე, 874).

შატილში ორგვარი ქ ე რ ი ითვლება: მთური და ბარული... თავთავის მიხედვითაც ორგვარია ქერი: მარტივი ან ფიცარი (ორმწრკივი) და ჩარათი (ოთხმწკრივი)¹⁶³.

ქ ე რ ს კელით მკიან, უნამგლოდ, სვილს კი ნამგლით მკიან (ხეცს., 189).

სათესლედ ინახვენ გარჩეულ კარგს ქ ე რ ს, სვილსა და ჭიშქენს (ხეცს., 184).

ქ ე რ ი იხენება მაისში, იმეება მარიაშობისთვის პირველიდან (თუშეთი, 551).

გაზაფხულისა არის ქ ე რ ი. თავთავი ექვსკუთხა (ექვსკუთხეზე ისხამს). მარცვალი ფერად თეთრია... გალეწის შემდეგ ატყრობენ (ახლიან) და ისე ფქვავენ გალად... (თუშ., 553).

ქ ე რ ი ითვებოდა სამნაირი: ორკუთხა ქერი და ჩარათები. ორგვარი ოთხკუთხა — თეთრი და შავი. ამაში ამჯობინებდნენ და დღესაც უკეთესად ითვლება ორკუთხა ქ ე რ ი, რადგან მოუმცდარია, არ მოცდება, ყოველთვის მოდის. ჩარათები კი უფრო ადვილად ცდება... (ფშავი, 127).

ჩვენში ქ ე რ ი რო დეეთესენ, იმას არ მოჭრიდენ იმისთვის — საჭმელად, (იმას) თავიანად მოჭრიდენ საქონლისთვის (ქვ. იმერ.).

არ უნდა დარეცხოთ ეს ქ ე რ ე ბ ი? (ქართლი, ატენი).

ქ ე რ ი ძველ პურზე სქლად უნდა დაითესოს (ქვ. რაჭა, ფუტიეთი).

... ცხენებსა ქ ე რ ი აჭამეს, ომს აპირებენ ძნელსაო (ქართ., ატენი, ფუხანთ უბანი).

¹⁶³ ალ. კ ი ნ ქ ა რ ა უ ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 200.

პტყელი, კეჲერი, „ისე ქ ე რ ი“ — სამივე გაზაფხულზე ითესებოდა, სამივე ფხიანია (ქვ. რაჭა, ფუტიეთი).

სიტყვა „ქერი“ კომპოზიტების: ქ ე რ შ ვ ე ლ ი (—ქერშიშველი), ქ ე ჰ რ ე ლ ი // ქ ე რ ჰ რ ე ლ ი, ქ ე რ ს ვ ი ლ ი (გუდამაყარი, მთიულეთი)¹⁶⁴ ქ ე რ დ ი კ ა, ქ ე რ ი ფ ქ ლ ა ს, პირველ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს.

ქ ე რ შ ვ ე ლ ი (→ქერი შიშველი) თუშეთსა და ხევსურეთში კილისა (resp. ბუდის) არა მქონე ქერის ჯიშის, *Hordeum nudum*-ის (ГОЛЫЙ ЯЧМЕНЬ) სახელია:

ქ ე რ შ ვ ე ლ ი ქერის მსგავსია, ოღონდ „ფირფლი“, ანუ „ქერქი“ არა აქვს. თავთავი ოთხკუთხია (ისხამს ოთხკუთხეზე). ითესება ქ ე რ ი ს დროსვე.. იმასაც ისევე ხმარობენ, როგორც ქ ე რ ს: ჯალადაც ხმარობენ და ფქვილშიაც ურევენ (თუშ., 554).

ქ ე რ შ ვ ე ლ ი იხენება მაისში, იმკება მარიამობისთვის 1-დან (თუშ., 551).

... ბიჭონი არის — ცერცვისა, ქ ე რ შ ვ ე ლ ი ს ა, იფქლისა, სიმინდისა, სვილისა (თუშ., 387).

„არის კიდევ ერთი კულტურა, წერს ალ. ჰინჭარაული — ქ ე რ შ ვ ე ლ ი. ქერშველი თვისებით ქერს გავს, უქერქობითა და ფერით — იფქლს. სახელწოდებითაც ქერთან უნდა იყოს კავშირში: ქერშველი — ქერშიშველი. ქერშველს ცოტას თესავენ, რადგან დიდი გამოყენება არა აქვს. საპურედ არ ვარგა: უგემურია და უძარღვო. მთაში თესავენ. იყენებენ ფ ა ფ ი ს ა და ბ ი ჰ ო ნ ი ს (ბატი-ბუტის) დასამზადებლად. ქერშველის ფაფა კარგი გამოდის“¹⁶⁵.

„მოხალულ ქერს, სიმინდს, ქ ე რ შ ვ ე ლ ს დაფქვავენ და ღებულობენ ჯალ-ს (ქუმელს)“¹⁶⁶.

ქ ე ჰ რ ე ლ ი (//ქერჰრელი) აღმოსავლეთ საქართველოში (resp. ქართლში, კახეთში...) „...ხორბალ-ქერის შერეულ ნათესსა და მის მოსავალს ეწოდება...“, რაჭაში კი შემოდგომის ქერს, ანუ ქრთილს¹⁶⁷:

პურსა და ქერსა ერთმანეთში არეულს ქ ე ჰ რ ე ლ ი ჰქვია (ს. ატენი, ქართლი).

— ქ ე რ ი ა, ოლა, თუ პური?

— ე, ქ ე ჰ რ ე ლ ი (ნარევი პურისა და ქერისა. ო. კ.) (იქვე).

¹⁶⁴ შიხ. კ ე დ ე ლ ა ძ ი ს ცნობით.

¹⁶⁵ ალ. ჰინჭარაული, ხევსურულის თავისებურებანი, გვ. 200.

¹⁶⁶ იქვე, გვ. 214.

¹⁶⁷ ივ. ჭ ა ე ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., I, გვ. 357, 402.

წელს გლეხებს ქეჰრელი' ეყიდებოდა სამ მანეთ ნახევრად („ივერია“, 1888 წ., № 156—3).

ქეჰრელია ერთმანეთში არეული ქერი და ხორბალი (ერწო).

ქერჰრელი ქერი... ითესება შემოდგომაზე (ქვ. რაჰა, ფუტიეთი).

ქართლში¹⁶⁸ და მთიულეთში¹⁶⁹ ხორბლისა და ქერის ნარევე ყანას ქერდიკასაც უწოდებენ.

ზანურში გვაქვს ქერი¹⁷⁰ სვანურში ქერ და ჰემინი¹⁷¹. ქრთილი ამ ენებში არ ჩანს. ის (ქრთილი), ვფიქრობთ, ქართულ ნიადაგზე შექმნილი სიტყვაა.

იგი ჭავახიშვილი ქერის ქრთილის ბოლომოკვეცილ ფორმად თვლის, ზოლო თვით ქრთილ-ში შესაძლებლად მიაჩნია გამოყოს ფორმანტი -ლი და ფუტეში, წინა ორ თანხმოვანს შორის, ჩავარდნილი ხმოვანი ივარაუდოს¹⁷².

მაგრამ, ჩვენი ფიქრით, უფრო შესაძლებელია დავუშვათ, რომ ქერი ქრთილი-ს გამარტივების შედეგად მიღებული სიტყვა კი არ არის, არამედ კომპოზიტია, რომლის პირველი შემადგენელი ნაწილი ქერ-(-ქრ) უნდა ყოფილიყო, ხოლო მეორე ნაწილი -თ-ილ-ი-ა; -თილი ფონეტიკურად სახეცვლილი „დოლი“ უნდა იყოს: ქერ-დოლი—*ქერ-დული—*ქერდილი—ქრთილი (რედუქციითა და დისიმილაციით ან რედუქციითა და დისტანციური ასიმილაციით); ქერდ—ქრდ—ქრთ¹⁷³; შდრ. კომპოზიტები: ქეჰრელი // ← ქერჰრელი; ქერშველი (←ქერ-შიშველი); ქერ-იფქლი, ქერ-დიკა, ქერ-სვილი... ამრიგად, არ არის გამოჩნდილი, რომ ქრთილი სწორედ ამათ მსგავსად ნაწარმოები ძველი კომპოზიტის — ქერ-დოლის, ტრანსფორმაციით მიღებული ფორმა იყოს და თავდაპირველად ქერისა და დოლის ანუ იფქლის (იხ. ქვემოთ) შერეულ ნათესსა და მათ მოსავალს ეწოდებოდა. ამასთანავე ყურადღებას იქცევს ის გარემოებაც, რომ, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, რაჰაში შემოდგომის ქერს, ანუ ქრთილს (...←*ქერ-დილი) ქეჰრელი (←*ქერჰრელი) ეწოდება და ისიც, რომ ქრთილიცა და დოლიც (=იფქლი) შემოდგომაზე ითესება. ასე რომ, შეიძლება ვიფი-

¹⁶⁸ ივ. ჭავახიშვილი, დასახ. ნაშრ., I, გვ. 357, 402.

¹⁶⁹ შინამარეწველობის მასალები, გვ. 226.

¹⁷⁰ Н. Я. Марр, Грамматика чанского (лазского) языка.—МЯЯ, II, СПб. 1910; არნ. ჩიქობავა, შედარებითი ლექსიკონი, გვ. 148.

¹⁷¹ И. И. Нижарадзе, Русс.-сван. словарь, Тифлис, 1910, S. V. ячмень

¹⁷² ივ. ჭავახიშვილი, დასახ. ნაშრ., I, გვ. 400—402.

¹⁷³ შდრ. შანდალი//—შანთალი (დიალ.): ნდ—ნთ.

ქროთ — ქრთილი-ს (...*ქერდოლი) ამოსავალი მნიშვნელობა დღევანდელი ქერ-იფქლის მნიშვნელობის ფარდი უნდა ყოფილიყო.

ივ. ჯავახიშვილი იძლევა ქერის შესახებ არსებული შეხედულებების მოკლე მიმოხილვას და ბერძნული „კრითე“ // „კრი“-ს, ლათინური „პორდეუმი“-ს, სომხური „გარი“-ს, გერმანული „გერსტე“-სა და ოსური „ხორი“-ს... სათანადო ანალიზის შემდეგ დაასკვნის: „ჩემი მიზანი იყო შეგრძნობებინა... რომ ქართულ „ქრთილ“-„ქერსა“ და ამ მცენარის ბერძნულ, ლათინურ, გერმანულ, სომხურსა და ოსურ სახელებს შორის გენეტური კავშირი, ვგონებ, უნდა არსებობდესო“¹⁷⁴.

12. დოლი. „დოლი“ ს. ორბელიანის განმარტებით „უქვაგო იფქლია“, ე. ი. ისეთი იფქლი, რომელშიაც სვილი არ ურევია¹⁷⁵. ასე ესმით ამ სიტყვის მნიშვნელობა დღესაც კი აქა-იქ საქართველოს ზოგიერთ კუთხეში; ი. ლომოური თავის შრომაში: „მარცვლეულის კულტურები“, 274 გვერდზე შენიშვნაში წერს: „ინტერესს არ არის მოკლებული ის გარემოება, რომ ქართლის ერთ-ერთ სოფელში რამდენიმე წლის წინათ თითქმის სიტყვასიტყვით ასეთივე განმარტება (ლაპარაკია ს. ორბელიანის განმარტებაზე, ო. კ.) მომცეს დოლის შესახებ. ჩემს შეკითხვაზე, თუ რით განირჩევა დოლისპური სხვა საშემოდგომო ხორბლისაგან, პასუხად მივიღე: „დოლი ის არის, სადაც ქვავი არ ურევია“-ო.

ქვემო რაჭის სოფლებში — ფუტიეთში, სხვაგან და სხვაგან სხვადასხვა პირები არა ერთგზის იძლეოდნენ ასეთ განმარტებებს¹⁷⁶: „დოლი პური მაშინაა, თუ ქუბა ააცალე“..

„წინათ ქუბა რო ერია, ი ფქლს ვეძახით, ეხლა დოლა არი — ქუბა არ ურევია...“.

„ძველად იფქლს უძახოდით, რადგან ქუბა ერია — ახლა ქუბა მოვსპეთ და დოლა გავხადეთ“.

„დოლას ვუძახით იფქლს“.

„დოლა პურს ვეძახით იფქლსა... იფქლი და დოლა ერთია. ძველ პურს ჩვენ იფქლს ვეძახით. ნახევარი ქუბა ერია...“ და სხვა.

დ. ჩუბინაშვილის განმარტებითაც აგრეთვე „დოლი ს. უქვაგო ფქვილი თუ იფქლი“-ა...

174 ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., I, გვ. 402.

175 იქვე, გვ. 332.

176 ო. კახაძე, ქვ. რაჭაში მივლინების ანგარიში, 1947.

„დოლის პური“ *Triticum vulgare Vill.*-ის ქართული სახელია. მაგრამ რაკი, როგორც ეს ივ. ჯავახიშვილმა გვიჩვენა, და მისივე სიტყვებითაც რომ ვთქვათ: „უძველესი დროითგან... ქართულ სამწერლობო ენაში *Tr. vulgare Vill.*-ს იფქლი“ ეწოდებოდა, ცხადი ხდება, რომ საბა ორბელიანის ზემომოყვანილი განმარტება, დოლი — იფქლიაო, სრულ ჭეშმარიტებას წარმოადგენს“¹⁷⁷. ივ. ჯავახიშვილისევე თქმით: „არსებითად „დოლის-პური“-ს სახელის შემოდება ხორბლეულის რაიმე ახალი ჯიშის შემოსვლას არ მოასწავებდა, არამედ იგი იმავე იფქლის ჯიშის სახელს წარმოადგენს“¹⁷⁸.

დოლი, დოლის-პური ხორბლეულის ეს სახელწოდება ამჟამად „ყველაზე ფართოდაა გავრცელებული“¹⁷⁹.

მოვიყვანოთ საილუსტრაციო მაგალითები დიალექტებიდან:

დოლი პური მაშინაა, თუ ქუბა ააცალე... (ქვ. რაჭა, ფუტიეთი).

დოლი პური ცოტა წათეთროა, მარა სხვილი კაკალი აქვს და თავთავიც სხვილი აქვს (ქვ. რაჭა, ფუტიეთი).

დოლა პური ძირში მეტი ამოდის, ბლარტულობს და ამიტომ ქუბა უფრო ნაკლები ურევია (ფუტიეთი).

დოლი პური ძველი პურია, შემოდგომაზე ვთესავთ (ქვ. რაჭა).

დოლი პური უფრო გაზაფხულზე ითესება. უფხოა და მაგიტომ ქვია „დოლა“ პური (ცხვარ და თხას ურქებოს „დოლა“ ქვია). (ზ. რაჭა, 37).

დოლი პური „ყველას ჯობია“ (ქართ., პ. ატენი).

დოლი პურის ფქვილი სუფთა პურია (პატარა ატენი).

დოლას ვეძახით იფქლს (ქვ. რაჭა, ს. ფუტიეთი).

ჩემს პატარაობისას სულ იყო ქუბა, დოლი პური ნაკლებად იყო (ფუტიეთი).

დოლა პურს ვეძახით იფქლსა... იფქლი და დოლა ერთია. ძველ პურს ჩვენ იფქლს ვეძახით. ნახევარი ქუბა ერია, ეხლა ამოვარჩიეთ და ველარ ვნახამთ ქუბას. ქუბა ისე ტკბილია, მარა ლენჯია (ფუტიეთი).

„სულ თავ პურს, ნარკვევს, ავიღებდით დოლის პურს... გავრცეხამდით და გავახმობდით (ქართ., 146).

¹⁷⁷ ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., I, გვ. 333.

¹⁷⁸ იქვე, გვ. 397.

¹⁷⁹ იქვე, გვ. 333; აგრეთვე, ლ. დეკაბრელევიჩი, დასახ. ნაშრ., გვ. 8.

თეთრი დოლის პურს გამოსავალი მეტი აქვს, მხოლოდ გვალვაში უფრო ნაკლები მოსავალი იცის, პურად კარგი მარცვალი აქვს და კარგად ცხვება (ზ. ქართ., მოხისი, 554).

დოლი პურს... მაწიერობა (სიმადრე, სინოყიერე) მეტი აქვს (ზ. ქართლი. 521).

აქა ჰთესავენ დოლის პურს, გაზაფხულის დიკას, ქერს, ასლს (გ. კახ., 288).

დოლი პურის თანაკი არც ერთი არ არის: ის არის თავი და თავი პური. ძან გემრიელი პური იცის და მოსავალიც კარგი აქვს (შ. კახ., 887).

თეთრი დოლი — ორივე ფხიანია, სხვილთავიანი. წითელ დოლს წითელი მარცვალი აქვს, თეთრს თეთრი. წითელი დოლისთანა პური არ არის (ქიზ., 768).

„დოლი“ ივ. ჯავახიშვილს ქართულ სიტყვად მიაჩნია, თუმცა მისი თავდაპირველი მნიშვნელობა განსვენებული მეცნიერისათვის გაუგებარია: „...დოლის მნიშვნელობა გამოურკვეველი რჩება, წერს ის „საქ. ეკ. ისტორიის“ I ტომში, „მაგრამ რაკი პურეულის სახელად ქართულს გარდა არსად იხმარება, საქართველოში კი უკვე IX ს. ქ. შ. გეოგრაფიულ სახელში, „დოლის ყანა“-ში გვაქვს აღბეჭდილი, საქართველოს გარეშე მისი სადაურობა საძიებელი არ არის“¹⁸⁰. „თვით გამონათქვამი „დოლის პური“ კი, განაგრძობს დიდი მეცნიერი, ძალიან ძველი არ შეიძლება იყოს, რადგან აქ „პურს“ უკვე მარცვლეულის მნიშვნელობა აქვს. თავდაპირველად — კი „პური“ გამომცხვარს ეწოდებოდა¹⁸⁰.

ბოლოს, დასახელებული შრომის 405 გვერდზე ავტორი დაასკვნის: ქართული აღმოჩნდა რბილი ხორბლის უძველესი სახელი „იფქლი“ და მერმინდელი „დოლისპური“ ისევე, როგორც „დიკა“ და „ასლიც“.

13. პური. ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევით ტერმინი „პური“ დაბადებისა და სახარების ქართულ თარგმანში გამომცხვარი პურის მნიშვნელობითაა ნახმარი და უდრის ბერძნულ *μυρός*, ლათინურ *panis*...ამავე მნიშვნელობით უხმარიათ ძველ ქართულში ის უფრო გვიანაც¹⁸¹.

¹⁸⁰ ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., I, გვ. 396—397; ა. კვალაიაშვილი, სიტყვა „დოლის“ გაგებისათვის. — „ლიტერატურული გაზეთი“, 3. VIII. 1962, № 31; ნ. ბრეგვაძე, მთის მიწათმოქმედება დასავლეთ საქართველოში, თბ., 1969, გვ. 22.

¹⁸¹ ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., I, გვ. 331.

ამჟამად პურს გარდა იმისა, რომ ის გამომცხვარ საკვებს ეწოდება, ხორბლეულის მნიშვნელობაც აქვს, პურის მარცვალსაც ნიშნავს და რაქაში პურეულის ერთი ჯიშის აღსანიშნავადაც იხმარება¹⁸².

მოციყვიანოთ საილუსტრაციო მაგალითები დიალექტებიდან

პ უ რ ი ითესება წიფობისთვიდან შუა გიორგობისთვემდე... (ქვ. იმერ., სამტრ., 266).

პ უ რ ი ითე-ებოდა შემოდგომაზე; ყანის სთველი რო ეიღებოდა, მერე პური დეითესებოდა (ქვ. იმერ.).

პ უ რ ს ვკრით მანგლით, შემდეგ ღვლეჭით ან წკნელით შეეკონაეთ კონას (ქვ. იმერ., 275).

პ უ რ ი ს გატება კველით (ქვ. იმერ., 275).

... პ უ რ ს ნაპურალში არ ვთესავთ... (ქვ. იმერ., 266).

პურს ქვემო რაქაში გაზაფხულზედაც თესავენ, მაგრამ უმათავრესად შემოდგომაზე ითესება.

... თოხით თუ დათესეს პ უ რ ი (იფქლი, დოლი), 'კარგი მოდის (ქვ. რაქა, ფუტიეთი).

ამოდენა პ უ რ ე ბ ი დასამკალია... (ფუტიეთი).

ნათესებიდან პირველად პ უ რ ი შემოდის. პ უ რ ს მკიან ნამგლით და შეკონავენ პ უ რ ი ს ლერობით (ქვ. რაქა, 191).

პ უ რ ი და სიმინდი ორივე ითესება ჩვენში. უფრო პ უ რ ი ვიცით და ქერი. პ უ რ ს გათონა არ უნდა იმითია კარგი. დავსნავთ და დავფარცხავთ. მორჩა და გათავდა (ზ. რაქა, 37).

ქართული პურის ჯიშები: დ ო ლ ი პ უ რ ი..., თავთუხი პ უ რ ი..., შავფხა პ უ რ ი..., უფხო პ უ რ ი..., დიკა პ უ რ ი..., ქერი... (ზ. ქართლი, მეჯვრისხევი, 569).

პურის ჯიშები: 1. კატეხილი (sic) პ უ რ ი — წითელი კეკალი აქვს და ქიცვიანია. 2. ზანდური პ უ რ ი — ქუცურე თავი აქვს და ქიცვიანია. 3. ნადური პ უ რ ი — წითელი პურია, კარგი საჭმელია, ყველაზე უკეთესია (ქვ. იმერ., გორდი, ხონი).

ჩვენ ჰავას უფრო დაუმაგრდა ძველი პ უ რ ე ბ ი... (ლენჩ., 37).

წითელი პ უ რ ი დოლი პ უ რ ი ა, წითელი ფხა აქვს, გამოსავალი კარგი აქვს, რომ გამოცხვება. მარცვალი იყო წითელი, მაგრამ პ უ რ ი თეთრი იყო, მატება იცოდა (ზ. ქართლი, ავლები, 541).

¹⁸² ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ე ი ლ ი, დასახ. ნაშრ., I, გვ. 331.

თეთრი პური თეთრი იყო სულ, ფხაც თეთრი ჰქონდა. ადვილი სალენი იყო, მატება წითელი პურისთან არ შეეძლო (ზ. ქართლი, ავლები, 541).

წითელი პური გვალვაში მაგარია, მოსავალი საშუალო აქვს... (ზ. ქართლი, მოხისი, 554).

ძველი პური გამომავლობით ყველას ჯობია. ითესება შემოდგომაზე. ფხიანი და თხელი თაველი იცის. დოვლათიანია. ნათელი გამოდის მისი ნაშაღი, ხულუგო მეტი ამას ვერ შეედრება პური ვერომელი (ზ. რაჭა, 37).

... არკვევენ პური ხოვს (←ხევი) (საინგ., 37).

პურის დატაკვაც, ე. ი. ტაბაკით გასუფთავებაც იციან (ქიზ., 815).

ბრინჯივით პური აქ (ქართლი, პატარა ატენი).

ივ. ჯავახიშვილის თქმით „რადგან ბერძნულში ბ პსარძ ი? პსარი? არსებობს, რომელიც პომპროსის დროს ცხენის საკვებს ჰნიშნავდა, შემდეგ-ი იფქლის მნიშვნელობა მიენიჭა და რაკი ქართული „პური“ და ბერძნული „პურო“ ერთიმეორეს გასაოცრად მიაგნანან, ამიტომ ბუნებრივად იბადება კითხვა, რომ ერთი მათგანი ნახესხები უნდა იყოს“ (იხ. დასახ. ნაშრ., გვ. 331; 325).

„პური“ p[h]ur-, როგორც აღნიშნულია სპეციალურ ლიტერატურაში, მიგრაციული ტერმინია. ის ინდოევროპულ ენათგან შესულა სხვა სისტემის ენებში, მაგ., თურქულ ენებში...¹⁸³ უნდა ვიფიქროთ, რომ ქართული „პურიც“ ინდოევროპულ ენათგან, კერძოდ, ბერძნულიდან არის შემოსული.

„პურიდან“ ნაწარმოებია მრავალი სიტყვა, მაგ.: პურობა, დაპურება (დააპურებს, დაპურდება), პურული, მეპურე. საპურე, პურის მტეე//პურისტე, პურადი, პურაძვირი, პურმარილი და სხვა.

14. ფეტვი. ფეტვი *Panicum miliaceum*-ის ქართული სახელია. ის დღეს უმთავრესად აღმოსავლეთ საქართველოში იხმის. მისი სინონიმია ჭადი//მჭადი, რომელიც, ამ მნიშვნელობით, მხოლოდ დასავლეთ საქართველოში იხმარება¹⁸⁴.

მოვიყვანოთ საილუსტრაციო მაგალითები:

¹⁸³ Т. В. Гамкрелидзе, Вяч. Вс. Иванов, Индоевропейский язык и индоевропейцы, II, Тб. 1984, с. 657—658.

¹⁸⁴ იხ. ალ. მაყაშვილი, „...მემცენარეობა“, გვ. 173—174.

ფ ო ტ ს (=ფეტეს) გაზაფხულზე, მაისში სთესავდენ და შემოდგო-
მაზე, ფეტვის მომკის შემდეგ, „ნ ა ფ ო ტ ა რ შ ი“ პურს აყრიდნენ
(საინგ.).

.. იყო — „წითელი და თეთრი ფ ო ტ ი“ (საინგ.).

ზოგი ფ ე ტ ვ ი „ბუთხევი“ (თურქ. ანუ ტოტებიანი...) იყო, ზოგი
კი... კატის მსგავსი თავთავით... „შავ ფოტს“ ილისუელები, ყაშხაჩე-
ულები, დალესტნელები სთესავენ (საინგ. 353).

პირველ წელს... „ფოტს“ (=ფეტეს) და, თუ მიწა კიდეე მეტად
ძალიანი იყო, ფ ე ტ ვ ი ს შემდეგ, შემოდგომაზე ქერს სთესავდენ,
ხოლო მეორე წლის შემოდგომაზე ლა პურს (საინგ., 352).

სთესდენ და ახლაც სთესავენ ფ ე ტ ვ ს ა და ტრუპკას. ესენიც
ყველაზე გვიან ითესებოდა... (ფშაფი, 126).

ანეული — არეული, ფ ე ტ ვ ი ზეზე მოხნული (გარე კახეთი, პა-
ტარძეული).

ფ ე ტ ვ ი ს ბურღო საუკეთესოა საქონლისათვის, საქონელს თამა-
შობას დააწყებინებდა... ხოლმე (შ. კახ., 828).

ერთი რიგი ფ ა რ ჩ ხ ა ფ ე ტ ვ ი იყო... (შ. კახ., 899).

ფ ე ტ ვ ი ს გაღეწვას ბევრი არაფერი უნდა; კევრით გაბურღოვ-
დება, მემრე ზევიდან ბურღო მეედება და ქვეშ მარცვალი დარჩება
(შ. კახ., 907).

ფ ე ტ ვ ი და სიმინდი აქ კარგი არ მოდის, ფ ე ტ ვ ი სულ არ მო-
დის (გ. კახ., 288).

პურტკბილობა გახდებოდა — მოსავალი ნაკლები იქნებოდა —
გამოვაცხოზდით ფ ე ტ ვ ი ს ჭადსა.. (ქართლი, მტ. სამხ., 210).

ფ ე ტ ვ ი ითესებოდა არაყათა, საქონლისათვისა, კაციც სჭამდა,
გჭამდით ჩვენც (ქართლი, მტ. სამხ., 210).

ითესებოდა ფ ე ტ ვ ი, ფშურია ... სიმინდი, პური, ქერი, ღომი (ქარ-
თლი, მტ. სამხ. 209—10).

უწინ თურმე გაზაფხულობით მხოლოდ ს ა ფ ე ტ ვ ე დ ხნავდნენ,
ახალთესლი არ ყოფილა¹⁸⁵.

ერთნაირი ფ ე ტ ვ ი, ფოჩიანია, ბრინჯივით თავთავი აქვს, მეორე
ნაირი ძურწასა ჰგავს, რგვალი მოგრძო თავთავია. ამ უკანასკნელს ძ უ-
რ წ ა ფ ე ტ ვ ს ეძახიან, ზოგი ქ ვ რ ი მ ა ფ ე ტ ვ ს ეძახის (ქიზ., 783).

აგრეთვე ფ ე ტ ვ ს ა ც ვთესავთ, ითესება მარიობისთვეში. ფეტვს
მოვკრეფთ ეკენისთვეში... (ქვ. იმერ., ბაღდადი, 271).

¹⁸⁵ სტ. მ ე ნ თ ე შ ა შ ე ი ლ ი, ქიზიყური ლექსიკონი, გვ. 185.

ფეტვი ... დიკაზე უფრო თხლათ უნდა დაითესოს.. ფეტვი თუ ზედმეტი იქნა, ბლომად, სუ არ ივარგებს (ქვ. რაჭა, ფუტიეთი).

ი ფეტვი სიმინდზე უფრო მარგებელია, კაცისათვის იმას უფრო მეტი ყიარათი აქვს (ფუტიეთი).

ქათამმა სთქვა: იმ დღეს ვფიცავ, როცა ჩემი პატრონი ორმოდან ფეტვის ამოიღებს გასაფენადო (ანდაზა).

ფეტვისაც ბელელში ინახავენ (ქვ. რაჭა).

ჭადს, თუ ნაპურალში დაეთესავდით, ერთჯერ ვთოხნიდით, თუ ისე — ორჯერ (ქვ. იმერ.).

ჭადს ან ცეხავდენ, ან წისქვილში მალლა აწეული ქვაში დალერავდენ და ისე აცლიდენ ... კანს (ქვ. იმერ.).

რუნ მჭადს მოშაო ფერის თავლები ქონდა (იქვე).

იყო თეთრთავლიანი ჭადიც... (იქვე).

სიმინდის თესვა რო მოთავდებოდა, აგერ მაისში, ან აპრილის ბოლოს, ითესებოდა მჭადი. მჭადის დათესვა ნაპურალშიც შეიძლებოდა... (იქვე).

მჭადი და ღომი ერთ ღროს ითესებოდა... (იქვე).

ჭადი სამნაირი ვიცოდით: თეთრი მჭადი (=ფეტვი), შავი მჭადი, ყვითელი მჭადი ... (ზ. რაჭა, 37).

თეთრ მჭადს ქვრიმას უძახით, ყვითელს — ფარჩხა მჭადს (იქვე).

... წვრილი მჭადი პატარა თავლიანია... (ს. ფუტიეთი).

ჯერ დიკას თესავენ, მერე სიმინდს, ბოლოს მჭადს (იქვე).

ჭადს ეთესავთ ორხლითაც, სახვნელითაც (იქვე).

წითელი მჭადი (ზ. რაჭა, გლოლა).

ჭადი ფეტვია (ლეჩხ.).

ფეტვის აღსანიშნავად დასავლეთ საქართველოშივე (resp. ქვ. იმერეთში) შეიძლება იხმარონ რედუპლიკაციის გზით მიღებული „ჭადის-ჭადი“ და „მჭადის-მჭადი“¹⁸⁶:

ჭადის-ჭადს თაველი აქვს (ქვ. იმერ., ს. ვანი).

ჭადის-ჭადს კრეფენ, კრიენ დანეით (იქვე).

ჭადის-ჭადის საკრეფათ მივდივართ... (იქვე).

ჭადის-ჭადს ჯერ გავცეხავთ, მერე დაიფქვება (ქვ. იმერ., 266).

ქართული ჭადი/მჭადი ისე¹⁸⁷, როგორც მეგრული ჭადი და ჭანური მჭკული/მჭკიდი, ახლა ძირითადად გამომხცვარ მჭადს აღნიშნავს.

¹⁸⁶ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მეგრულშიც ქვემოიმერულის მსგავსად ფეტვის სახელად ფატთან და ჭკიდთან ერთად იხმარებოდა ჭკიდი(შ)-ჭკიდიც.

¹⁸⁷ რაჭაში (ფუტიეთი, სხვა, ბარი...) „სიმინდი“//„სიმიდი“ სიმინდის ფქვილისაგან გამომცხვარი „პური“-ს (resp. ჭადის) სახელიცაა.

ს. ორბელიანის განმარტებით „მკალი ფეტესა, სიმინდისა და მის-
თანათა პური“-ა.

ფეტვი გამომცხვარის მნიშვნელობით არ იხმარება; ის მცენარისა
და მარცვლის სახელია მხოლოდ, „ჭადი//მჭადი“ კი, როგორც დავინა-
ხეთ, ჰქვია მცენარესაც, მარცვალსაც და ამ მარცვილიდან (ან სიმინდის
ფქვილიდან) გამომცხვარ „პურსაც“ (resp. ჭადს).

„ფეტვი“, წერს ივ. ჭავჭავაძე, „ნათარგმნ ძეგლებშიც გვხვდება,
მაგ., ესაიასი 28,25-ში, და ორიგინალურ ნაწარმოებებსა და საბუთებ-
შიც“¹⁸⁸. იმავე გვერდზე, ცოტათი ქვემოთ ვკითხულობთ: ფეტვი „იხ-
სენიება როგორც აღმოსავლეთისა. ისევე დასავლეთი საქარ-
თველოს ყოფა-ცხოვრების დამახასიათებელ ძე-
გლებსა და საბუთებს“¹⁸⁹. მაგ. გ. მერჩულეს მოთხრობილი აქვს,
რომ ცქირმა „მოუწოდა ერის კაცსა ანხელსა, ლირბსა და გლახაკსა და
მაგრიად მოისარსა და აღუთქვა მიცემად სამი გრივი ფეტუ და ხუთნი
თხანი და წარავლინა ხანძთად მოკლვად მამისა გრიგოლისა“ (ცა
გვლ ხნძთლს, გვ. ავ, 54ც).

ნიკორწმინდელის XI ს. სიგელში ნათქვამია: „მივეც (ს. კაჩაერს
ნეჩრელთ)... ფეტუ კაბიწი: ე: (5:ქკები 11,47). გვხვდება ეს ტერმინი
დავით ნარინის სიგელშიც (ქკები 11,129)“¹⁹⁰.

ცხადია, თავის დროზე სახელწოდება „ფეტვი“ ფართოდ ყოფილა
გავრცელებული მთელს საქართველოში, რასაც, სხვათაშორის, ზანური
ფატისა და სვანური ფატუ//ფატუ¹⁹¹-ს არსებობაც კარგად მოწმობს.

ზანური ძირეული ფატ- შეესატყვისება ქართ. ფეტ-ს; სუფიქსი -ვ-
(//უ). რომელიც სვანურ და ქართულ მონაცემებში მოგვეპოვება, მეგ-
რელ-ქანურს არ გააჩნია.

სვანურში იგივე ძირია (ფატ-) გამოყენებული, რაც ზანურში
გვაქვს.

ფეტვი ფეტვი-ს სახით ისმის „...ხაშურის...“, ქარელის რაიონის
ოსურ სოფლებში“¹⁹².

ქანურ-მეგრული მ-ჰკუდ-ი (→//მ-ჰკიდ-ი→ჰკიდ-ი), რომელიც მომ-
დინარეობს მ-ჰოდ-ი//მ-ჰკოდ-ი-საგან, კანონზომიერად შეესატყვისე-
ბა ქართ. მჭად-ს¹⁹³. „თავკიდური მ- ფონეტიკური დანართი ჩანს“¹⁹⁴.

¹⁸⁸ ივ. ჭავჭავაძე, დასახ. ნაშრ., I, გვ. 364.

¹⁸⁹ ხაზი ჩემია — ო. კ.

¹⁹⁰ ივ. ჭავჭავაძე, დასახ. ნაშრ., I, გვ. 364.

¹⁹¹ И. И. Ни ж а р а д з е, Русс.-св. словарь S. V. просод.

¹⁹² ო. თედეევი, მცენარეობის ქართული ლექსიკა ოსურში, გვ. 25.

¹⁹³ არნ. ჩიქობავა, შედარ. ლექსიკ., გვ. 174.

¹⁹⁴ Н. Я. Марр, Непочатын источник истории Кавказского мира, с. 322.

აღსანიშნავია, რომ ხუნძურში გამომცხვარ პურს ჩედ, ხოლო ლაკურში ჰატ ჰქვია. ამ სიტყვის (resp. სიტყვების) შესახებ ნ. ბარი წერდა: „...როგორც არ უნდა იყოს სიტყვის წარმოშობა, ის ჩვენ გვაქვს ქართულშიც: m-tadi... დიალექტურ-იმერული „m-tadi ფეტვი“, „tadis-tadi ფეტვის ფქვილიდან გამომცხვარი პური“¹⁹⁵.

„ჰად- ძირი უნდა გვქონდეს ხუნძურ ჩედ-ში — „პური“ (მოთხრა ჩად-ი-ც-ა, მრავლ. სახ. ჩად-ალ), აგრეთვე ლაკურში ჰატ-, რომელიც „პურსაც“ აღნიშნავს და „თხოვნა“ სიტყვის ძირსაც შეადგენს“, — ვკითხულობთ არნ. ჩიქობაეას „...შედარებით ლექსიკონში“.

ქართველურ ენებში ჰადი // ჰკიდი... აღნიშნავს მცენარესაც... და გამომცხვარ პურსაც (სიმინდისა, ფეტვის ფქვილისა). ქართულის აღმოსავლურ კილოებში, კერძოდ, კახურში მჰადი სიმინდის ფქვილის პურს ჰქვია... ხუნძურსა და ლაკურში ჩედ და ჰატ, კახურის მსგავსად, მხოლოდ გამომცხვარ პურს ნიშნავს, ოღონდ აქ უკვე არა სიმინდის ფქვილისაგან გაკეთებულს, არამედ ჩვეულებრივ პურს. პირველადი ამ ორ მნიშვნელობათა შორის მცენარის აღნიშვნა უნდა იყოს.

ყოველივე ეს შესაძლებელს ხდის ვივარაუდოთ, რომ დაღესტნის ენებს (resp. ხუნძურსა და ლაკურს) დასახელებული სიტყვა ქართველური ენებიდან შეუთვისებიათ.

15. იფქლი. „იფქლი“, ხორბლეულის ეს სახელწოდება, გვხვდება არა მარტო V—XII საუკუნეთა ქართული მწერლობის ძეგლებსა და საბუთებში, არამედ, ივ. ჭავჭავიძის სიტყვებით რომ ვთქვათ — „შემდეგაც ყველასათვის ცნობილი სახელი იყო“ და „...ქართულ მწერლობაში XVIII ს-შიც იხმარებოდა“¹⁹⁶.

მაგრამ დროთა განმავლობაში სამწერლობო ქართულში ხორბლეულის ამ სახელს თანდათან სიტყვა „პური“ ცვლის და, ბოლოს, სავსებით დევნის კიდეც¹⁹⁷.

დიალექტებში იფქლი ცოცხალი სიტყვაა და სხვადასხვა სახით: იფქლი, იფხლი, იმქლი, იფქილი, ისმის როგორც აღმოსავლეთისა, ისე დასავლეთის მთაში.

ძვ. ქართულში ის შენოდგომის ხორბლეულზე მიუთითებდა, ან საერთოდ პურეულს ნიშნავდა და პურის მარცვალსაც ეწოდებოდა.. „იფქლი“ და „დიკა“, — წერს თავისი „საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ I წიგნში ივ. ჭავჭავიძელი, — „პურეულის სრულებით სხვა-

¹⁹⁵ იხ. დასახ. ნაშრ., გვ. 174.

¹⁹⁶ იხ. ივ. ჭავჭავიძელი, დასახ. ნაშრ., I, გვ. 325—326.

¹⁹⁷ იქვე, გვ. 326, 331.

დასხვა ჯიშ იყო... „იფქლი“... შემოდგომის სათესლე ჯიშს წარმოადგენდა, „დიკა“ კიდევ გაზაფხულისას¹⁹⁸. ხოლო ამავე ნაშრომის 409 გვერდზე ვკითხულობთ: „...„იფქლს“, სპეციალურის გარდა, ზოგადი მნიშვნელობაც ჰქონდა, მერმინდელი ხორბლის მსგავსად“-ო¹⁹⁹.

მოვიყვანოთ საილუსტრაციო მაგალითები:

და რაჟამს დაიძინეს კაცთა მათ, მოვიდა მისი მტერი და დასთესა ღუარძლი შორის იფქლსა და წარვიდა (მათე, 13,25, იხ. DE).

... ღუარძლი და სხუანი ჯერკუალნი თესლნი, რომელნი ჰრევიან ჯაზრდელთა თესლთა არა შეცვალეზისაგან იფქლისა იქმნებიან, არამედ თვისისა არსებისაგან აღმოცენდებიან და თვისი აქუს ტომებია (ექუსთა დღეთაჲ, 55, 17—18).

... ველნი ნაყოფიერნი გარდაეცემოდეს იფქლითა, და დიკითა, და მსგავს იყვნეს უფსკრულთა მღლეგარეთა მოძრავობითა მით და მოგვლითა თავ-წარსხმულთაჲთა (იქვე, გვ. 55, 35).

... ყოველი მწუხანვილი, და ყოველი ნათესავი მხალთაჲ და ყოველნი იფქლნი და ცერცუნი ყოვლითა უშურველობითა აღორძინდეს ქუეყანასა ზედა (იქვე, გვ. 56, 2—3).

... სიხარული ბორცვთა შეიმოსონ და ღელეთა განამრავლონ იფქლი ღმრთის მსახურებისა (ც. გ. ხანძთელისა, გ.).

სიმონ, სიმონ აჰა ესერა ეშმაკმან გამოგიტხოვნა თქუენ აღცრად ვითარცა იფქლი (ლ. 22,31 (c) იხ. DE).

მერმე ჰრქუა სხუაჲ: შენ რავდენირაჲ თანა-გაც და მან ჰრქუა: ასი სათეული იფქლი... (ლ. 16,7 (c)).

და ჰრქუა უფალმან: ვინ-მე იყოს მნე იგი სარწმუნოჲ, რომელი დაადგინოს უფალმან მონათა თესთა ზედა მიცემად ეამსა იფქლისა საწყაული (ლ., 12,42 (c)).

ასი ათასსა საწყავსა იფქლისა და ათი ათასსა ქრთილისა (მცხ. ბ. 2 ნეშტ., 27,5).

და იფქლი შესაწირავდ... მიგეცი... (მცხ. ბ., I ნეშტ. 21,23).

... მივეც საზრდელად მთ იფქლი ნიქად მონთა შთა აწ ათასი: საწყული და ან ათასი საწყაული ქრთილისა (მცხ. ბ., 2 ნეშტ., 2,10).

... გედეონ ძე მისი გმოსძეგვდა იფქლსა კუჭრთხითა საწნახელსა შდ (მცხ. ბ., მსჯ., 6,11; ოშკის ბ. — იფქლეილსა).

¹⁹⁸ იხ. ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., I, კ. 388.

¹⁹⁹ ხაზი ჩემია — ო. კ.

და სოლომონ სცის ქირაშს ოცათას სათუმლი ი ფ ქ ლ ი (მცხ. ბ., 3 მეფ., 5, 11).

რამეთუ თავით თვისით ქვეყანამან მან გამოიღის ნაყოფი: პირველად თევამ, მერმე თავი, მაშინ-ღა სრული ი ფ ქ ლ ი თავსა მას შინა (მარკოზ., 4, 28 (c) იხ. DE).

დასთესის კაცმან ქვეყანასა... და თესლი იგი აღმოცდის... პირველად თევამ და მერმე თავი, და მერმე-ღა ი ფ ქ ლ ი სავსე თავსა მას შინა“ (ექუსთა დღეთამ, 55, 29).

თანამედროვე ქართულის დიალექტებში იფქლი ჩვეულებრივ სა-შემოდგომო ხორბლეულის ერთი ჯიშის სახელია, მაგრამ თუშეთში ის მხოლოდ საგაზაფხულო ხორბლეულს ჰქვია.

ძვ. ქართულში დადასტურებული დანარჩენი მნიშვნელობები მას დღევანდელ ქართულში არ უჩანს.

მოვიყვანოთ საილუსტრაციო მაგალითები დიალექტებიდან:

„ხევსურეთში სიტყვა „ი ფ ქ ლ ს“ ამჟამად უწოდებენ განსაკუთრებით სუფთა, ჰვავისაგან დაუსარეველიანებელ ხორბალს“²⁰⁰.

„ი ფ ქ ლ ი (წმინდა) მხოლოდ მალალ ადგილებში ითესება, იგი, ბარჩი არ გვარობს“. იფქლს შ ი შ ვ ე ლ მ ა რ ც ვ ა ლ-საც ეძახიან“²⁰¹.

ყველაზე კაი ას ი ფ ქ ლ ი ს ფქვილი... იფქლმა ღვედიან ცომი იცისად, გემნიერ პური (ხევს., 192).

ი ფ ქ ლ ი, ანუ ი ფ ქ ი ლ ი მოჰყავთ მთელ თუშეთში გარდა პირი-ქითისა და ზემოგომეწრისა. თავთავი ფხიანია; მარცვალი — წვრილი და წითელი. ითესება აპრილში... (თუშ., 552).

(ვიციით) ი ფ ქ ლ ი ს ფქვილში ჯალის არევა და პურად გამოცხობა (თუშ., 553).

ი ფ ქ ლ ი ს, ქერის, ქერშველისა და სხვათა ჩალას, აგრეთვე, ყარტს საქონელს აჰმევენ... (თუშ. 566).

ძველად ი ფ ქ ლ ს უძახოდით, რადგან ქუბა ერია. ახლა ქუბა მოვსპეტ და დოლა გავხადეთ (ფურტიეთი).

ი ფ ქ ლ ი პურს თოხში თესავდენ მარიობის დამლევაძდე, ხულუ-გოს კი დაუხნავდენ მიწას შემოდგომის პირზე და, თოვლს რო მოელოდენ. მაშინ მიახნავდენ მიწას (ქვ. რაჭა, ფურტიეთი).

ი ფ ქ ლ ი ს პურს იყენებდნენ კორკოტისათვის... (ქვ. რაჭა).

²⁰⁰ ლ. დეკაპრელევიჩი, შ. რუსთაველის ეპოქის მინდვრის უმთავრესი კულტურები, გვ. 7.

²⁰¹ ალ. ჰინკარაული, დასახ., ნაშრ., გვ. 200.

ძალიან პურია (ი ფ ქ ლ ი პური) — დიდებული პურია (ქვ. რაქა, ფუტიეთი).

ძველი პურია ი ფ ქ ლ ი, ითესება შამოდგომით. ადგილობრივ პურებში ევ შჯობია სუყველას, უფრო ბარაქიანია და კარგი ცხვება, ძალიან თეთრია (ფუტიეთი).

ი ფ ქ ლ ი პურებში უკეთესია, ფხიანი თაველი იცის. ითესება შემოდგომაზე. ადრე ვაბარებთ მიწას. მოსავალი და ბარაქა მეტი აქვს ყველა პურზე (ლენჩ., 36 ა).

ივ. ჭავჭავიძის სიტყვით ი ფ ქ ლ ი ისევე, როგორც დიკა „ძველის-ძველი ქართული სახელია“²⁰². „...რომლის ანარეკლი უნდა გვექონდეს სვანურს „ითქ“-ში (x.იენ)“... ხოლო მეგრული „ირქი“ იფქრისაგან უნდა იყოს „ფ“ გაქრობითა და „ქრ“-ს ადგილმონაცვლეობით წარმომდგარი“²⁰³.

არნ. ჩიქობავამ იფქლის სვანურ ითქ-თან კავშირი საეჭვოდ მიიჩნია და ისიც აღნიშნა, რომ მეგრული ირქ-ის ქართული იფქლის ვარიანტად მიჩნევას ახლავს სირთულეები. ამავე დროს მანვე დაადგინა სვანური ფექ „ფქვილი“ და ქართული იფქლის ფონეტიკურ-სემასიოლოგიური კავშირი და იფქლში გამოყო, ერთის მხრივ, საწარმოებელი ფუქე ფქ-ფექ და, მეორეს მხრივ, აფიქსები ი- და -ლ—ალ²⁰⁴.

არჩ. ჩიქობავას მიერ ი-ფქ-ლ-ის ასე დაშლას მხარს უჭერს და ამართლებს თუშეთში დადასტურებული ფორმა იფქ-ილ-ი.

16. დიკა. „დიკა“ Trilicum-ების ერთ-ერთი სახეობის ქართული სახელწოდებაა. ეს სახელი ჯერ კიდევ დაბადებაში გვხვდება და, როგორც ივ. ჭავჭავიძელმა გამოარკვია²⁰⁵, შეესატყვისება ბერძნულ πικρός-სა და ლათინურ frumentum-ს.

„დიკა“ გ. მთაწმინდელსაც აქვს არა ერთხელ ნახსენები. მის მიერ ბერძნულიდან ნათარგმნ ბასილი დიდის „ექუსთა დღეთაჲში“ ვკითხულობთ: „...მრავალგზის ვთესით დიკა მ წ ი თ უ რ ი, გინა თ ე თ რ- დ ი კ ა მ და შავად გარდაქცეული მოვიმკით იგი...“²⁰⁶

202 ივ. ჭავჭავიძელი, დასახ. ნაშრ., I, გვ. 395.

203 იქვე, გვ. 327.

204 იხ. არნ. ჩიქობავა, შედარ. ლექსიკ., გვ. 171—172; მისივე, სახელ-ფუძ. აგებ., გვ. 53, 54, 57, 109, 128; მისივე, О лингвистических чертах картвельских языков.—Уз. АН СССР. ОЛЯ, I, М., 1948.

205 ივ. ჭავჭავიძელი, დასახ. ნაშრ., I, გვ. 328, და 409.

206 ბასილი დიდი, ექუსთა დღეთაჲ; ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო მ. კახაძემ, თბ., 1947, გვ. 55.

აქ არა მხოლოდ „დიკა“; არამედ ამ ხორბლეულის სხვადასხვა სახეობის აღმნიშვნელი ორი, ერთმანეთისგან განსხვავებული, ძვ. ქართული ტერმინიცაა აგრეთვე დასახელებული.

ს. ორბელიანის განმარტებით: „დიკა გაზაფხულ ნათესი ხუარბალი“-ა. „დიკას“ იცნობს გიულდენშტედტიც და კლაპროტიც²⁰⁷.

სპეციალურ ლიტერატურაში „დიკას“ ანუ *Triticum carthlicum*-ის (resp. *Tr. ibericum*, *Tr. persicum*)²⁰⁸ სახელით ცნობილია კავკასიის მთიანეთში, უმთავრესად კი საქართველოს მთიანეთში გავრცელებული საგაზაფხულო ხორბალი, რომელსაც „თავთუნისა და ყვავილის კილები მუდამ ფხიანი აქვს“.

„დიკა“ გვხვდება ქართულ მხატვრულ მწერლობაში. იგი დღესაც ცოცხალი სიტყვაა საქართველოს მრავალ კუთხეში.

მოვიყვანოთ საილუსტრაციო მაგალითები:

„ხორბალი ორგვარია საქართველოში: ძველ-თესლი და ახალ-თესლი, ანუ დიკა. ძველ-თესლს სთესენ შემოდგომაზე, დიკას გაზაფხულზე“ (ი. გოგებაშვილი, ბუნების კარი, 1915, გვ. 20).

„ამ მიწებში ეთესა: პური, ქერი, სიმინდი..., დიკა, ასლი... შვრია, ფეტვი... და სხვ.“ (ნ. ლომოური, მოთხრობები, 1926, გვ. 346).

„... (კარახელს) ხუთ კოდამდე დიკა ჰქონდა დათესილი...“ (ვაკაფშაველა, ტ. VI, 1939, გვ. 407).

დიკას ხმარობენ სასუფთაოდ — აი ქადის გამოსაცხობად, ხინკლისათვის და სხვა (ასპინძა, ს. ჭობარეთი).

პური ჯობია დიკას ძარღვით, კარგათ იზილება, იწიკება; დიკა — ქირშია: არ ეწებება კარგად, იშლება, მარა გამომცხვარი ქე ვარგა: თეთრია და გემრიელი (ზ. იმერ., 69).

დიკა ფხიანი გაზაფხულის პურია... (ლეჩხუმი, 36 ა).

დიკა პური გაზაფხულის თესლი იყო (ქვ. რაჭა).

დიკა გაზაფხულზე ითესება (ქვ. რაჭა, ფუტყით).

ხვამრიელი მოსავალი იცის დიკამ, ისე ჯაბანია (ქვ. რაჭა, სხვა-ვა).

დიკა გაზაფხულის პურია, ფხიანი..., ცხოველი და ნოყიერი (ზემო რაჭა.).

... მამა-პაპიდანვე ჩვენში... სთესდენ დიკას (ფშავი, 126).

207 ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., I, გვ. 328.

208 С. Невский, *Triticum L.* — Пшеница. Флора СССР, II. М., 1934; В. Л. Менабде, Пшеницы Грузии, თბ., 1948, გვ. 47—49; იხ. აგრეთვე, აღმ. კავკასიის ბოტანიკური ლექსიკონი, თბ., 1949, გვ. 13; და ქველ, ტ. III, თბ., 1954.

დ ი კ ა ითესება გაზაფხულობით... (ქართლი, 216).

დ ი კ ა უფრო ნოყიერი პური იყო..., გაზაფხულზე ითესებოდა... (ზ. ქართლი, 542).

დ ი კ ა პური... ითესება გაზაფხულზე (ზემო ქართლო. მოხისი, 556).

დ ი კ ა პური გაზაფხულზე ითესება, ურწყავში მოდის... (ზ. ქართლი, მეჭვრისხევი, 571).

დ ი კ ა სუფთა პურია. არ ურევია მახობელი ... (ქართლი, ატენი)-
... ახალ-თესლი ქერი — დ ი კ ა ქერი, უფრო კარგი გამოდის, ვიდრე შემოდგომისა (შ. კახეთი, 896).

... კაკური ყანა და დ ი კ ა ორივე ერთია, თეთრი დოლივით იყო (ქიზიყი, 769).

„დ ი კ ა... ხორბლის ჭიშია. ზოგის სიტყვით ცალკე ჭიშია, ზოგის სიტყვით თეთრი დოლია, ზოგისა — კაკური ყანაა, ზოგისა — წითელი უფხოა. ახლა აღარ არის“²⁰⁹.

დ ი კ ა იციან აქარაში²¹⁰ და ხევსურეთშიც²¹¹. კახეთში „დიკა“ საგაზაფხულო რბილ ხორბალს ეწოდება; ხორბლის ამავე ჯიშს ხევსურეთში „დიკა-იფქლს“ ეძახიან²¹².

სხვა ქართველურ ენათაგან პურეულის ამ სახელს აცნობს ჭანური (ათინური²¹³, ხოფური, არქაბული)²¹⁴.

ჭანურად „დიკა“ ხორბალს ნიშნავს²¹⁵.

ჭანური „დიკა“, როგორც არნ. ჩიქობავა აღნიშნავს: „მნიშვნელობითაც და აგებულებითაც ქართულ სათანადო სახელს ემთხვევა“²¹⁶.

სევანურში ეს სახელი არ ჩანს, მაგრამ ყურადღებას იქცევს სიტყვა კ უ ლ, რომელიც ერთი ჭიშის საგაზაფხულო რბილი ხორბლის სახელწოდებაა²¹⁷.

209 სტ. მ ე ნ თ ე შ ა შ ე ი ლ ი, ქიზიყური ლექსიკონი, გვ. 63.

210 შ ი ს ი ე ე, აქარის ეთნოგრაფიული მასალები. — ენიშკის მოამბე, 11, გვ. 152—155.

211 ლ. დ ე კ ა პ რ ე ლ ე ვ ი ჩ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 9.

212 ალ. მ ა ყ ა შ ვ ი ლ ი, ბოტანიკური ლექსიკონი, გვ. 43.
2:3 ნ. შ ა რ ი, ჭან. გრამ., გვ. 139.

214 არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, შედარ. ლექსიკ., გვ. 141.

215 ალ. მ ა ყ ა შ ვ ი ლ ი, ბოტანიკური ლექსიკონი, გვ. 77.

216 არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, დასახ. ნაშრ., გვ. 141.

217 ალ. მ ა ყ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 43 და 128; აგრეთვე, И. И. Ни-
ж а р а д з е, Русско-сванский словарь, тб., 1910.

ასე რომ, ქართველურ ენებში დ ი კ ა და კ უ ლ²¹⁸ ხორბლის აღმნიშვნელი ტერმინებია აკერძოდ, ს ა გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ო ხორბლისა.

ძირეული ამ სიტყვებში -კ- ჩანს; სევანურ მონაცემებში ფუძის საწარმოებელი აფიქსი არის -ულ, დ ი კ ა შ ი ბოლოკიდური -ა (-*ალ) დეტერმინანტი სუფიქსის ნარჩენი უნდა იყოს, დი-კი ნივთის კატეგორიის ნიშანია ისეთი, როგორცა გვაქვს ქანურ დი-შქა-ში „ხე“, დი-მკუ-ში „ქიანჭველა“ და სხვ.²¹⁹

სევანური კ უ ლ ზანური წარმოშობის სიტყვა ჩანს²²⁰.

ძირეული -კ- საერთო მონაცემი უნდა იყოს არა მარტო ქართველურ ენათათვის, არამედ რიგ სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებისათვისაც²²¹.

განვიხილოთ ამ ენათა სათანადო მონაცემები.

ჩაჩნურ-ინგუშურში ხორბალს კ ა ეწოდება (გიულდენშტედტი, 3. უსლარი, ზ. მალსაგოვი, დ. იმნაიშვილი).

3. უსლარს თავისი ჩაჩნური გრამატიკის ლექსიკონში მოყვანილი აქვს ამ სიტყვის სხვადასხვა ბრუნვათა შემდეგი ფორმები: კენ, კენა, კიწ, კელ; მრ. რ. სახ. კაშ.

მისივე ჩანაწერით ჰევეს ჩაჩნურად ყირუთი ე კ ა ჰქვია, რაც სიტყვა-სიტყვით „შავ ხორბალს“ ნიშნავს²²².

სომინდს ამავე ენაში (ჩაჩნურში) ჰაჟიკი//ჰაჟიკ ეწოდება²²³, მის მონათესავე ინგუშურში კი, როგორც გიულდენშტედტის ჩანაწერებიდან ჩანს, XVIII საუკუნეში Hadschi-ka (ჰადჯი-კა) ჰრქვოდა. ინგუშური ფორმა დასახელებული სიტყვისა, სხვა ამ რიგის ფაქტებთან ერთად, აშკარას ხდის, რომ ჩაჩნური ჰაჟიკი და ინგუშური Hadschi-ki კომპოზიტებია.

კომპოზიტის მეორე შემადგენელი ნაწილი, ცხადია, არის ხორბლის აღმნიშვნელი ჩაჩნურ-ინგუშური სიტყვა კა.

3. უსლარის ჰაჟიკი-ს (x'ajiki) მხ. რ. სახელობითის გარდა ზოცე-მული აქვს მისი სხვა ბრუნვათა ფორმებიც: ჰაჟიკიჲ, ჰაჟიკიჲა, ჰაჟი-კუშ, ჰაჟიკიე, ჰაჟიკილ; მრ. რ. სახ. ჰაჟიკიშ.

²¹⁸ კ უ ლ ა. დავითიანის ცნობით გაზაფხულის ხორბალია, ის შეიძლება იყოს უფხო (გურ-კულ) და ფხიანიც (ლფხუ-კულ); შლრ. აღ. მაყაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 43, 127, 128.

²¹⁹ არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ე ა, სახელ. ფუძ. აგებ., გვ. 170, 173.

²²⁰ მ ი ს ი ე ვ, Картвельские языки, их исторический состав и древний лингвистический облик. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება II, გვ. 261, 262—272.

²²¹ დი-კა-ს (და კ-ულ სიტყვის) ასე დაშლას და მასში -კ ძირის გამოყოფას მხარს უჭერს ქართველური ენების მრავალი სათანადო ფაქტი.

²²² 3. უ ს ლ ა რ ი, ჩაჩნური ენა, თბ., 1888, გვ. 222.

²²³ იქვე.

ანდიურად სიმინდს ჰეჰინკა²²⁴ ეწოდება (ა. დირის მიხედვით ჰეჰინკა)²²⁵, ლოდობერიულად ჰაეჰინკა (ҺЕЖИНКА)²²⁶ თითქოს უდავოა, რომ აქაც სქმე გვაქვს კომპოზიტებთან, სადაც მეორე კომპონენტი ისევე ხორბლის აღმნიშვნელი -კ-ძირიანი სიტყვა უნდა იყოს.

არ არის გამორიცხული, რომ ანდიურ-ლოდობერული ჰეჰინკა (ჰეჰინკა), ჰეჰინკა იგივე სიტყვაა, რაც ჩაჩურ-ინგუშური ჰაჰეი-ი // ჰაჰეი // ჰაჰეი-კა.

ხორბალს დარგულად ანკი (ნათ. ანკე, მრ. რ. სახ. ანკურბი ან ანკრუბი)²²⁷ ჰქვია.

ანკი ეწოდება მას დღესაც ამავე ენის ჰურახულ²²⁸ დიალექტში.

დარგულის მეორე კილოში—წუდახარულში გვაქვს ანკი, რომელიც ანკი-დან უნდა იყოს მიღებული ი-ს წინ კ-ს გააფრთხილების გზით.

გიულდენშტედტის ჩანაწერების მიხედვით ახუშურში, რომელიც დარგულის ერთ-ერთი კლოა აგრეთვე, ხორბალს ჰრქმევია ანკე (anke)²²⁹.

კუბაჩურში ხორბალს აჰე ეწოდება²³⁰. კუბაჩური აჰე-ც -კ-ძირიანი ფორმიდან უნდა მომდინარეობდეს.

3. უსლარით დარგულში სიმინდს ჰქვია ჰაჰულანკი ან ჰაჰულანკი, რაც მისივე განმარტებით ნიშნავს „არაბულ ხორბალს“, ჰაჰულანკი გვაქვს ჰურახულში და ჰაჰულანკი // ჰაჰანკი წუდახარულში (შ. გაფრინდაშვილი), ხოლო კუბაჩურში სიმინდს ჰაჰულანკე ჰქვია (ალ. მაჰომეტოვი).

გიულდენშტედტით ახუშურად სიმინდს ჰრქმევია Hadschganke (ჰაჯგანკე?)²³¹.

როგორც ვხედავთ, სიმინდის დარგულის სახელების (resp. კომპოზიტების): ჰელ-ანკი (←ჰელა ანკი), Hadschganke, ჰაჰულანკი (←ჰაჰელა ანკი), ჰაჰელანკე (←ჰაჰელა აჰე), მეორე ნაწილს შეადგენს ამ ენის დიალექტებში არსებული ხორბლის სახელები: ანკი, ანკე, ანკი, აჰე.

ხორბალს ლაკურად ლაჰა²³² ჰქვია, გიულდენშტედტის ჩანაწერით Letscha (ლეჰა)²³³.

²²⁴ ცნობა ანდიურის შესახებ მომაროლა ილ. ცერცვაძემ.

²²⁵ А. Дирр, Материалы для изучения языков и наречий Андо-диндской группы, тб., 1909, с. 98.

²²⁶ იქვე, გვ. 98.

²²⁷ П. Услар, Этнография Кавказа. Языкознание, V, Хиркилинский язык.

²²⁸ ცნობა ჰურახულისა და წუდახარულის შესახებ მომაროლა შ. გაფრინდაშვილმა.

²²⁹ გიულდენშტედტი, დასახ. ნაშრ., II, გვ. 523.

²³⁰ ცნობა კუბაჩურის შესახებ მომაროლა ალ. მაჰომეტოვმა.

²³¹ გიულდენშტედტი, დასახ. ნაშრ., II, გვ. 523.

²³² პ. უსლარი, ლაკური ენა, თბ., 1890, გვ. 414.

²³³ გიულდენშტედტი, დასახ. ნაშრ., II, გვ. 523.

პ. უსლარის ჩვენებით ნათ. გვექნება ლაქალ: მრ. რ. სახ. ლაკრი, ნათ. ლაკრალ.

ცხადია, ლაქა—ლაკა, კ—ჭ და პირიქით ლაკურისათვის დამახასიათებელია²³⁴.

ლა-ქ-ა-ში ლა- გაქვევებული (IV) კლასის ნიშანია, რომელიც რადან მომდინარეობს²³⁵. ასე რომ, ლაქა—*რაკა.

ლაკურში სიმინდის სახელგზიდან ყურადღებას იქცევს — ჰაუჟია და შაჰნალ ლაქა²³⁶; პირველი ამათგანი იგივე სიტყვა უნდა იყოს, რაც ანდიურ-ლოდობერული ჰეჟჟინკა... // ჰეჟჟინკა, და ჩაჩნურ-ინგუშურ ჰაჟჟიკი // ჰაჟჟიკ // ჰაჟჟიკა-ს უნდა უკავშირდებოდეს²³⁷; მეორე — შაჰნალ ლაქა — ორი სიტყვისაგან შედგება: შაჰნალ „შაჰის“ და ლაქა „ხორბალი“. ლაქა, როგორც ზემოთ დავინახეთ, ლაკური სიტყვაა და ხორბალს ნიშნავს; ამგვარად, აქაც, როგორც რიგ მთის იბერიულ-კავკასიურ ენაში, სიმინდის სახელწოდება ორ შემადგენლიანია, გაკომპოზიტების გზაზე დამდგარი ორი სიტყვისაგან შედგება. რომელთაგან მეორე ხორბალს აღნიშნავს.

წახურში ფეტვს დიკჰ²³⁸ ეწოდება (ნათ. დიკჰინ, მიც. დიკჰინ). დი- ამ სიტყვაში პრეფიქსი (resp. IV კლასის ნიშანი) უნდა იყოს.

გამოსაკვლევეია — დიკჰ წახურში ქართულიდან შესული სიტყვა ხომ არ არის.

მთის კავკასიურ ენათა ყველა ამ მონაცემის ერთმანეთთან შედარება და შემდეგ მათი ქართველური ენების ფაქტებთან შეპირისპირება აშკარას ხდის, ერთი მხრივ, იმას, რომ რიგ იბერიულ-კავკასიურ ენაში ხორბლეულის (resp. მარცვლეულის) აღმნიშვნელი ზოგიერთი სიტყვის ძირი კ—//კჰ არის და, მეორე მხრივ, კი იმას, რომ დი- (ქართ., წახ.), ან-—*ნა- (დარგ.), ლა-—რა- (ლაკ.) ამ სიტყვებში პრეფიქსებია, ხოლო -ა—*ალ (ქართ.), -ულ (სვან.), ი- (ჩაჩნ.-ინგუშ.), -ე (დარგ.) კი სუფიქსები.

234 პ. უსლარი, ლაკური ენა, გვ. 7. შდრ. აგრეთვე შ. გაფრინდაშვილი, ბგერათმეცნიერებისათვის დარგულსა და ლაკურში. — ივე, ტ. VI, გვ. 304.

235 ვ. თოფური, გრამატიკული კლასები და მათი ექსპონენტები ლაკურ ენაში. — ენიმის მოამბე, XII, გვ. 177—181.

236 ცნობა მომწოდეს ლაკებმა — ყუშუხის მკვიდრმა შაბან აკიევემა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა: ალი აკიევემა და ისა აბდულაევემა.

237 ამავე წარმოშობისა ჩანს არჩიბული ჰაჟჟალა-ც „სიმინდი“.

238 ა. დირი, წახური ენა, თბ., 1913, გვ. 155.

უსუფიქსოდ გვაქვს წარმოდგენილი წახური დიკა (←დიკ).

ამრიგად, დი-კ-ა-ში -კ- ძირია, რომელიც რიგი იბერიულ-კავკასიური ენის სათანდო მონაცემში წარმოდგენილია კ→//კჟ-ს სახით, დიკლასის ნიშანია, -ა კი დეტერმინანტი სუფიქსის ნარჩენი.

არ შეიძლება აქვე არ აღინიშნოს, რომ თეთრმარცვალა დიკის სახელად ს. ორბელიანს ნახმარი აქვს სიტყვა „ებრენიკი“; ის წერა: „ებრენიკი თეთრმარცვალა დიკა (ხორბალი BC)“. ხოლო მისივე მეორე ნაშრომში ერთგან ვკითხულობთ: „ვინ ნახა ქერიმა დათესოს და ებრენიკი მოიმკოს“ (სიბრძნე სიცრუისა, გვ. 22).

კურთულ მცენარეთა ნაწილები სახელები

1. ჭეჭილი. ძვ. ქართულში „ჭეჭლიცა“ და „ჭეჭილიც“ გვხვდება. თანამედროვე ქართულში „ჭეჭილი“¹ გვაქვს. აქარაში² დადასტურებულია „ჭეჭლიც“.

„და დაიბანაკებდენ მათ ზედა, და განრყუნიან ჭეჭლი ქუშყანი-სა...“ (დაბად., მსაჯ., 6,4).

... ძირი სიწმინდისა მარადის გულსა მისსა დანერგულ იყო აღმომცენარე ჭეჭლსა ღმრთისმსახურებისასა...“ (ცხორება გრიგოლ ხანძთელისაჲ, გვ. გ.).

„რაჟამს უკუე აღმოსცენდა ჭეჭილი და ნაყოფი გამოიღო, მაშინლა გამოჩნდა ლუარძლი იგი“ (მათე, 13,26 (c) იხ. DE).

„ხოლო მან მიიხუნის, და უფროას განამტკიცნის ჭეჭილი იგი მისინი სიღრმესა შინა...“ (ექუსთა დღეთაჲ, 52,33).

აქარულში ახალ ნათესს ჭეჭილი ჰქვია, ხოლო ოცი დღის მოსულს აჭეჭლებული³.

შემდეგში ამუა ჭეჭილი (ქართლი, დიდი ატენი).

ნაოშს..., მარიაშობის თვეში და ენკენისთვეში ჰხნამდენ, ღვინობისთვის პირველიდან დაიწყებდენ ფარცხვასა, და მანამ თოვლი მოვიდოდა, მანამ ჭეჭილი გადამჭდარი იყო (შ. კახ., 873,2).

ჭეჭილი მანამ, სანამდის თავს ამოიღებდეს, შერე, თავს (რომ) იყრის — თავნაყარი პური (ქვ. იმერ.).

პურეულის ჭეჭილი რომ სათავთავედ მოვა, გაიბერება, ორსულად არისო, იტყვიან... (ქიზ., 775).

ყვავილის შემდეგ (ჭეჭილი მა) უნდა აიღოს ნაწილი. თუ ყვავილში წვიმა არ მოუვიდა, ამშვიდება (ქიზ., 775).

ჭეჭილი (//ჭეჭლი) „ახალმოსულ“³ ყანას ჰქვია, „ახლადალ-

1 ივ. ჯაფახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 277.

2 სტ. მენთეშაშვილი, დასახ. ნაშრ., 11, გვ. 153, 277.

3 ს. ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, S. V. ჭეჭილი.

მოცენებულ მცენარეულობას „ჯ ე ჯ ი“ ეწოდებოდა... რასაც ეხლა ჯ ე ჯ ი ლ ს ვეძახი“-თო — განმარტავს ივ. ჯავახიშვილი⁴.

ცალკე უნდა აღინიშნოს, რომ აჭარაში, სადაც დაცულია ძვ. ქართული „ჯეჯლი“, ისმის „ჯეჯილიც“. მაგრამ აქ ჯეჯილი არ ნიშნავს ახლადმოცენებულ ყანას (ამ მნიშვნელობით ჯეჯლი იხმარება), არამედ შემოდგომის ხორბლეულის ერთი ჯიშის სახელია.

ამ მნიშვნელობის მქონე სიტყვა სხვა ქართველურ ენებში, სამწუხაროდ, ჯერჯერობით არ არის მიკვლეული. ამიტომ, ერთი შეხედვით, ქართულში „ჯ ე ჯ ი ლ ი“ განმარტოებით მდგომი (უთვისტომო) სიტყვის შთაბეჭდილებას ტოვებს. მაგრამ ეს თითქოს ასე არ უნდა იყოს.

ჯე-ჯი-ილი ფონეტიკურად საკმაოდ სახეცვლილი სიტყვა ჩანს; -ილ დეტერმინანტი სუფიქსია; ჯე-, საფიქრებელია, დე-საგან მოდიოდეს და წარმოშობით ნივთის კატეგორიის ნიშანი იყოს.

ამგვარად, *დე-ჯი-ილ-ჯე-ჯი-ილ⁵. თვით, *დე-ჯი-ილ-იც, ივარაუდება, ფონეტიკური ცვლილებების შედეგად მიღებული სიტყვაა, კერძოდ, მეორეული უნდა იყოს ძირეული ჯ.

თუ ეს ვარაუდი მცდარი არ არის, მაშინ ჯეჯილი-ს სახით ჩვენ გვექნება ერთი იმ სიტყვათაგანი⁶, რომელსაც მართალია მეტად სახეცვლილად, მაგრამ მაინც დაუტავს როგორც დეტერმინანტი სუფიქსი (resp. -ილ-), ისე ხივთის კატეგორიის ნიშანი (resp. დე-).

2. წუელი. ს. ორბელიანის განმარტებით წუელი არის „...ყანის ძირი ვიდრე კუვილამდე...“

სახელოვანი ლექსიკოგრაფის ამ განმარტებას კარგად ადასტურებს შემდეგი საილუსტრაციო მაგალითები ძვ. ქართულიდან:

„...თვსით თავით ქუეყანამ ნაყოფსა გმოიღებნ: პირველად წუელი, მერე თავი და მაშინ-ლა სავსე იფქლი თავსა მას შინა (მ., 4, 28 DE)⁷.

...და გინათუ თესლთაგან, ეგრეთცა საქირო არს, რაფთა პირველად აღმოაცენოს და მერე მწუანვილ იქმნეს, და მერმე თივა, და მერმე

⁴ ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., I, გვ. 277.

⁵ არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება..., გვ. 171, 173, 174; მისივე, შედარ. ლექსიკ., გვ. 114.

⁶ არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება..., გვ. 171, 173, 174; მისივე, შედარ. ლექსიკ., გვ. 72, 105, 129, 158.

⁷ ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით (897, 936 და 973 წწ.), გამოსცა ა. შანიძემ, თბილისი, 1954 წ.

თესლ, რაყამს განსხვს წ უ ე ლ ა მ იგი მისი და განჯმის“ (ექუსთა დღე-
თაჲ)⁸.

„...ვითარ-იგი მუკლებითა მოირტყმის წ უ ე ლ ა მ იფქლისაჲ, რა-
მთა... ადვილათ იტვირთოს სიმძიმე თავისაჲ“... (იქვე).

ბერძნულში სათანადო ადგილებზე გვაქვს *σάχμας* (მ. 4,28) და *χα-
λάμη* (ექუსთა დღეთაჲ, 52, 28, 53, 11), ლათ. *calmus* (იქვე) და *herba*
(მ., 4,28). ამათგან პირველი სამი ჩალის ღერს ნიშნავს უკანასკნელი
კი ბალახს, მწვანეს (Зеленх).

წუელიდან ნაწარმოები სიტყვა ნაწუელარი ს ა ბ ა ს ასე განუმარ-
ტავს: „ყანის ჩალა (+ მონამკალი A)“.

სიტყვა წუელი ახალ ქართულში არ შენახულა; ის არ გვაქვს არც
სალიტერატურო ქართულში და არც დიალექტებში. მაგრამ საქართვე-
ლოს სხვადასხვა კუთხეში დღესაც ისმის ნ ა წ უ ე რ ა ლ ი, რაც ნ ა-
წ უ ე ლ ა რ ი ს ფონეტიკურად სახეცვლილი ფორმაა: ნაწვერალი—ნა-
წუელარი.

მოვიყვანოთ საილუსტრაციო მაგალითები:

ნ ა წ უ ე რ ა ლ ი მოთიბული ყანის დარჩენილი ძირია (ქართლი).

... ნ ა წ ვ ე რ ა ლ ი ს (ე. ი. პურის მონათიბის ნარჩენის...) აოშვა
(ზ. ქართლი, 590).

„ნიადაგი მდიდარია და, რასაც დასთეს, გიჟდება. ამ გვარად
გაზრდილს ჭირნახულს მალლა უნდა მკა, რომ ნ ა წ ვ ე რ ლ ა დ ერთი
ჩარეჟი ღერი კი არ დარჩეს, არამედ არშინი..., რომ გალეწვა არ გა-
ძნელდეს ნამჯისა“ (ივ., 1886, № 108—2).

ნ ა წ ვ ე რ ა ლ ი ნაყანარი მიწა (მანგლისი).

ნ ა წ ვ ე რ ა ლ ი მომკის შემდეგ დარჩენილი „პურის ჩალა არის“
(ასპინძის რაიონი, ს. ჭობარეთი).

ნ ა წ ვ ე რ ა ლ ი არის დიდხნის დარჩენილი, 3—4 წლამდე დაუ-
მუშავებელი ყანა (ჯავახეთი).

ნ ა წ ვ ე რ ა ლ ი პურის მომკის შემდეგ დარჩენილი ყანის ნაშთია
(სახხერე, ბ. ი. წერეთელი).

როგორც ამ მაგალითებიდან ირკვევა, დიალექტური „ნაწუერალი“.

მეტ-ნაკლები სემანტიკური გადახრით იმასვე ნიშნავს ძირითადად,
რასაც საბას ნაწუელარი.

ამგვარად, წუელი // წუელაჲ ძვ. სამწერლობო ქართულში პურეუ-
ლის ღეროს ნიშნავდა¹⁰. თანამედროვე ქართულში ის არ გვხვდება.

⁸ ბ ა ს ი ლ ი დ ი დ ი, ექუსთა დღეთაჲ, გვ. 52, 28.

⁹ ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ., ნაშრ., 1, გვ. 278.

¹⁰ ვ. თ. ფ უ რ ი ა, რედუქციისათვის ქართველურ ენებში. — ივე, II, თბ.,
1947, გვ. 78.

ნაწუელარი—//ნაწუერალი კი გვაქვს როგორც ძველ ქართულში, ისე თანამედროვე ქართულის დიალექტებში და მომკის შემდეგ დარჩენილ „ყანის ჩალა“-ს, ყანას აღნიშნავს.

როგორც მეგრულში, ისე ქანურში პურეულის ღეროს აღსანიშნავად იხმარება „წუ“¹¹.

ქვავის „წ უ ს“ (=ღეროს) სალორეში ღორს ვუგებდით, სალორე-საც ვხურავდით. ქვავის „წუსაგან“ კილოფსაც ვქსოვდით ნაბდის გასათელად (ზ. სამეგრ., 130).

(ქობალის) ნაქერქას (ბზეს) „წ უ ს“ უწოდებენ (ზ. სამეგრ.).

ამასვე ნიშნავს „წუ“//„წვი“, მრ. რ. წუარ//წუ-ვ-არ¹², სვანურში: ...გალეწვა იციან პურის, ქერის და, ძალიან ძვირად, „მანაში“-ს, ქვავის, რადგან ქვავის კოროლს, „წუვარ“-ს, ხმარობენ საბძლის და „კარაპნის“ დასახურავად (სვ., 239).

„საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ მეორე ტომში ივ. ჯავახიშვილი წერს „... წუ“... რომ „წუელი“-ს ბოლომოკვეცილი ფორმაა ეს სრული უეჭველობით საბძლის აღმნიშვნელი ქანური სიტყვის „ოწუალე“-თი მტკიცდება, რომელიც სა-წუელ-ეს (ო-წუალ-ე) უდრის და პნიშნავს. აქ, მამასადაამე, ეს ტერმინი სრულად არის დაცული „წუალი“-ს სახით, ცალკე სიტყვად ხმარების დროს-კი მას ბოლოკიდური „ალი“ ჩამოსცლია და მხოლოდღა „წუ“ დარჩენილა“¹³.

ივ. ჯავახიშვილის მიერ მიკვლეული ზანური (resp. ქანური) წუ-ს სრული სახის წუ-ალ-ის, ქართულ წუ-ელ- და სვანურ წუ-ვ-არ-თან შედარება იძლევა საშუალებას, ერთის მხრივ, გამოიყოს ძირი „წუ“¹⁴. რომელიც საერთო ელემენტია ქართველურ ენათათვის, და, მეორე მხრივ, ბოლოსართები—ელ (ქართ.), -ალ (ქანური) და -ვ (სვანური)¹⁵.

წუელის მნიშვნელობით ძვ. ქართულში ღერი-ც უხმარიათ. მაგალითად, გ. მთაწმინდელის მიერ ბერძნულიდან XI ს. თარგმნილ ბასილი დიდის „ექუსთა დღეთაჲში“ ვკითხულობთ:

¹¹ И. А. Кипшидзе. Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем.—МЯЯ. VII, СПб, 1914, с. 382; 5. შარი, ვან. გრ., 212.

¹² ალი დავითიანის ჩვენებით წუ-არ ბალს ქვემოური ფორმაა, ხოლო წუ-ვ-არ ბალს ზემოური.

¹³ იხ. დასახ. ნაშრ., II, გვ. 79.

¹⁴ „...წუელი პურეულის ღერო (წ...ქ-ენამ ნაყოფისა გამოიღებენ: პირველად წ უ ე-ლი, მერზე თავი და მამინლა საესმ იფქლი თავსა მას შინა“, ტ. ბ., მკზ., IV, 28) ნაწარმოებია -ელ ბოლოსართით; ძირია წუ. იგი დაცულია მეგრულში (ი. ყიფშიძე, მეგრ. რუს. ლექსიკ.); ვ. თოფური, რედუქცია ქართველურ ენებში.—იკე, I, გვ. 78—79; იხ. აგრეთვე, გ. როგავა, წემალ-სიტყვის ეტიმოლოგიისათვის (საქ. მსრ მეცნ. აკად. შოაბე. ტ. VI, № 3, 1945, გვ. 231—233).

¹⁵ არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება... გვ. 85.

„...განტყვები ჩვეილი იგი და ძირთა მიერ მოიტაცებნ ნოტიოსა და მიზიდვითა მკურვალეებისადათა მოიღოს სიპოხე ქუეყნისაჲ, რაოდენიცა უკმნ, და განუყვის იგი ღერსა მას და ქერქსა, და იფქლსა, და ფხასა, და ბუღესა იფქლისასა...“¹⁶.

ბერძნულ და ლათინურ ტექსტებში შესაბამის ადგილზე წერია *καλάμη* და *calmus*. სხვა ადგილებში (52, 28, 53, 11) ბერძნული *καλάμη*, ოგ. მთაწმინდელს უთარგმნია როგორც წუელა. ცხადია, ღერი¹⁷. აქ ოგ. მთაწმინდელის მიერ ნათარგმნ ძეგლში, წუელის სინონი ია. დაახლოებით ამავე მნიშვნელობით იხმარება ღერი თანამედროვე ქართულის დიალექტებშიც, სადაც გაიგონებთ: „პური ღერი“ (ქვ. რაქა), „პური ღერუები“ (იქვე) „ჩალი ღერი“ (ქვ. იმერ.), „ჩალი ღერეები“ (იქვე) და სხვ. ამასვე ნიშნავს დღეს ღერო.

დაბადების თარგმანში „წუელის“ მნიშვნელობით გვხვდება „ღერწამი“-ც, რის შესახებაც ივ. ჯავახიშვილი შემდეგ განმარტებას იძლევა: „იობის 24, 24-ში ნათქვამია: მეტისმეტი გვაღვისაგან „პუვილი ღერწამისაგან მყის განვარდა“-ო, თავთავი მოცვივდაო. ბერძნულად აქ ნახმარია *καλάμη*, ლათ. *summitates*... საფიქრებელი იყო, რომ აქ მთარგმნელს ღერწამი იმიტომ აქვს ნახმარი, რომ ბერძნულად სწორედ ღერწამის აღმნიშვნელი სიტყვა „ჰე კალამე“-ა¹⁸.

3. მუხლი. პურეულის მცენარეების ღერს ისე, როგორც მრავალი სხვა მცენარის ღეროს, აქვს კორძები; რომელთაც ძველ ქართულში და თანამედროვე ქართულშიც „მუხლები“ ეწოდება. 1 მეფეთა 17, 51-ის დამოწმებით ს. ორბელიანი ამ ტერმინის ასეთ განმარტებას იძლევა: „...მუკლს უწოდებენ ღერწამის როკს და მისთანათა“. მაგრამ მეფეთა წიგნში დასახელებულ ადგილზე მუხლი არ არის.

„მუკლი“, როგორც პურეული მცენარის ღეროს ერთი ნაწილის აღმნიშვნელი, გვხვდება ოგ. მთაწმინდელის მიერ თარგმნილ ბასილი დიდის „ექუსთა დღეთა“-ში, სადაც ვკითხულობთ: „...მუხლებითა მოირტყმის წუელა იფქლისაჲ, რაჲთა... ადვილად იტვირთოს სიმძიმე თავისაჲ, რაქამს-იგი სავსე არნ ნაყოფითა და დადრეკილ ქუეყნად. ვინაჲცა სუღაჲ კინ-ლა და უმუკლო არს, ვინაჲთგან არა აქვს სიმძიმე თავსა მისსა. ხოლო იფქლი კორძებითა მით და მუკლებითა მოჰკრძალა ბუნებამან“¹⁹.

¹⁶ ბასილი დიდი, ექუსთა დღეთა, გვ. 53, 5.

¹⁷ ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., I, გვ. 277.

¹⁸ იქვე, გვ. 278.

¹⁹ იხ. დასახ. ნაშრ., გვ. 53.

დიალექტებში გაიგონებთ: „მ უ ხ ლ შ ი ა პური“... (ქართლი).

(პურის) „მ უ ხ ლ შ ი ყოფნა არის ყვაველის ამოღების დრო (ქართლი).

ჭეჭილი როდესაც მ უ ხ ლ შ ი შეიმართება, მ უ ხ ლ შ ი ა, და ამოღ-
ტანს (sic) თავთავსა. შემდეგში ყვაველი მოაყვება (ქართლი).

ფარჩხას (ფეტვს) თავზე ერთი თავთავი აქვს, მაგრამ მ უ ხ ლ ე ბ-
შ ი ა ც თავთავებიან ტოტებს გაუშვებს ხოლმე (შ. კახ., 899).

4. ჩალა. ს. ორბელიანის განმარტებით ჩალა „ყანის ნაწუელარ“-ს
ეწოდება²⁰. ე. ი. იმას... „რაც პურეულ-ქრთილეულის წუელი, ანუ ღერო
იყო და მოჭრილი თავთავმოცილებულია“, — შენიშნავს ივ. ჭავჭავაძე-
შვილი²¹.

გ. მთაწმინდელის მიერ ნათარგმნ „ექუსთა დღეთა“-ში ერთგან
ჩალა და წუელი ერთი და იგივე მნიშვნელობითაა ნახმარი:

(მერცხალმან) „...რაყამს შემსჭუალნის ბუდენი თვისნი, ჩ ა ლ ა ს ა
მოიღებნ პირითა, ხოლო თიჯასა, ვინამთგან ფერჯითა ვერ ძალუც აღ-
ებად, დაასოლვნის ფრთენი თესნი წყლითა და მერმე ანგორვის მტუერ-
სა, და ესრეთ ღონე იძიის თიჯისა მის საგმარად, რამთა დაამყაროს
ბუდე თვისი და ესრეთ შეჭკრის წ უ ე ლ ი იგი თიჯითა, ვითარცა წე-
ბოძთა...“²².

„ჩალა“ თანამედროვე ქართულის ყველა დიალექტში გვხვდება. ის
აღნიშნავს როგორც პურეულ-ქრთილეულისა და ფეტვნაირთა გამხმარ
ღეროს, ისე სიმინდის ხმელ ღერსაც²³.

მოვიყვანოთ მაგალითები:

იფქლის, ქერის, ქერშველისა და სხვათა ჩ ა ლ ა ს და აგრეთვე ყარ-
ტს საქონელს აკმევენ; მაკატას ზოგი აკმევს, ზოგი არა (თუშ., 566).

ჩ ა ლ დ ს გადახდის შემდეგ, ხარებს გადააყენებენ, საბოლოოდ
გასწმენდნენ ჩ ა ლ ი ს ა გ ა ნ კ ა ლ ო ს ... (ფშავი, 135).

ჩ ა ლ ი ს დაწყობა სახლზე პირით ქოშ (საინგ., 14).

ჩ ა ლ ი ს კონების დაყრა-გასწორევა (გასწორება) (საინგ., 15).

ხეებზე ჩამოუცილებდით ჩ ა ლ ე ბ ს (ქვ. რაჭა, ფუტიეთი).

არც ქერს აქვს ბზე. მისი ჩ ა ლ ა ც ისეთია, როგორც ქადის ჩ ა-
ლ ა (ფუტიეთი).

20 იხ. ს.-ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ქართული ლექსიკონი, S. V. ლელწამი.

21 ივ. ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., II, გვ. 90.

22 ბ ა ს ი ლ ი დ ი დ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 97.

23 ივ. ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., II, გვ. 90.

ქადის ჩაღას აკმევენ ცხენებსა და ხარებსაც — თივას ისა სჯობია, უფრო მარგებელია (ფუტიეთი).

... პურის ჩაღა ცალკე იქნება, ხორბალი ცალკე (ფუტიეთი).

თურმე იმას რამდენი ჩაღღერეია, სუ ცოდნია (ქვ. იმერ.).

სიმინდის და ღომის ჩაღას სჭრიდენ და კონებად ჰკრავდენ... (გურ., 89).

ჩაღა პირველში ენას ამეღეფს, მეე კოტაჲ²⁴ გახთება ენა, „კოტაჲ ამეღლო“ ვიტყვით (აქარა, 143).

თუშეთში, ფშავში და სხვაგან თავთავგაცილი სვილის ჩაღას ყარტი ეწოდება, ხოლო ლეჩხუმში და რაჭაში ზანდურისა და მახის უთავთავო ღეროებს ფესვებითურთ კოროლი ჰქვია.

(სვილის) გაბერტყვის შემდეგ დარჩება „ხვაი“ (ე. ი. მარცვლის გროვა) და „მაკატა“, ან „ნათავთა“, ე. ი. ნათავთობი²⁵ ერთად და „ყარტი“, ანუ თავთავგაცილი ჩაღა ცალკე... (თუმ., 564).

ყარტი ფშავურში ჰვავის ნაბჯაა-ო (sic), რაზიკაშვილზე მითითებით განმარტავს ი. ჰყონია²⁶.

სახლს გვერდით საბძელი უდგას ყარტი დაფარული (ვაჟა, V, 19,7).

საბძელზე ყარტი დამპალა და დაბლა გაფენილა (ვაჟა, V, 19,8). ამასვე ნიშნავს ის ხევსურულშიც:

ყარტი სვილის გაბერტყილი ძნაა (ხევს.).

„მარცვლისაგან დაცილი სვილის ძნას ყარტი ეწოდება“²⁷.

ზანდურის და მახის ღერები ძირებიანად კოროლია (ლეჩხ.).

კოროლი პურის უთავთავო ნამჯაა; ხმარობენ ბოსლის დასახურავად (ლეჩხ.).

კოროლი გრძელი ნამჯაა (რაჭა)²⁸.

ვ. ბერიძეს კოროლი ასე განუმარტავს: „კოროლი (რჭ. ვლ. ფ.)

²⁴ კოტაჲ — „ტარო“.

²⁵ თუშურში „მაკატა ძნიდან მოტეხილი თავთავია...“ (თუმ., 564). გურულში (და ქანურში) სიმინდის თავის აღსანიშნავად იხმარება კატარი. ამ ორ სიტყვას ერთნაირი აქვს „შუა“ ნაწილი -კატ-. კითხვა ისმის, ხომ არ არის ეს -კატ- ფუძისეული, მა- და ა- (მა-კატ-ა-ს) კი აფიქსები (იხ. არნ. ჩიქობავა, შდრ. ლექსიკ., გვ. 143).

²⁶ ილ. ჰყონია, „სიტყვის კონა“.—МЯЯ, №1. სპბ, 1910, S. V. ყარტი.

²⁷ აღ. კინქარაული, ხევსურულის თავისებურებანი, გვ. 207.

²⁸ ცნობა მომარტავს ალა. მაცაშვილმა.

ზანდურის (პურია, ძველად თესავდენ რაჭაში) ღეროები(ა), სახურავად იხმარება, 30—40 წ. ძლებს, ყარტი²⁹.

თუ ჩაღა ახალია (მწვანეა), მას ნელდ ან ახალ ჩაღას ეძახიან. ახალი ჩაღა (ქართ., 34).

ნელდი ჩაღა (ქართ., 38).

ე ჩაღა ჭერე ნელდია, არ დეიზვინება (ქვ. იმერ.).

ჩაღა³⁰ გვაქვს კანურში და უნდა გვეკონდეს მეგრულშიაც. მას³¹ „ჩაღ“-ის სახით ვხვდებით სვანურშიც, სადაც ის, როგორც ნ. მარი აღნიშნავს, სიმინდის ღეროსაც („стержень кукурузы“) ნიშნავს და ჩაღის („кукурузная соломка“) მნიშვნელობითაც იხმარება³².

თ. გონიაშვილს³³ შესაძლებლად მიაჩნია ქართული ჩაღისა და ჩაჩურ-ინგუშური პურის ჩაღის და, საერთოდ, ჩაღის აღმნიშვნელი სიტყვის ჩა-ს დაკავშირება და ძირეული ჩ-სა (ქართ., ჩაჩ.-ინგ.) და დეტერმინანტი სუფიქსის -ლ-ს (ქართ.) გამოყოფა.

5. ნამჯა. ნამჯა (//ნამჯი — დ. ჩ.) და მისი ფონეტიკური ვარიანტები: ნაბჯი // ნამჯი (ქვ. რაჭა), ნამჯა (ინგილოური) საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში გვხვდება. მას რამდენიმე მნიშვნელობა აქვს:

1. ნამჯა ნიშნავს იმას, რაც ყანის მომკის შემდეგ დარჩება, ე. ი. ყანის ნაშთს, ნაწვერალს, მომკილ ყანაში დარჩენილ ჩაღას (ივ. ჯავახ., საქ. ევ. ისტ. II, 89; ავ. შანიძე, ვაჟას ლექსიკ., I ტ.; აღ. მაყაშვი., „...მემც.“; სტ. მენთ., „ქიზ. ლექსიკ.“ და სხვა), ან იმას, რაც მოიშვეს, ე. ი. პურის ღერებს — უთავთაოს ან თავთავიანს (დ. ჩუბინ., სტ. მენთ. „ქიზ. ლექსიკ.“, ახალციხის რ.).

მოვიყვანოთ საილუსტრაციო მაგალითები:

როგორც მოვჭრით ყანას, ისე უნდა დაიხნას ნამჯობზე (ზ. ქართ., 575).

„ლორი ნამჯაში დაუდიოდა, ჩარჩენილი თავთავით თუ ჩაბნეული მარცვლით ჰკვებავდა (ვ. ბარნ., მოთხრ., 129).

„როს მოიშვება, მაშინ-კი აეცრემლებათ თვალია, აიყრებიან იქედან, დაეფუშებათ გალია... ნამჯაში მღერის მარტოკა თავ-მოსაკვდავი კალია“ (ვაჟა, I ტ. „ყანა“).

„საპირეს“ ხარს აუღებენ ტუჩებზე (პირზე) ლეწვის დროს, რომ პურის ნამჯა არ შეჭამოს (ზ. რაჭა, 38).

²⁹ ე. ბერიძე, სიტყვის კონა, S. V. კოროლი.

³⁰ ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., II, გვ. 90—91.

³¹ ან. ჩიქობავა, შედარ. ლექსიკ., გვ. 145.

³² იხ. ნ. მარი, Яфетические названия деревьев и растений, с. 831.

³³ იხ. თ. გონიაშვილი, ლექსიკ. შეხვედრები ჩაჩურისა ქართველურ ენებთან. — ენიშვიანის შრომები, V—VI, გვ. 588.

ნ ა მ ჯ ი პურის ჩალაა (ზ. რაჭა, 7 ა).

ნ ა მ ჯ ა ს რომ დაასვენებენ, გაზაფხულზე იმას ჰქვია ნაჩხატი (გ. კახ., 282).

ნ ა მ ჯ ა არის მოჭრილი, დაუტეხელი პურის ჩალის ღერო (ახალციხის რაიონის, ს. ჭობრეთი).

... შინ ნაქნარ ნ ა მ ჟ ა ელეწვის... (საინგ., 36).

... ნ ა მ ჟ ი ს მიმოყრა ფიწლით კალოში (საინგ., 37).

დაფიხვის შემდეგ (ქოხს) ნაწას დაჰხურავენ (სტ. მენ., „ქიზ. ლექსიკ.“, 55).

„მოვიდა ნ ა ბ ჯ ი, მოვიდა“, — დაიძახეს როდესაც დაინახეს მომკილი პურით დატვირთული ურმები (ქვ. რაჭა).

2. ზოგან ნ ა მ ჯ ა ს (resp. ნამჯი, ნაბჯი) უწოდებენ აგრეთვე მკვლეულს (ზ. იმერეთი, ლეჩხუმი...), ან — ძნას (რაჭა-ლეჩხუმი).

ნ ა მ ჯ ი ძნის ხელეურია (ლეჩხ.).

ნ ა მ ჯ ა ხელეურია (საჩხერე).

ნ ა მ ჯ ი პურის კონაა (ლეჩხ.).

ნ ა ბ ჯ ი ძნაა (რაჭ.).

ნ ა მ ჯ ი ს მოკონა-დალაგება (ზ. რაჭა, 12 ა).

რო შეიკვრებოდა... ულოთი, ის ერთი ნ ა ბ ჯ ი ა (ქვ. რაჭა, ფუტითი).

ლეო 20 ნ ა ბ ჯ ი ა (ფუტითი).

ხუთეული 5 ნ ა ბ ჯ ი ა (ფუტითი).

ქვე მოგვპარეს 7 ნ ა ბ ჯ ი (ფუტითი).

ჩაშლა — არის ნ ა მ ჯ ე ბ ი ს გაშლა, აბურღვა (ფუტითი).

სოველი ნ ა მ ჯ ი ა და გოდოუაროს ბზემ (ფუტითი).

სამ ლეოს ერთი ნ ა ბ ჯ ი (კონა) აკლდა იქა... 4 ნაბჯი მადანა გამოჩნდა... ქვევიდან მუადგათ ნ ა ბ ჯ ე ბ ი ... (ფუტითი).

— თამარა, თქვენი რამდენი იყო, ხუთი ლეო? — ხუთი ლეო და ორი ნ ა ბ ჯ ი (ფუტითი).

ზომიერათ უნდა მოჭრათ და კარგად შეკონოთ ნ ა ბ ჯ ი (ფუტითი).

3. ნ ა მ ჯ ა წუელის (წირის) სინონიმადაც უხმარიათ (სტ. მენტ. „ქიზ. ლექსიკ.“).

პურეული მცენარეების ღეროს ნამჯას ეძახიან. აქით-იქიდან რომ ამოსდის — ფოთოლსა და ფოჩს ეძახიან (ქიზ., 774).

ნ ა მ ჯ ი ს ქსელი (გ. კახ., 67).

ნ ა მ ჯ ი ს გიდელი (გ. კახ., 66).

ნ ა მ ჯ ი ს ... ქულები (თიანეთი).

ნამჯა საწარმოებელი ფუძეა ნამჯობისათვის, რაც ნაყანევ აღ-
გის ან თვით ნამჯას ეწოდება³⁴.

ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებით „ნამჯა... ვნებითის მიმ-
დებობასა და ნამკალის ფონეტიკურად შეცვლილ სახეობას წარ-
მოადგენს“³⁵. მართლაც, ნამჯა//ნამჯი (დ. ჩუბინ.) წარმოშობით მიმლეო-
ბა ჩანს, მაგრამ მისთვის ამოსავალი ფორმა უნდა ყოფილიყო არა „ნამ-
კალი. საიდანაც „ნამჯის“ მიღება გაჭირდებოდა, არამედ „ნამჯი“. „ნამ-
ჯი“ „ნამკალის“ წინშეწელობით რომ უნდა გვექნოდა რომელიმე დია-
ლექტში მაინც, ამას მოწმობს დ. ჩუბინაშვილის „ნამჯი“³⁶ და რაჭულ-
ლეჩხუმური ფორმები — ნაბჯი//—ნამჯი³⁷.

საყოველთაოდ გავრცელებული „ნამჯა“ აგრეთვე მეორეული
ფორმა უნდა იყოს, მიღებული ნამჯი-დან.

6. ქერქი. ქერქი ექუსთა დღეთაჲ-ში ამ ძეგლის ბერძნულიდან
ქართულად მთარგმნელს რამდენჯერმე უხმარია. 55 გვერდზე ის პუ-
რეული მცენარის ღეროს კანს ქერქს ეძახის.

მოვიყვანოთ ეს ადგილი:

...რა განტფების ჯეჯილი იგი, და ძირთა მიერ მოიტაცებნ ნო-
ტიოსა, და განუყვის იგი ღერსა მას, და ქერქსა, და იფქლსა, და ფხა-
სა, და ბუდესა იფქლისასა...“ (გვ. 55,5).

ამ მნიშვნელობით ქერქი დღესაც შეიძლება იხმარონ.

7. ფოჩი. პურეული მცენარის ფოთლის აღსანიშნავად აღმოსავლე-
თის კილოებში (ქიზიყურში, ქართლურში...) იხმარება ფოჩიც;

მოვიყვანოთ მაგალითები:

... პურეული მცენარეების ღეროს ... აქათ-იქადან რომ ამოსდის,
ფოთოლსა და ფოჩს ეძახიან. ფოჩი (= ფოთოლი), სადაც ამოს-
დის, მუჯლი ჰქეიან (ქიზ., 774)³⁸.

ფოჩს ეძახიან პურეულის ამ ნაწილს ქართლშიაც.

34 სტ. მენთეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი; კირიონი, ტ. II, გვ. 15.

35 ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., II, გვ. 89.

36 შესაძლებელია დ. ჩუბინაშვილის „ნამჯი“ ხელოვნური, სალექსიკონო, ფორ-
მა იყოს, მაგრამ სრულიად უეჭვოა რაჭულ-ლეჩხუმური ფორმები — ნაბჯი და ნამჯი.

37 ქვ. რაქაში, კერძოდ ს. ფუტიეთში, სხვადასხვა და სხვ., „მ“ — „ბ“-ს სუბსტი-
ტუციის სხვა მაგალითებიც არის დადასტურებული, მაგ.: ბრავალი, ბრავალძალი,
ბრავალძარღვა და სხვა. (ოტ. კახაძე, რაქაში მივლინების ანგარიში, 1947 წ.).

38 სტ. მენთეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი, S. V. ფოჩი.

დასავლეთ საქართველოში (რაჭა, ქვ. იმერ.) ფოჩი // ფოქ.ვი³⁹ სი-
მინდის ტ ა რ ო ს უ ლ ვ ა შ ი ს სინონიმია.

8. **ჭუვილი.** ტუვილი, როგორც ამას ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, „საბა ორბელიანის სამართლიანი განმარტებით „ყანის თავთავი“-ა (ლექ-
სიკ.). იგი ბერძნულ σπείχες, ლათინურ spica-ს... უღრის“⁴⁰.

ტუვილი და თავთავი სინონიმებია.

ბიბლიაში ტუვილი // კოვილი // კოილი არა ერთგზის გვხვდება (იხ.
იობისი, 24, 24; მსაჯულთა, 15,5; დაბ. 41,5; რუთ. 2,2; მათე. 12,1...).

თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტერმინოლოგიაში იხმარება
„თავ-თავის ღერი“⁴¹. ძველ ქართულში შესატყვისი ტერმინი იყო თუ
არა, საკვლევი. მაგრამ რომ ტუვილის (resp. თავთავის) სხვადასხვა ნა-
წილებს, კერძოდ, მის ზედა ნაწილს თავისი სახელი ჰქონია, ამას ცხადს
ჰყოფს შემდეგი მაგალითები:

ხოლო მოწაფეთა მისთა შეემშია და იწყეს მუსერად თავისა კო-
ვილისა და ჭამად (მათე, 12) 1 ს.; DE-ში გვაქვს ტუვილი).

მარკოზთან სათანადო ადგილი ასე იკითხება:

... და მოწაფეთა მისთა იწყეს გზასა სვლად და მუსერად თავსა
ტუვილისასა (მ., 2, 23).

ლუკასთან ასე:

ხოლო მოწაფენი მისნი მოჰჭრიდეს თავთავსა კოილისასა, მუსერი-
დეს კელითა და ჭამდეს (ლუკა, 6:1; ს.).

... აჰა-ესერა შუდნი თენი ტუვილისანი აღმოვიდეს ძირსა
ზედა ერთსა რჩეულნი და კეთილნი (დაბ., 41,5; იხ. აკ. შანიძის გამო-
ცემა, 1947 წ.).

... გწვიდე ველად და ვკრიბო თვი ტუვილისა (მცხ. ბ., რუთ.
2,2; ასევეა ოშკის ბ.).

... და შეკრიბა თვი ტუვილისაჲ ყანასა შიდა შდ მომკალთა-
სა (მცხ. ბ., რუთ. 2,3; ასევეა ოშკის ბ.).

აშკარაა, ტუვილის იმ ნაწილს, რომელშიაც ნაყოფი ანუ მარცვლე-
ბია მოთავსებული, ძვ. სამწერლობო ქართულში „თავი ტუვილისა“
ჰრქმევიდა⁴².

39 ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ თ ა ნ „ფოჩი ძაფის კონა“-ა; ტაროს ულვაშიც ხომ დაახ-
ლოებით ასეთივე კონას წარმოადგენს. ასე რომ, ამ სიტყვის საბასეულ მნიშვნელო-
ბასთან ფოჩის დასავლური მნიშვნელობა უფრო ახლოა, ვიდრე აღმოსავლური.

40 ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., I, გვ. 280.

41 აღ. მ ა ყ ა შ ვ ი ლ ი, სასოფლო-სამეურნეო-ტერმინოლოგია, გვ. 415.

42 შდრ. ივ. ჯავახიშვილი, საქ. ენ. ისტ., I, გვ. 28, სადაც ვკითხულობთ:
„ოლსანიშნავია, რომ მათეს 12.1-ში ნახმარი გამონათქვამი „თავი ტუვილისა“ (ა-ბ-ბ-
ს-ე, ლათინურ spica-ს) ტერმინი „ტუვილი“-ს შინაარს თავთავის სრულ შესატყვისობად

ამგვარად, კუვილის სხვადასხვა ნაწილის სახელიდან ცნობილია მხოლოდ ერთი, „თავი კუვილისა“. სავსებით მოსალოდნელია, რომ სახელი ჰქონია კუვილის სხვა ნაწილებსაც.

კუ-ვი-ლი-ი (—*კუ-ავ-ი-ლი-ი)⁴³ -ლი-თი ნაწარმოები მასდარი⁴⁴ უნდა იყოს ისეთი, როგორცაა ყუავილი.

9. თავთავი. კუვილი თანამედროვე ქართულმა არ იცის. ახლა ამ მნიშვნელობით თავთავი იხმარება⁴⁵.

...თ ა ვ თ ა ვ ე ბ ი ს დაფშვნა ... (ქვ. რაჭა, 116).

... თ ა ვ თ ა ვ ე ბ ი ს ქვეშ რამოდენიმე ღეროს ერთად შებოჩა (sic) (ქვ. იმერ., 271).

სვილის ბერტყვის დროს თ ა ვ თ ა ვ ი გადაცვივდება, მარცვლიანი თ ა ვ თ ა ვ ი მოწყდება და გადავარდება (არხოტი, ხევს. ...).

თ ა ვ თ ა ვ გაცლილი ჩალა ... (თუშ., 564).

სვილის თ ა ვ თ ა ვ ი (იქვე).

ქერის თ ა ვ თ ა ვ ი... (იქვე, 553).

იფქლის ფხიანი თ ა ვ თ ა ვ ი (იქვე, 552).

კაი მაზლარი თ ა ვ თ ა ვ ი ... (საინგ., 25).

თ ა ვ თ ა ვ ი ს ტობნა (ბეგვა, ცეხვა) (იქვე, 25).

... თესლის გასაახლებლად დრო და დრო „კაი მაზლარი თ ა ვ თ ა ვ ს არჩევენ. ცალკე ჰტოპენ“... (იქვე, 335).

სურ რომ დასთესდენ, მიწის ბოლოში სახრეს დაურქვამდნენ ხოლმე თურმე, წვერს გადაუტეხამდნენ, ვითომც ამ სიმალლე ყანა მოვიდეს და აგრეთი დახრილი თ ა ვ თ ა ვ ი ჰქონდესო (ქიზ., 766).

მშიერი თ ა ვ თ ა ვ ი (ქიზ., 775).

ჯეჭილი „თ ა ვ თ ა ვ ს რომ ამოიღებს, მაშინ აყვავდება, ყვავილობაშიაო, იტყვიანო“ (იქვე).

თავთავი „თავის“ რედუპლიკაციის გზით მიღებული ფორმაა.

თითქოს არ ჰხდის. ეს სიტყვა არსებობდა მარცვლების შემცველი მცენარის ზედა ნაწილის სახელია. ამასვე გვაფიქრებინებს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის გამოჩნატქეაში „ქხუვილი“ აღსავსე ნაყოფითა“-ო (ცა მ'ფსი ღ'ესი, 564, გვ. 332). მაშასადამე, „ქხუვილი“ ნაყოფს, ანუ მარცვლებს შეიცავდა“.

⁴³ ამ საკითხთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს იმერული „ხუვილი“, რაც, სხვათაშორის, ხილულის უეცარ და ერთბაშად გამოყვავილებასაც ნიშნავს; მაგ., იტყვიან: „გუშლამ იხუვლა ტყემალმა და სუ გამოყვავილდა“. „აუ, წუხელი უხუვლია ამ ჩვენ ატამსც და შეხედე, რავა სუ გადაბარდნილა, გადაყვავილებულა“.

⁴⁴ შდრ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., I, გვ. 286, 287.

⁴⁵ იქვე, გვ. 322.

10. თაველი. თავ-ელ-ი ფეტვნიართა⁴⁶ თავთავია⁴⁷. ასე იყო ეს ძველ ქართულში და ამასვე ნიშნავს ის ჩვეულებრივ თანამედროვე ქართულის დიალექტებში:

თეთრ თ ა ვ ლ ი ა ნ ი ქადი... (ქვ. იმერ.).

... ქადის თ ა ვ ლ ე ბ ს შეკრულს გადადობდენ ჰოკზე (ქვ. იმერ.).

...„თ ა ვ ე ლ ის მოკრეფას“, ღომს რომ თ ა ვ ე ლ ს მოვკრით იმას უძახით (ქვ. იმერ., 278).

... ღომის თ ა ვ ე ლ ი ... (გურ., 10 ბ).

მაგრამ დასავ. საქართველოში დღეს თაველი⁴⁸ თავთავთან (იხ. ზემოთ) ერთად ძვ. ქართული „კუვილი“-ს მნიშვნელობითაც იხმარება⁴⁹: მონცროვა მხოლოდ პურის თ ა ვ ე ლ ის იცოდენ... (ქვ. იმერ., ბა-ში-უკანეთი).

... პურის თ ა ვ ე ლ ი ... (ქვ. რაჭ., 189).

... თეთრი ხულუგოს თ ა ვ ე ლ ი ... (იქვე).

... დიკის თ ა ვ ე ლ ი (იქვე, 190).

... ზანდურის თ ა ვ ე ლ ი (იქვე).

წმინდა პურის თ ა ვ ე ლ ი (იქვე, 189) .

გრძელუღვაშიანი პურის თ ა ვ ე ლ ი... (ქვ. იმერ., 275).

... გაზაფხულის პურის თ ა ვ ე ლ ი (იქვე).

თავთუქმეში შეშას არ დაჭირდენ იმიტომ, რომ ყანაში თავგი დაჭრის თ ა ვ ე ლ ე ბ ს ი (ქვ. რაჭა).

გრძელ-თ ა ვ ე ლ ა პური დევიწუნეთ, ციციკინი გაქონდა, ცვინდე-ბოლა (ქვ. რაჭა).

თავ-ელ-ში -ელ ფუძის საწარმოებელი სუფიქსია.

11. თავი. თავი ხორბლეულის ტერმინოლოგიაში ნიშნავს საერთოდ მცენარის ზედა ნაწილს და, კერძოდ კი, თავთავს (pesr. ვუვილს) და თ ა ვ ე ლ ს. ეს გაგება ჰქონდა თავს ძვ. სამწერლობო ქართულში და ამავე მნიშვნელობით იხმარება ის თანამედროვე ქართულის დიალექტებში.

მოვიყვანოთ საილუსტრაციო მაგალითები:

... აპა კუალად მერმე შედნი თ ა ვ ნ ი აღმოცენდეს მათ თანა, წუ-ლილნი და ხორშაკეულნი (დაბ. 41,6)⁵⁰.

46 ივ. ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., I, გვ. 322.

47 ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ქართული ლექსიკ., S. V. თაველი.

48 ივ. ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., I, გვ. 322.

49 ვ. ბ ე რ ი ძ ე, სიტყვის კონა..., S. V. თაველი.

50 დ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართ.-რუს. ლექსიკ., S. V. თავი.

და შეკამნეს შუღთა მათ თავთა წულილთა და ხორშაკეულთა შუღნი იგი თავნი რჩეულნი; საესენი და კეთილნი (დაბად., 41,7)⁵¹.

და აღდგა კრებად თავისა... (მცხ. ბ., რუთ. 2,15; ასევეა ოშკის ბ.).

და კრებდეს თვესა და ნუ რისხავთ მაგას (მცხ. ბ., რუთ. 2,16; ასევეა ოშკის ბ.).

და თქა ვკრიბო თვეი და შევკრიბო შს მქელეულსა შდ მომკალთა (მცხ. ბ., რუთ. 2,7; ასევეა ოშკის ბ.).

და შქა რა მქელეულსაცა შს თვეი და ნუ ჰკდემთ შს (მცხ. ბ., რუთ. 2,15; ასევეა ოშკის ბ.).

გ. მთაწმინდელის მიერ XI ს. ნათარგმნ ბასილი დიდის „ექუსთა დღეთა“—ში ვკითხულობთ:

... ვითარ-იგი მუხლებითა მოირტყმის წუელაჲ იფქლისა, რათა, ვითარცა საკრველთა მიერ, ადვილად იტვრთოს სიმძიმე თავისაჲ, რაჟამს იგი სავსე არნ ნაყოფითა და დადრეკილ ქუეყანად. ვინაჲცა სუდაჲ კნინ-ლა და უმუჯლო არს, ვინაჲთგან არა აქუს სიმძიმე თავისა მისსა“ (გვ. 53).

თავი აქ ორჯერ არის ნახსენები და ორივეჯერ თავთავს გულისხმობს. სათანადო ადგილზე ბერძნულ ტექსტში, პირველ შემთხვევაში, გვაქვს *ἄσπαστος, σις, οἶ*, ლათინურში — *spika*] (იხ. მ. კახაძე, ქართულ-ბერძნული ლექსიკონი, „ექუსთა დღეთ“. გვ. 138). ხოლო მეორე შემთხვევაში *κροαλή, ἡ* (იხ. დასახ. ნაშრ., იქვე).

მაგალითები დიალექტებიდან:

ქუცურე ზანდური პურის თავი (ქვ. იმერ., 271).

შეიძლება ღომი გამოვარჩიოთ მოროდის შემდეგ. თავი რომ გამოუჩნდება, ღომს ვიტყვი: „ღომი ითავლებო, თავი უყრია და დათავლულაო“ (ქვ. იმერ., 282).

ღომის თავი (გურ., 10 ბ).

თავის ამოსვლა სიმინდის ღერზე (ქვ. იმერ., 264).

თავნაყარი სიმინდი (ქვ. იმერ., 264).

ყანამ თქვა: ამრილში ფეხი ავიდგი, მაისში თავი წავისხი...“ (გ. კახ., ძვ. საქ., სამეურნეო ანდაზები).

ამრიგად, თავი, რომელიც პურეული მცენარის ზედა ნაწილის აღსანიშნავადაც იხმარება⁵², უფრო ზოგადი და ფართო მნიშვნელობის მატარებელი ტერმინია, ვიდრე თავთავი და თაველი (იხ. ზემოთ).

51 იხ. ძვ. აღქმა.

52 ს.-ს. ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, S. V. თავი.

თავში, როგორც ეს არნ. ჩიქობავამ დაადგინა, -თ- ძირეული თან-
ხმოვანია, -ავ ლეტერმინანტი სუფიქსი⁵³.

12. კილი. ხორბლეულის მარცვალი რაშიაც არის მოთავსებული, იმას ძველ სამწერლობო ქართულში კილი⁵⁴ და ბუდე ეწოდებოდა. კილი ან ბუდე ჰქვია მას დღესაც. მაგრამ გარდა ამ ორი სახელისა დია-
ლექტებში ამავე მნიშვნელობით იხმარება: პერანგი (ქვ. იმერ., ქვ.
რაჭა), ჩოჯა // ჩოჯა (საინგ.), პტკველი, ფოსო (ქართლი), ფირფლი
(თუშ.)...

მოვიყვანოთ მაგალითები ქვ. სამწერლობო ქართულიდან და დია-
ლექტებიდან:

... ბუნებამან ... ბუდეა შინა შთადვა მარცვალი (იფქლისამ), რაათა
არა ადვილად იყოს წარსატაცებლად თესლის მკამელთა მათ მფრინ-
ველთა...“ (ექუსთა დღეთამ, გვ. 53,17).

(ჯეჯილმან)... მოილის სიპოხე ქუეყანასა რაოდენიცა უკმნ, და გა-
ნუყვის იგი ღერსა მას, და ქერქსა, და იფქლსა, ფხასა, და ბუდე ს ა
იფქლისასა...⁵⁵ (იქვე, გვ. 53,6).

კ ი ლ ი ხორბლის მარცვლის გარეთი კანია (მთიულ.).

მთელ ზემოთა ნაწილს თავთავი ეწოდება, რაშიაც მარცვალი
სხედს კ ი ლ ი, ბუდე ჰქვიან (ქიზ. 774).

...ნიჩბით უნდა გვექცივნა... ორჯელ უნდა გვექცივნა, რომ კ ი ლ ი
არ შაპყოლოდა პურს (შ. კახ., 913).

ჭადის კეკალი ბუდეშია და ბუდიდან ცეხვით ან დაღერლით
გამოდის (ქვ. იმერ.).

პურის პერანგი, ... რუ გამუა პური, იგია (ქვ. იმერ.).

(თაველს აქვს): 1. მარცვალი, 2. მარცვალი პერანგიდან გამოა,
3. ფხა (ქვ. რაჭა).

.. ნიჩვით ქცევა საჭიროა მანამდე, სანამ თავთავი არ დაიშლებოდეს
და ხორბალს არ გაეცლებოდეს „ჩოჯამ“, ანუ კ ი ლ ი (საინგ., 364).

... გადააქონ (= გადააქვთ) ნარჩომ ჩერხს, ჩოჯას, ანუ ჩოჯას
(=კილი) საქათმეზე (საინგ., 365).

პტკველი⁵⁶ ფეტვის კილია (ქიზ., 774).

განიაგების დროს ფეტვს პტკველი გაუვა — ნიავი წაიღებს
(იქვე).

53 არნ. ჩიქობავა, შედარ. ლექსიკ., გვ. 44.

54 ს.ს. ორბელიანი, ქართ. ლექსიკ., S. V. კილი.

55 იფქლი აქ ნიშნავს მარცვალს.

56 სტ. მენთეშაშვილი, ქიზ. ლექსიკ. S. V. პტკველი.

კილი დიალექტებში კილოს სახითაც გვხვდება:

... კ ი ლ ო შ ი ა მარცვლი, კ ი ლ ო ზ ე მიბმულია ფხა (ხევს).-

კილო ქვ. იმერულსა და ლეჩხუმურში ჰქვია სიმიინდის მარცვლის იმ ნაწილს, სადაც მოთავსებულია ნასახი⁵⁷.

კილო-ს ფონეტიკურად სახეცვლილ ფორმას წარმოადგენს ლეჩხუმური კილო: კ→ჰ⁵⁸ ი-ს წინ:

თაველს სანემ გაცეხვამდეთ, „ჰ ი ლ ო პური (=კილოიანი პური ო. კ.) ქვია. ცეხვის დროს გავკაკლავთ — ჰ ი ლ ო ცალკე მიდის, „კაკალი“ ცალკე (ლეჩხ., 36 ა).

ცეხვის დროს რომ პური ქერქის ბღვირი ცვივა, იმას „ბრელოს“ ვეტყით, „ჰილოს“ — გარეთ რომ კანი აქვს გაუცეხველს (იქვე).

კილო, როგორც ამ მაგალითებიდან ჩანს, მნიშვნელობით უდრის კილს.

ამგვარად, მარცვლის ბუდის აღსანიშნავად ქართულში რამდენიმე ტერმინი გვაქვს; ესენია⁵⁹: კილი⁶⁰ (//კილო // →ჰილო), პტკველი, ბუღე, ჩოჯა // ჩოყა, პერანგი, ფოსო, ფირფლი...

კილი ... (და შეიძლება პ-ტ-კვ-ელ-ი(ც), ჩამოთვლილ ტერმინთა შორის, ჩანს, ერთი უძველესთაგანია. ')

კ-ილ-ში -კ- ძირეულია და ის იგივე უნდა იყოს, რაც დიკ-ა-სა და კ-ულ-ის -კ- არის; -ილ- დეტერმინანტი სუფიქსია.

ქართულ კილ-სა და კილო-ს ო. თედევევი უკავშირებს ოსურ კილ-ს (ყხыл) „სალტე“...: ქართ. კილ-ი...→ოს. კილ⁶¹.

13. ფხა. ფხა, როგორც ძველ სამწერლობო ქართულში, ისე თანამედროვე ქართულშიც, საბას სიტყვებით რომ ვთქვათ, „ყანის თავთავის ეკალ“-ს ჰქვია.

57 მ. ა ლ ა ვ ი ძ ე, ლეჩხუმური ლექსიკონი, S. V. კილო.

58 ჰ ი ლ ო ლეჩხუმში ნივრისა და ხაზვის ლებანსაც ჰქვია მაშინ, როდესაც ნივრის ამავე ნაწილს ქვ. იმერეთში კილო ეწოდება; ცხადია: კილო—ჰილო.

59 ივ. ჭ ა ე ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., I, გვ. 280—281.

60 ივ. ჭ ა ე ა ხ ი შ ვ ი ლ ი თავის „საქ. ეკ. ისტ.“ ხეზეა რა ს. ორბელიანის კილის შემდეგ განმარტებას: „კილი ზვარბლის ბუღე“-ა, სავსებით სამართლიანად დასძენს: „...მაგრამ, უფრო სწორედ რომ ითქვას, მარცვლის ბუღეს წარმოადგენს“ (I, გვ. 280); თვით კი ასეთ განმარტებას იძლევა: „თესლოვანი მცენარეულობის მარცვლის ჰუარავს ყოველმხრივ შემცველი გარსი; რომელსაც „კილი“ ეწოდება“ (გვ. 280).

კილი რომ არა მარტო ხორბლეულის მარცვლის ბუდის აღმნიშვნელი შეიძლება ყოფილიყო, არამედ საერთოდ ყოველგვარი მარცვლეულის ბუდისა, ვფიქრობთ, მოწმობს მასში გამოყოფილი ძირეული -კ-ც, რომელიც არა ერთი და ორი მარცვლისეზური, მარცვლოვანი, თუ შეიძლება ასე ითქვას, საგნის აღმნიშვნელი სიტყვის ფუძეში ჩანს, როგორც ძ ი რ ი.

61 ო. თ ე დ ე ვ ე ვ ი, ნარკვევები ქართულ-ოსური ენობრ. ურთ., 193—194.

მოვიყვანოთ მაგალითები:

... რა განტფებინ ჭეჯილი იგი, და ძირთა მიერ მოიტაცებნ ნოტიოსა, მიზიდვითა მკურვალეებისათა მოილოს სიპოხე ქუეყანისაჲ რაოდენიცა უქმნ, და განუყვის იგი ღერსა მას... ფ ხ ა ს ა, და ბუდესა (ექუსთა დღეთაჲ, გვ. 53, 6).

... ბუნებამან ... ბუდესა შინა შთადვა მარცვალი (იფქლისაჲ), რამთა არა ადვილ იყოს წარსატაცებლად თესლის მჭამელთა მათ მფრინველთა, და კულად მწუერვალთა მათ მიერ ფ ხ ი ს ა თ ა, ვითარცა ისართა მიერ მცირეთა, მათ ცხოველთა ვნება გარეწარჯდა (იქვე, გვ. 53, 17).

... კილოშია მარცვალი. კილოზე მიბმული ფ ხ ა (ხეეს.).

... თავთავს ნემსებივით რომ გაჰკიდავს, ფ ხ ა არის... (ქიზ., 774).

დიალექტებში ფხასთან ერთად ამავე მნიშვნელობით იხმარება უ ლ ვ ა შ ი, ბ უ ძ გ ი, ფ უ ც ქ უ რ ე და სხვა.

შაფხზის უ ლ ვ ა შ ე ბ ი ვ ი თ არ დაგიფენია წამწამი (ვ. ბარნ.).

(გრძელულვაშიან პურს) უ ლ ვ ა შ ე ბ ი აქვს გრძელ-გრძელი, პური კარგი იცის... (ქვ. იმერ., 275).

ჩვენებური პური, ბუძგიანი რომელიცაა, იგია. ჩვენში არ გამოდგებოდა მეტი პური (ქვ. იმერ.).

... ხოზო პურს ფუცქურე (resp. ფხა) არ ქონდა (ქვ. იმერ.).

ფ ხ ა ბუძგია (ქვ. იმერ.).

ზოგი სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიის თაობაზე ქართულში

ინტერესს არ იქნება მოკლებული აქვე, მოკლედ მაინც, მიმოვიხილოთ საქართველოში (ძველსა და ახალში) ფართოდ გავრცელებული ისეთი სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიები, როგორცაა ყ ა ნ ა, კ ა ლ ო, კ ე ვ რ ი, უ ლ ო, კ ო ნ ა, ძ ნ ა და ჩამოვთვალოთ პურის მოვლა-პატრონობასთან, თუ მომკა-დაბინავენასთან დაკავშირებული რამდენიმე დამახასიათებელი გამოთქმა. მათი ზოგადი მიმოხილვა და უბრალო ჩამოთვლაც კი ადვილად დაგვარწმუნებს, ზემოთ მოყვანილ და განხილულ ფაქტებთან ერთად, თუ დროთა განმავლობაში ქართულ ენას რა მდიდარი ლექსიკა შეუქმნია მეურნეობის ამ დარგში¹.

1. ყ ა ნ ა. ყ ა ნ ა ძვ. ქართულში ივ. ჭავჭავიძის გამოკვლევით „მოსახნავად განკუთვნილსა, თუ ნახნავ-ნათეს მიწას ეწოდებოდა...“ გარდა ამისა „ყ ა ნ ა“ ისეთ სახნავ ადგილსაც ჰნიშნავდა, რომელიც დათესილი არ იყო...“²

„ყ ა ნ ა“ ბალახია-ო დაბადების 21, 23 დამოწმებით განმარტავს ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი. ძვ. ქართულში ყ ა ნ ა რომ (ამოსულ) ნათესსაც ერქვა, კარგად მოწმობს „ექუსთა დღეთაჲ“-ს შემდეგი ადგილი: „ხოლო განმზადებულებაჲ ქუეყანისაჲ და თვისი მისი და ბუნებითი სამკაული ესე არს: ღელეთაჲ დ ე ლ ვ ა ა ყ ა ნ ე ბ ი თ ა³ და ველთა შემკობა ყუავილითა და მწუხანითა და მდელითა (გვ. 18, 21).

ახალ ქართულში ყ ა ნ ა ნიშნავს, როგორც სახნავ-სათეს მიწას, ისე პურეულის ნათესსაც; აღმოსავლეთ საქართველოში ყ ა ნ ა მხოლოდ პურის ნათესია, დასავლეთ საქართველოში კი — პურეულისა (პურის, სიმინდის...) საერთოდ⁴. რაჭა-ლეჩხუმში, სადაც პურიცა და სიმინდიც

1 ივ. ჭ ა ვ ა ხ ი ძ ე ი ლ ი, დასახ. ნაშრ., I, გვ. 390...

2 იქვე, გვ. 150.

3 ხ ა ზ ი ჩ ე მ ი ა — ო. კ.

4 არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, შედარ. ლექსიკ., გვ. 139.

ითესება, ყანა პურის ნათესს ჰქვია, ხოლო სიმინდის ნათესს ისე, როგორც აღმოაველეთ საქართველოში, „სიმინდი“ ეწოდება.

მოვიყვანოთ საილუსტრაციო მაგალითები:

ყ ა ნ ა სახნავი ალაგია (რაჭა).

... საერთოდ ვხენმდით ყ ა ნ ე ბ ს (ქვ. რაჭა, ფუტიეთი).

ჯილღით ხენ ყ ა ნ ი ე ბ ს (აჭარა, 132).

მიშვებული ყ ა ნ ა (ქიზ., 793).

ყ ა ნ ა მიწაა („ძვ. საქ.“ თუშური).

პურეულის ნათესი:

ნათესის ცოტა წამოზრდის შემდეგ, „ყანას“ „მარგლენ“ (საინგ., 354).

მკათათვეში გახმება ყ ა ნ ა, გაყვითლდება (გ. კახ., 283).

ყ ა ნ ა ს რომ მოვმკიდით, ნამჭას გავტუსავდით... (შ. კახ., 919)

„ყ ა ნ ა მ თქვა: აპრილში ფეხი ავიდგი, მაისში თავი წავეისხი, თიბათვეში გული ჩავიდე და კათათვეში მოვიმკეო“ (გ. კახ., „ძვ. საქ.“, სამეურნეო ანდაზები).

ქრიპტემ... ყ ა ნ ა ი გაყიდეო, თორემ ელია დასეტყვას გიპირებსო (ქართლი, დ. ატენი).

ხვართქლა (ბალახი) პურებში მოდის, ეხვევა პურს და აყვება; საგსეა ყ ა ნ ე ბ ი თლა (ფუტიეთი).

რომ მომკით ყანას..., დარჩება თავლები (ს. ფუტიეთი).

თაგვთ უქმეში შეშას არ დაჭრიდენ იმიტომ, რომ ყ ა ნ ა შ ი თაგვი არ დაჭრისო თავლებს (იქვე).

პურის ნათესი:

„ამ ერთ კვირაში ქერები გაიჭრება და ორი კვირის შემდეგ ყ ა ნ ე ბ ი ს მკასაც მიჰყობენ ხელს („ივერია“, 1887, № 120—121).

დიდი ბეჯითობა უნდა სიმინდსაც და პურსაც, თუ გინდა რომ კარგი მოსავალი გქონდეს, ყ ა ნ ა უნდა გაჰმარგლო, ს ი მ ი ნ დ ი კ ი ო რ ჯ ე რ უნდა გათოხნო (შ. კახ., 917).

ერთი სიტყვით, იქ სადაც პურიც ითესება და სხვა პურეულიც, მაგ., ქერი, სიმინდი და სხვა, დღეს „ყანა“ ძირითადად პურის ნათესის აღსანიშნავად იხმარება.

ყან- საწარმოებელი ფუძეა სიტყვებისათვის — ყანობირი (=ყანები), საყანე, ნაყანები // ნაყანევი, მეყანური...

არნ. ჩიქობავას თქმით „ყან- ფუძის კანონზომიერი შესატყვისია

ხოფური ყონ-⁵, რომლის ვარიანტები არის ყონ-→// მონ-⁶; მეგრული ყვან-ყონ-⁷.

ამავე ავტორის მტკიცებით ყან-ა-სა და ყონ-ა-ს „-ა- დეტერმინანტი სუფიქსის გამარტივებული სახე უნდა იყოს“⁸.

ფიქრობენ, რომ ქართველური ყანა, ყონა ... „ზმელეთის“, „მიწის“ მნიშვნელობით ნასესხები აქვს ბერძნულს (თ. გამყარელიძე, ვ. ივანოვი, დასახ. ნაშრ., II, გვ. 905).

2. კალო. სიტყვა „კალო“ უძველეს ქართულ ძეგლებში გვხვდება. ს. ორბელიანს მათ. 3,12 დამოწმებით ის განმარტებული აქვს, როგორც „სალეწი ადგილი“. კალო ამჟამადაც ცოცხალი სიტყვაა და პურეულის გასალეწად განკუთვნილ საგანგებო წესით მოსწორებულ მრგვალ ადგილს ჰქვია.

მოვიყვანოთ საილუსტრაციო მაგალითები დიალექტებიდან:

... კვერი პურს ლეწავს — პური გაფენილია კ ა ლ ო ზ ე... (აჭარა, ხულო, 136).

... ღამე რო გაამდარდეს, ჩვენ რა ვქნათ კ ა ლ ო ე (რაჭა, ფუტიეთი).

გადით იქით, გადით იქით, კ ა ლ ო ე (sic) პაპიროს ეწვევი! (იქვე).

კორკოტის ნარეცხს კ ა ლ ო ე წვეილებდით ... და მალლა შევისვრიდით, — „ამ სიმაღლე ზვაი დადგესო“ (იქვე).

ყურგდება უნდა კ ა ლ უ ე ბ ს (იქვე).

სამთავ ძმები იქ არიან — კ ა ლ ო ზ ე ძინამთ (ქართლი, დ. ატენი).

კ ა ლ უ ე ბ ზ ე რო გადასულიყვენენ, შეშინებოთ (იქვე).

კ ა ლ ო გვირდება (ქართლი, პ. ატენი).

„კალოს“ კალოზე გასალეწად დაყრილ ხორბალსაც ეძახიან.

სამი ძმაკაცია, კ ა ლ ო გაულეწოთ, (ქართლი, ატენი).

კ ა ლ ო ილეწება ხარის ფეხით (თუშ., 559).

კალო ერთ განალეწსაც ნიშნავს:

მერამდენე კ ა ლ უ ა? (დიდი ატენი).

კ ა ლ ო საწარმოებელი ფუძეა სიტყვებისათვის: კალოობა, მეკალოე // მეკალუე, ნაკალაური // ნაკალოარი (ქიზ.), საკალოე, საკალუე (ატენი).

კ ა ლ ო ო ბ ა და ლეწვა სინონიმებია:

⁵ არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ე ა, შდრ. ლექსიკ., გვ. 139.

⁶ შ ი ს ი ე ე, ჭან. გრამ. ანალიზი, გვ 10, §4

⁷ შ ი ს ი ე ე, შედარ. ლექსიკ., გვ. 139.

⁸ იქვე.

კ ა ლ ო ო ბ ა მარიამობი თვეში ვიცით (ზ. რაჭა, 38).

დავიწყეთ კ ა ლ ო ო ბ ა (რაჭა, ს. ფუტიყეთი).

თებროლიამ კ ა ლ ო ო ბ ა კაი იცის (იქვე).

ე. კ ა ლ ო ო ბ ი ს თ ა ნ ა გ ლ ა ზ ა (=ძნელი) არაფერი არ არი (იქვე).

(ისინი) კიდევ კ ა ლ ო ო ბ ე ნ?.. — კ ა ლ ო ო ბ ე ნ, მაშ (იქვე).

იმერეთში (resp. ქვემო იმერეთში) ამბობენ: „მჰადის კალო“, „სი-
შინდის კალო“, რაც მჰადის და სიმინდის გროვაზე მიუთითებს; მაგ.:

„ილეოდა გასარჩევი და იზრდებოდა გარჩეული, ქარვასავით ყვი-
თელი ს ი მ ი ნ დ ი ს კ ა ლ ო (resp. გროვა, ზგავი) (ნ. ლორთქ.).

(მჰადი) სიმინდზე აღრე მოდის, ვკრეფთ ხელით (დანით) და ვაკე-
თებთ „მკლავებს“. მკლავებიდან იქვე ყანაში კეთდება: „მჰ ა დ ი ს
კ ა ლ ო“ ... (ქვ. იმერ., ს. ღანირი).

„მჰ ა დ ი ს კ ა ლ ო“ კეთდება „მთაველების“ გახმობის მიზნით,
„რო შეხურდეს და კარგათ დამწიფდეს“... (იქვე).

„მჰადის კალო“ თუ ღითხანს გააჩერე, დეიწვება კიდეც... ასე
ორ ღღეს აჩერებენ (იქვე).

„მჰ ა დ ი ს კ ა ლ ო“ მჰადისვე ჩალით იხურება და იფარება გა-
რეშემოც... „ორი ღღის შემდეგ გადახდი თავსა და გაშლი კ ა ლ ო ს...
სალამოს... ისევ შეხურავ... მერე გამხმარია. მერე შეეკონავთ ფშალით“
(იქვე).

ფეიქრობთ, დაახლოებით მაინც, ამასვე ნიშნავს კ ა ლ ო ესაიას
25,10, სადაც ვკითხულობთ:

„...და დაითრგუნოს მოაბელ ადგილსა შინა თვსსა, ვითარ სახე
დასთრგუნავენ კ ა ლ ო ს ა ურემსა ზედა“ (დაბეღება; კალო გვაქვს
მცხეთის ბიბლიაშიც).

ცხადია, აქ „კალო“ არ შეიძლება აღნიშნავდეს სალექს ადგილს.

ხორბლეულის, გასალექს ადგილს მეგრულ-ქანურადაც „კალო“
ეწოდება (იხ. მ. გ. და ქ. გ.). მეგრულში ამასვე ნიშნავს ო-კალეში და
ო-კელეში (იხ. ი. ყიფშიძე მ. გ. და ზ. მეგრ. 123).

სვანურად კალო-ს კალ⁹, კალე¹⁰ და კავ¹¹ (მრ. რ. კავარ) ჰქვია.

ქართველური ენების ყველა ამ მონაცემის ურთიერთ შედარებითა
და მათი შეპირისპირებით სომხურ კალ-თან („კალო“)¹², რომელიც

⁹ იხ. სვანური შინამრეწველობის მასალები, გვ. 233.

¹⁰ იხ. ივ. ნიჭარაძის Русс.-св. словарь, S. V. гумыо.

¹¹ „კავ“, მრ. რ. „კავარ“, ალ. დავითიანის გადმოცემით გვაქვს ლახაბულურში.

¹² ივ. ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., II, გვ. 85.

მატერიალურად იგივე უნდა იყოს, რაც ქართველური კალ-. კალოში გამოიყოფა, ერთი მხრივ, ძირეული -კ- და, მეორე მხრივ, აფიქსები: -ალ- (ქართ., სვან., სომხ.), -ავ (სვან.) და -ო-// -ვ (ქართ., სვან.).

3. კვერი. ს. ორბელიანის განმარტებით კალო თუ „სალეწი ადგილია“, „კვერი სალეწველი ფიცარი“ არის... წვეტიანი ტალის გოხებით, კბილების მსგავსად, ფიცრის ქვედა პირის მთელ სივრცეზე მოჭედული¹³.

ქართულში დღესაც ცოცხალია სალეწი იარაღის ეს სახელი, რომელიც დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, ქვ. იმერეთში კელი-ს¹⁴ სახით გვაქვს.

მოვიყვანოთ საილუსტრაციო მაგალითები:

... ისინი-კი ილეწება კ ე ვ რ ი თ (ლეჩხ., 36 ა).

გადაბრუნა კ ე ვ რ ე ბ ი ც და აათრია (ვ. ბარნ., მოთხრ., 52).

— ახ, — ფიქრობდა გოგონა, — საბედნიერო იქნება მისსავე კ ე ვ რ ზ ე მის გვერდით დგომა (ვ. ბარნ., მოთხრ., გვ. 142).

... ერთ-ერთ კ ე ვ რ ზ ე ეონა იდგა (იქვე, გვ. 141).

ეონას ... წითელი ჩუსტები საბძელთან დაეყარნა და გრძელყელიან წინდებით შემდგარიყო კ ე ვ რ ზ ე (იქვე, გვ. 141).

ეს იყო ჩვენი კ ე ვ რ ი და კაეებიც (resp. კოხები) ამოუყრიაყვ (რაჭა, ფუტიეთი).

ფსკრებით იყოს, ფსკრებით და გაფიცხდება კ ე ვ რ ე ბ ი (იქვე).
კ ე ვ რ ს აკეთებენ ფიჭვისას ან ნაძვისას (ქართლი, ატენი).

კ ე ვ რ ე ბ შ ი შეაბამენ საქონელსა (ქართლი, დ. ატენი).

მოიტანენ კ ე ვ რ ე ბ ს ა (კალოზე) (იქვე).

ზევით პურზე შეაყენებდენ ხარებსა და კ ე ლ ს ა... (ქვ. იმერ.).

მოვიყვანოთ ხარებსა და შევაბამდით კ ე ლ შ ი; ხარებს უღელში შევაბამდით და კ ე ლ ს გამოვაბამდით ზეთ (იქვე).

გადაბრუნებდენ კ ე ლ ს და ხარი უკულმა გადაბრუნებულ კელს გააჩოჩებდა. კელს აბრუნებდენ იმიტომ, რომ კაეები არ ამოცვენილიყო... (ქვ. იმერ.).

ისევ შეაყენებდენ კ ე ლ ს ა და ხარებს ზედ... (იქვე).

შუა ლეწვის შემდეგ გადააყენებდენ ხარებს... მისი კ ე ლ ი ა ნ ა თ (იქვე).

¹³ ივ. ჭ ა ვ ა ხ ი შ ე ი ლ ი, დასახ. ნაშრ., 11, გვ. 92—93.

¹⁴ ვ. ბ ე რ ი ძ ე, სიტყვის კონა... S. V. კელი.

იმერული კელი მეგრულიდან უნდა მომდინარეობდეს, სადაც ამავე იარაღს კ ე ლ ი, კ ე (—კედი) ეწოდება¹⁵.

სვანურად კევრს კევირ, მრ. რ. კევრჳნ, ჰქვია.

სვანური კევირ გვაეზარუდებინებს ქართულ კევრ-ში ვ-სა და რ-ს შორის ხმოვანს.

კევრ- საწარმოებელი ფუძეა მეკევრე-სათვის¹⁶.

4. ცხრილი. ს. ორბელიანის ქართულ ლექსიკონში კვითხულობთ: „ცხრილი ხვარბლის გასაცხრილავი“-ა“. დ. ჩუბინაშვილის განმარტებით ცხრილი არის „...პაშტი, ცხავი მცირე თვლებიანი გასაცხრილა(დ) (sic) ხვარბალთა და მისთანათა“ (1887 წ. გამოცემა, გვ. 160,9). ცხრილვა კი დ. ჩუბინაშვილს ასე განუმარტავს: „ცხრილვა (ვპ), ზ. მ. მარცვალს გაარჩევ ჩენჩოთაგან ცხრილში გატარებით“.

ცხრილი და „ცხრილვა“ ცოცხალი სიტყვაა დღესაც, მაგრამ ის გულისხმობს არა მარტო მარცვლეულის გასაცხრილ ხელსაწყოს, ან მარცვლეულის გაცხრილვას, არამედ საერთოდ რისამე (მიწის, კირის, ქვიშის და სხვათა) გასაცხრილავ ხელსაწყოს — ან (რისამე) გაცხრილვას:

ხორბალს გ ა ვ ც ხ რ ი ლ ა ვ თ, გაცხრილვის დროს ზევიდან იგდებს ჩენჩოგაუცლელ ხორბალს და გუდაფშუტას, რასაც ჰქვია ცხრილქვეითი, ორივეს ერთად კი — ნაკმაზი (გარე კახეთი, 287).

საწისქვილედ, ან სათესლედ პურს ასე ვაკეთებდით: გავატარებდით ც ხ რ ი ლ შ ი — ხან მარჯვნივ და ხან მარცხნივ ვცხრილავდით, ხან მოვუქცევდით მარჯვნივ და მარცხნივ. გაქნევის დროს ქვეშ გადიოდა ხარჯი, მოქცევის დროს ზევიდან ექცეოდა შვრია და გუდაფშუტა, ან გაუჩენჩავი მარცვალი. მოქცევის დროს ერთად მოგროვდებოდა და მუჭით ამოვიღებდით (გ. კახ., 287).

განიავებულ მარცვალს ცხრილით „გასაცხრინავენ“ და კიდევ მეორეთ განიავებენ რიკით. ამას ეძახიან „ხვავის“ გადაწურვას (თუშ., 561).

ცხავში გატარების მერე ც ხ რ ი ლ შ ი გაატარებენ, ცხრილს წვრილი თვლები აქვს, პური შიგ რჩება, ქვეშ გადის მიწა, წვრილი ბალახის თესლი, კიოტა და წვრილი ხორბალი... (ქიზ., 815).

ცხრილვა — სიმინდის გაბერტყვა (ბ. წერეთ. „ზ. იმერ. ლექსიკ.“). განიავებულ პურს „მოკაბავენ“. მოკაბების დროს კაკაბაში გადის

15 ი. ყ ი ფ შ ი ძ ე, მეგრ. გრამ., ლექსიკონი, S. V. კელი.

16 სტ. მ ე ნ თ ე შ ა შ ვ ი ლ ი, ქიზიურთა ლექსიკონი, S. V. მეკევრე.

პური და სარეველა მცენარეების კაკლები. ქვები და შერჩენილი ბალახბულახი რჩება. შემდეგ ამ პურს „მოცხრილავენ“... (ქვ. რაჭა, 192,3).

რომ გავანიავებთ ჭელოთი გავჯელდავთ, მერე გავკაბავთ, მერე ცხრილით გავცხრილავთ, ჭელოში ბზეს მოვართმევთ, კაკაბაში ქვა და ხვინჭკი (წვრილი ქვა) ძირ გაცვინდება. მერე ცხრილით გავკაზმავთ ბლვერს (ზ. რაჭა, 38).

ცხრ-ილ-ში -ილ სუფიქსი ჩანს.

5. შკა. „როდესაც მცენარის მარცვლეული დასრულებულ-მომწიფებული იყო, წერს ივ. ჯავახიშვილი, მაშინ უნდა მცენარეთა მოკრეფა დაწყებულიყო. ამ მოქმედებას ძველადაც“¹⁷... და ახლაც მკაბ და შკა ეწოდება.

ს. ორბელიანის განმარტებით „შკა ყანის მონამგვლა“ არის. ამ მნიშვნელობით დღეს ქვემოიმერულში „ჭრა“¹⁸ იხმარება.

ქვემოიმერულშივე ლომისა და ჭადის (resp. ფეტვის) დანით... მოჭრას და რაჭა-ლეჩხუმში ზანდურის¹⁹ შნაკვით მოგლეჯას „კრეფა“ // „მოკრეფა“ ჰქვია.

ქართლში (resp. ატენში) დაბალ ქერს ზოგჯერ ხელით თხრიან, რასაც „მოგლეჯას“ უწოდებენ. მოსავლის მოგლეჯა თუშ-ფშავ-ხევესურეთშიც იციან...²⁰

მკიდანაა ნაწარმოები შემდეგი ტერმინები: მომკალი, სამკალი²¹, მომკილი, მოსამკალი (ქართლი, ატენი; რაჭა, ფუტიეთი), ნამკალი, ნასამკლევი (ქიზ.), სამკელი (ქიზ.) და სხვა.

„სამკალი“-ს მეორე სახელად ს. ორბელიანს თავის ლექსიკონში შეუტანია „ლალვა“ და იქვე დაუმოწმებია იერემია, 51,33.

6. ულო. ულო ძნის შესაკრავია-ო განმარტავს ს. ორბელიანი. ის დღესაც ცოცხალი სიტყვაა და ჩვეულებრივ პურის დეროების ძნისვე შესაკრავს ნიშნავს.

17 ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., II, გვ. 78.

18 ი. ყიფიძე, დასახ. ნაშრ., S. V. ჰკირუა.

19 ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., I, გვ. 345.

20 იქვე, დასახ. ნაშრ., II, გვ. 80.

21 იქვე, გვ. 82.

მოვიყვანოთ მაგალითები დიალექტებიდან:

მოთხრიდენ მაღალ პურს და თავლებით გადააბამდენ ერთი მეორეს, გადანწრებდენ და ამით შეეკრავდენ პურის კონებს (resp. ძნებს) — ეს იყო უ ლ ო (ქვ. იმერ.). უ ლ ო იყო ისევ პურისაგან შედგენილი (ქვ. იმერ.), პურის... ღერო კონების შესაკრავი (იქვე).

ძნის შესაკრაველს (ისევე პურის არის, დაგრეხილი), ქვია უ ლ ო (ზ. იმერ., 92).

პურიტგანვე შეიქმნებოდა უ ლ ო, ამით შეეკრამდით პურს: მოვბალდავთ (მოვგლეჯთ) პურს და ამით შეეკრავთ კონებს (ქვ. რაჭა).

უ ლ ო — ოცი ან ათი ღერო ასაკონი (იქვე).

... მუშას ... გავგზავნიდით წინა დღეს. გავგლეჯავდა უ ლ ო ს (მცენარეა ძნის შესაკრავი) (ზ. ქართ., მეჭვრისხევი, 576).

უ ლ ო — ძნის შესაკრავი ბალახი (მთ.).

უ ლ ო (თუშ., 558).

უ ლ ო ს ნასკვი (ქიზ., 800).

„საწყალი დედაბრისასა თავგნი ყანასა მკიანო, ლომნი უქნიან ულოსა, და ვეფხვნი შეუეკრიანო“ (ხალხური).

ცალკე უნდა აღინიშნოს, რომ ზემო რაჭაში ზოგან ულო თ უ ლ ო-ს სახითაცაა ცნობილი და ამავე მნიშვნელობით „სარტყელი“-ც იხმარება; მაგ.: ნამჭი კონას „თულოთი“ შეეკრამთ.

თულოს „სარტყელიც“ ქვია (ზემო რაჭა, 38).

სევანურად ჰერას, შემოჰერას ლი-თლე და თელა ჰქვია (ხვითლე, ხითლე, ხოთლე...). საინტერესოა, ხომ არაფერი აქვს საერთო მასთან რაჭულ თულოს, რომლის გამარტივებულ სახეს თითქოს უ ლ ო უნდა წარმოადგენდეს.



„ყანა შე დ ის ნ ა წ ი ლ შ ი“, ან „ყანას ნ ა წ ი ლ ი უ კ ე თ დ ე-ზ ა ო“ — იტყვიან ქართლში (resp. ატენში), როდესაც პური „მარცვალს ი კ ე თ ე ბ ს, ... იხორბლება“. „ყანა ყვავილში შე დ ის“, „ყანა შე მ ო ვ ი დ ა“, „შ ე მ ო ს უ ლ ი ყ ა ნ ა“ (ქართლი, ატენი); „შ ე მ ო ს უ ლ ი ს ა მ კ ა ლ ი“ (რაჭა, ს. ფუტიეთი...); „შ ე ვ ლ ე ნ ლ ე წ ვ ა შ ი“ (ატენი); „პური ლეწვაში შე ვ ი დ ა“ (ქვ. იმერეთი); „შ ე ვ ა კ ა ლ ო ლ ე წ ვ ა შ ი“ (რაჭა, ფუტიეთი), „პური სიმწიფეში შე ვ ი დ ა“ (იქვე) — გაიგონებთ ქართლში, რაჭაში, იმერეთში...

„კალოს ჩ ა დ გ მ ა“ (რაჭა, ფუტიეთი), „ჩ ა დ გ მ უ ლ ი კ ა ლ ო“ (იქვე), „კალოში ფეტვს ჩ ო უ დ გ ა მ ე ნ“ (იქვე) — ისმის რაჭაში.

„კალოშ ჩ ა გ დ ე ვ ა“ (საინგ., 36) — იტყვიან საინგილოში: „კალოში ... ძნას ... ჩაუშლიდით“ (გ. კახ., 284); „ჩ ა შ ლ ი ლ ი კალო“, „კალოს ჩ ა შ ლ ა“ (ქართლი, ატენი), „კალოში ნაბჯის ჩ ა შ ლ ა“ (რაჭა, ს. ფუტიეთი) — ამბობენ ქართლში, კახეთში, რაჭაში...

„კალოს გ უ ლ ი“ (ფშავ., 135) — გვაქვს ფშავში; „კალოს გ უ ლ ი ს ამოტეხვა“ — გაიგონებთ რაჭაში...

„კალოა გამოსვლა“ (= „კალოს გაღწევა“), „კალო გამოყვანა“ (= „ღწევის მოთავება...“); „კალოა შახვეტა“ (= „კალოზე ნაღწეის შეგროვება არნადით“) — ამბობენ ქიზიყში²².

დასავნითი ღებულეზები

1. ქართული ენა (ძველი და ახალი) მდიდარია²³ პურეული მცენარეების სახელებითა და ამ მცენარეთა სხვადასხვა ნაწილების აღმნიშვნელი ტერმინებით:

მას პურეულის თითქმის ყველა ძირითადი სახეობისათვის მოეპოვება „ადგილობრივი“ „ქართული“ სახელი: ი ფ ქ ლ ი, ხ უ ლ უ გ ო — რბილ ხორბალთათვის; თ ა ვ თ უ ხ ი — მაგარი ხორბლებისათვის; დ ი კ ა Tr. carthlicum-ის (resp. Tr. ibericum...) აღსანიშნავად; ა ს ლ ი, მ ა ხ ა, ზ ა ნ დ უ რ ი ასლისებრ ხორბალთათვის, და მცენარის მთავარი ნაწილების შემდეგი სახელები: ძ ი რ ი // ფ ე ს ვ ი, ღ ე რ ო, მ უ ხ ლ ი, ფ ო თ ო ლ ი, თ ა ვ თ ა ვ ი, მ ა რ ც ვ ა ლ ი, კ ი ლ ი, ფ ხ ა...

ერთი და იმავე მარცვლეული მცენარისა თუ მისი რომელიმე ნაწილის აღსანიშნავად ქართულს ზშირად რამდენიმე განსხვავებული სახელიც კი აქვს; მაგ., ჭვავის აღსანიშნავად საქართველოს სხვადასხვა კუთხეში იხმარება „ჭ უ ბ // ქ უ ბა // ქ უ ბე; ს ვ ი ლ ი // ს ვ ი ლ ა; ბ ო ც ო რ ა გ ი // ბ ა ც ა რ ო გ ა; ბ ი ჭ ა — პ უ რ ი, მ ა მ ა ლ ი პ უ რ ი, ზ ო ფ ხ ი, ჩ ო ხ ი...; უფხო პურის აღსანიშნავად — ხ უ ლ უ გ ო // ხ უ ლ უ ნ გ ო; პ ო შ ო ლ ა, ხ უ ზ ა ლ ა, ხ ო ზ ო, ხ ო ტ ო რ ა // ხ ო ტ რ ა, კ ნ ა ჭ ა...; კილიანი ხორბლების აღსანიშნავად — ა ს ლ ი, მ ა ხ ა, ზ ა ნ დ უ რ ი, გ ვ ა წ ა-ზ ა ნ დ უ რ ი, ჩ ე ლ ტ ა — ზ ა ნ დ უ რ ი; მარცვლის ბუდის აღსანიშნავად: კ ი ლ ი, ბ უ დ ე, პ ე რ ა ნ გ ი, ჩ ო კ ა // ჩ ო ყ ა; პ ტ კ ვ ე ლ ი, ფ ო ს ო...; თავთავის ეკლის აღსანიშნავად — ფ ხ ა, უ ლ ვ ა შ ი, ბ უ ძ გ ი, ფ უ ც ქ უ რ ე...; მცენარის თავის აღსანიშნავად — ჭ უ ვ ი ლ ი, თ ა ვ თ ა ვ ი, თ ა ვ ე ლ ი, თ ა ვ ი და სხვ.

²² სტ. მენთეშაშვილი, ქიზ. ლექსიკ., S. V. კალო.

²³ ივ. ჭავჭავაძის ელი, დასახ. ნაშრ., I, გვ. 384, 387, 388, 390.

2. პურეული მცენარების ქართულ ტერმინთა უმრავლესობა დიდი ხნოვანებისაა²⁴; მათი ნაწილი (ფ ე ტ ვ ი, ქ ე რ ი მ ა...) ქართველურ ენათათვის საერთო ჩანს, ნაწილი კი (მ ა ხ ა, დ ი კ ა, ქ ვ ა ვ ი, ზ ა ნ დ უ რ ი, გ ვ ა წ ა, ხ უ ლ უ გ ო...), ასე თუ ისე, იბერიულ-კავკასიურ ენათა სათანადო მონაცემებსაც ხვდება და სხვა ენობრივ ფაქტებთან ერთად მიუთითებს ძველისძველ ლექსიკურ მკვიდრო კავშირზე (რა სახისაც არ უნდა იყოს ის, ამ შემთხვევაში არსებითი მნიშვნელობა არა აქვს) ქართველური ენებისა მთის იბერიულ-კავკასიურ ენებთან²⁵.

3. ხორბლეულის (resp. მარცვლეულის) სახელთაგან მხოლოდ ქართულში ან უფრო ზუსტი იქნება, ქართველურ ენებში გვხვდება — დ ო ლ ი..., ფ ე ტ ვ ი, ი ფ ქ ლ ი, ქ რ თ ი ლ ი, ქ უ ბ ი, პ ო შ ო ლ ა, კ ნ ა ქ ა და სხვ.

4. დასავლეთ საქართველოში (resp. რაქა-ლეჩხუმში) გავრცელებული პურეულ მცენარეთა სახელები: ზ ა ნ დ უ რ ი, ხ უ ლ უ გ ო, გ ვ ა წ ა (=ზანდური)... მატერიალურად იგივეა, რაც ჩერქეზულ-ყაბარდული ზ ა ნ თ ხ („შვრია“), ჰ ა ო ლ გ ლ („პური“), (გ^o ო დ) „ხორბალი“²⁶.

5. ქართულ სუდა-ში („შვრია“), აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებულ სვილა-ში („ქვაყვი“), ქართულსავე ასლ-ში, სეანურ ს ე ლ ს ა და ჩაჩნურ-ინგუშური²⁷ სულა-ში („შვრია“) ძირეულ მასალად დასტურდება ს-(-*სუ).

ქართულ-ჩაჩნურ-ინგუშური სვილი, სვილა, სუდა საერთო მონაცემი ჩანს.

6. ქვ-ავ-ში ძირეულია ქვ (-*ქუ); -ავ დეტერმინანტი სუფიქსია.

²⁴ ივ. ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., I, გვ. 395, 396, 397, 398.

²⁵ პ. უ ს ლ ა რ ი, აფხაზური ენა, გვ. 127; მისივე ჩაჩნური ენა, I განყ, გვ. 46; Н. Я. Марр, Неполный источник истории Кавказского мира.—ИАН, 1917, с. 322; ივ. ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თბ., 1937, გვ. 611, 612; ს. ჭ ა ნ ა შ ი ა, ეგნატე ინგოროყვას გენეალოგიისათვის.—ლატერატურული მემკვიდრეობა, წიგნი I, გვ. 65—71; მისივე, სეანურ-ადიღური (ჩერქეზული) ენობრივი ზეხედრები, ქართველურ-ადიღური პარალელები. I.—ენიმკის მოამბე, XII, 1942, გვ. 249—278; არს. ჩიქობავა, შედარ.ლექსიკ., გვ. 65, 66, 174; მისივე, ერთი უძველესი საერთო იბერიულ-კავკასიური ფუძის შესახებ მევენახეობის ტერმინში.—იკე. VI, 1954, გვ. 41—50; მისივე, ეტიმოლოგია ძველ ქართული ტერმინებსა „ბღვარა“, „სამხარი“.—იკე, V, 1953, გვ. 65—71.

²⁶ ივ. ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., I, გვ. 397—398; გ. რ ო გ ა ვ ა, ადიღური ლექსიკური მასალა ქართულში (ხელნაწერი).

²⁷ თ. გ ო ნ ი ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 611—612.

ეგვევი ძირი (resp. კ-ჰუ) გვაქვს სვანურ ჰემინსა („ქერი“) და დალესტნურ ენათა შემდეგ სიტყვებში: ფურჰინა (ხუნძური), ბურჰინა (ანდიური), ბეჰინა (ბოთლიხური), ბეჰინ (ტინდიური, ახვახური, ბავალალური...), ბერჰინ (კარათაული) „ქერი“.

7. ქართველურ მახა // მოხა-სა (ჰანური) და დიკა-ში (ქართულ-ჰანური) მა-28 და დი- წარმოშობით კლასის ნიშნებია.

8. მა-ხ-ა-ში გამოიყოფა ძირეული ხ, რომელიც რიგ იბერიულ-კავკასიურ ენაში (ჩერქეზულ-ყაბარდოულში, ჩაჩნურ-ინგუშურში, დალესტნის ენათა ჯგუფში) წარმოდგენილია კ // ხ // ჰო-სა და მათი ვარიანტების სახით.

9. დი-კ-ა-ში ძირეული მასალა კ, რომელიც დასტურდება სვანურ-კ-ულ-სა (გურ-კულ...) „დიკა“ და ჩაჩნურ-ინგუშურ და დალესტნის ენათა რამდენიმე სათანადო ტერმინში (კა ინგუშურად პურია, ანკიდარგულში ხორბალს ჰქვია, ლაკური ლაჰა-ლაკა ხორბალსვე ნიშნავს...).

დი-კ-ა-ს ა აგრეთვე დეტერმინანტი სუფიქსის ნარჩენი ჩანს.

10. ქართული ჰადი და დალესტნური ჩედ (ხუნძური) და ჰატ (ლაკური)²⁹ (ნ. მარი, არნ. ჩიქობავა) მატერიალურად ერთი და იგივეა.

ჩედ/ჰატ დალესტნის ენებში ქართველური ენებიდან შესული სიტყვა ჩანს.

11. ბუჰონი, ბიჰონი „ქერის ხალი“ ქართულში მთის იბერიულ-კავკასიური (დალესტნის) ენებიდან მომდინარე სიტყვა უნდა იყოს.

ბუ-ბე წარმოშობით კლასის ნიშანია.

12. პურეულის ლექსიკის ენათმეცნიერული ანალიზი თავისი შედეგებით სავსებით ემთხვევა იმ ძირითად დასკვნებს, რომლებიც მიღებულია ბოტანიკოსების, არქეოლოგების, ეთნოგრაფებისა და ისტორიკოსების მიერ ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგად; სახელდობრ: თუ საქართველო ცნობილია თავისი ძველისძველი სამიწათმოქმედო კულტურით და „აშკარად გამოირჩევა სხვა ქვეყნებს შორის“ ხორბლის უძველესი ჯიშებითა და მათი კულტურულ სახეობათა და სახე-

²⁸ არნ. ჩიქობავა, გრამატიკული კლას-კატეგორიათა ნიშნების ეტიმოლოგიისათვის ქართველურ ენებში. — საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. V, № 4, 1944, გვ. 452.

²⁹ ნ. მარი, დასახ. ნაშრ., გვ. 322; არნ. ჩიქობავა, შედარ. ლექსიკ., გვ. 174.

სხვაობათა „მაქსიმალური რაოდენობით“³⁰, ქართული ენა არანაკლებ მდიდარია პურეულის ამ სახეობათა და სახესხვაობათა აღმნიშვნელი ძალიან დიდი ხნოვანების ნაირნაირ ტერმინებით.

